საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ეროვნული ბიბლიოთეკა

K 42.200
3

ე. კოგანიძე

საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი

„მეცნიერება"
1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე. კოზახიძე

საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი

(ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი)

К 142900
3

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1971

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რესპუბლიკური
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

615·8+7A6.1 (C 41)
614.213+796.54] (47.922)
კ 643

ნაშრომი წარმოადგენს საქართველოს საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის ეკონომიურ-გეოგრაფიული შესწავლის პირველ ცდას. მასში მოცემულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობის გეოგრაფიის ძირითადი ნიშნები და მნიშვნელობა მსოფლიო ეკონომიკისათვის. გაშუქებულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების მთავარი მიმართულებები სსრ კავშირში. ძირითადი ადგილი ეთმობა საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დახასიათებას. მოცემულია ამ დარგის განვითარების წინაპირობები, მისი თანამედროვე მდგომარეობა და განვითარების პერსპექტივები როგორც გენერალურ პერსპექტულ, ისე პროგნოზულ პერიოდში (2000 წლამდე). მოცემულია საქართველოს ტერიტორიის რეკრეაციული (საკურორტო-ტურისტული) დარაიონების პირველი მეცნიერულად დასაბუთებული ბადე და ცალკეული საკურორტო-ტურისტული რაიონების აღწერა.

რედაქტორი პროფ. გ. გველესიანი

სპეგ-2000
შეკოწმებულია

6—9—3
20—1970 ადგ.

76 ფ. 21 ფ. 40 ₾.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შესავალი

კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია არაწარმოებითი სფეროს იმ დარგების ორგანიზაცია, რომლებიც მშრომელთა საკურორტო მკურნალობასა და დასვენებას ემსახურებიან. უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში შეიმჩნევა საზოგადოებრივი ინტერესის გაძლიერება საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების საკითხებისადმი. ცენტრალურ და ადგილობრივ პრესაში, ეკონომიური ხასიათის პერიოდულ გამოცემებში, სამეცნიერო კრებულებში ქვეყნდება საკმაოდ მრავალრიცხოვანი სტატია, რომელთა შინაარსს წითელ ხაზად გასდევს საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის შემდგომი ზრდის აუცილებლობის იდეა. ამ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტაში სერიოზული როლი შეუძლია შეასრულოს გეოგრაფიული ციკლის მეცნიერებებმა და, პირველ რიგში, ეკონომიურმა გეოგრაფიამ.

ეკონომიური გეოგრაფიის კვლევის მთავარ ობიექტად, როგორც ცნობილია, მიჩნეულია წარმოების ტერიტორიული განლაგება, მისი განვითარების თავისებურებანი სხვადასხვა ქვეყნებსა და რაიონებში. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ამა თუ იმ რეგიონის არაწარმოებითი დარგები არ ექცევიან ეკონომ-გეოგრაფთა მეცნიერული ინტერესების სფეროში. აღნიშნული დარგები არსებით ზეგავლენას ახდენენ მოსახლეობის საწარმოო საქმიანობაზე და გეოგრაფიულ განლაგებაზე, აგრეთვე მათთან დაკავშირებული მატერიალური წარმოების დარგების განვითარება-გაადგილებაზე. არაწარმოებითი დარგების განვითარების პერსპექტივების განსაზღვრა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების სოციალურ-ეკონომიური არსის შეფასებაზე, მათი წარმოქმნისა და გამოყენების ფორმების გარკვევაზე.

არაწარმოებით დარგებს შორის დიდ როლს ასრულებს საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი, რომლის მნიშვნელობა მსოფლიო ეკო-

ნომიკისათვის მკვეთრად გაიზარდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ტურიზმის განვითარება დაკავშირებულია, ერთი მხრივ, მოსახლეობის მატერიალური დონის ერთგვარ ამაღლებასთან მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში, სამუშაო დროის ხანგრძლივობის შემცირებასთან და სატრანსპორტო საშუალებების გაუმჯობესებასთან. მეორე მხრივ, ურბანიზაციის პროცესის შემდგომი გაღრმავება განსაზღვრავს მოსახლეობის მზარდ კონცენტრაციას მსხვილ ქალაქებში, რომელთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები საგრძნობლად უარესდება. ბუნებრივია, რომ დიდი ქალაქების მცხოვრებთა შორის ძლიერდება ბუნების წიაღში დასვენებისაკენ ლტოლვა. არსებული გაანგარიშების თანახმად, დანახარჯები ტურიზმზე იზრდება 1,5—2-ჯერ უფრო სწრაფად, ვიდრე პირადი ფულადი შემოსავალი.

საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საერთო აღმავლობამ, მშრომელთა რეალური ხელფასის გადიდებამ განაპირობა საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების ფართო შესაძლებლობები. წარმოების და შრომის ნაყოფიერების სისტემატურმა ზრდამ შექმნა ობიექტური წინაპირობები საბჭოთა ადამიანის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების სრული დაკმაყოფილებისათვის. ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია ეროვნული შემოსავალი ერთ სულზე გაანგარიშებით და საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობა, მით უფრო შეფარდებით ნაკლები შრომა იხარჯება საჭირო მატერიალური წარმოების სფეროში და შესაბამისად უკეთესი წინაპირობები იქმნება ადამიანთა არასაწარმოო საქმიანობისათვის. აქედან გამომდინარე, სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ კანონზომიერებად შეიძლება იქნას მიჩნეული, რომ არასაწარმოო სფეროს, მათ შორის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის დონეს განსაზღვრავს საწარმოო ძალების განვითარების საერთო დონე, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლობა და ეროვნული შემოსავლის მოცულობა ერთ სულზე გაანგარიშებით.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკურორტო მეურნეობასა და ტურიზმს საქართველოსათვის, რომელსაც გააჩნია უნიკალური ბუნებრივ-გეოგრაფიული და ეკონომიური წინაპირობები თითქმის მთლიან რეკრეაციულ ზონად გადაქცევისათვის. აღნიშნული დარგი წარმოადგენს რესპუბლიკის საერთო საკავშირო სპეციალიზაციის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ არც ერთ სხვა რესპუბლიკაში საკურორტო-ტურისტული მეურნეობა ისე არ ასახავს ქვეყნის სახეს, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც საქართველოში. აქ კონცენტრირებულია სსრკ კურორტების 13,5%, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების სიმძლავრეების თითქმის 5%. ჩვენს რესპუბლიკაში ყოველწლიურად ჩამოდის მრავალი ასეული ათასი ტურისტი და დამსვენებელი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და რამდენიმე ათეული ათასი უცხოელი ტურისტი. მათ ემსახურება კვალიფიციური სპეციალისტების მრავალრიცხოვანი კოლექტივი.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარებამ გამოიწვია მრავალი საქალაქო ტიპის დასახლებების შექმნა, რომლებიც შესამჩნევ როლს ასრულებენ საქართველოს ქალაქთა სისტემაში. დამსვენებელთა და ტურისტთა ნაკადის გაძლიერებასთან ერთად აუცილებელი ხდება მომსახურე დარგების — საგარეუბნო ტიპის სოფლის მეურნეობის, კვების და მსუბუქი მრეწველობის საწარმოების, საყოფაცხოვრებო და სავაჭრო დაწესებულებების, სამშენებლო ორგანიზაციების შექმნა. საბოლოოდ ეს იწვევს თავისებური საკურორტო-ტურისტული კომპლექსების ჩამოყალიბებას, რომლებიც სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ რესპუბლიკის ეკონომიური სტრუქტურის ფორმირებაში. აღნიშნული კომპლექსების კვლევა ქართველ გეოგრაფთა და ეკონომისტთა აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს. სამწუხაროდ, საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მეცნიერული საფუძვლების შესწავლა (წმინდა სამედიცინო ასპექტის გარდა) პრაქტიკულად არ წარმოებდა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ხარვეზები ამათი განვითარების ტემპების და ტერიტორიული განლაგების დაგეგმვაში. ჩვენი შრომა მიზნად ისახავს ყურადღება გაამახვილოს საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის ეკონომიურ-გეოგრაფიული კვლევის აუცილებლობაზე. ამ შემთხვევაში გარკვეული დახმარება შეუძლია გაგვიწიოს ევროპის ქვეყნების გამოცდილებამ, სადაც ტურიზმი საკმაოდ დიდი ხანია მეცნიერული შესწავლის ობიექტი გახდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის როლი მსოფლიო ეკონომიკაში და მისი გეოგრაფია

ბუნების ძალების გამოყენების შესაძლებლობა ადამიანის ჯანმრთელობის აღდგენისა და გაკაჟებისათვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ რამდენიმე ათასწლეულის წინათ. საბერძნეთში ანტიკურ ეპოქაში ტაძრები შენდებოდა უმთავრესად იმ ადგილებში, სადაც სამკურნალო წყაროები, ჯანმრთელი კლიმატი და მდიდარი მცენარეულობა იყო. ისინი ასრულებდნენ თავისებური კურორტების როლს. კიდევ უფრო ფართო გავრცელება პოვეს საგარაკო ადგილებმა რომის იმპერიაში. უკვე მაშინდელ „მოდურ" კურორტებზე დროს ატარებდნენ რომის პატრიციები. ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა ბაიას ყურე, რომლის სანაპირო ზოლში განლაგებული იყო საბაზანო შენობები და მმართველი წრეების სასახლეები. კურორტები წარმოიშვა რომის იმპერიის სხვა ადგილებშიც, სადაც აღმოაჩინეს სამკურნალო მინერალური წყაროების გამოსავლები. ამ პერიოდში დაარსდა დღემდე ცნობილი კურორტები: ეკს-ლებენი, ააჰენი, ვისბადენი, ბადენ-ბადენი და ა. შ.

შუა საუკუნეებში კურორტებმა სრული დაქვეითება განიცადეს. მხოლოდ მე-18 ს-დან შეინიშნება საკურორტო მშენებლობის ერთგვარი გამოცოცხლება; მაგრამ უკვე მე-19 ს-ში, განსაკუთრებით მის მეორე ნახევარში, დასავლეთი ევროპის ქვეყნებში, კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, კურორტების განაშენიანება ინტენსიურად წარმოებდა. დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი იყო აგრეთვე სატრანსპორტო საშუალებების მკვეთრი გაუმჯობესება, სახელდობრ რკინიგზების ხშირი ქსელის შექმნა. საკურორტო მეურნეობა გადაიქცა მომგებიან დარგად, რომელშიც კერძო მეწარმეები ხალისით აბანდებდნენ თავიანთ კაპიტალს. თავის მხრივ, საკურორტო საქმის განვითარებამ ხელი შეუწყო მატერიალური წარმოების დარგთა ზრდას. ამ მხრივ კლასიკური ნიმუშია შვეიცარია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურიზმი, როგორც სოციალურ-ეკონომიური მოვლენა წარმოიშვა დაახლოებით მე-19 ს. შუა წლებში, თუმცა მისი განვითარების აუცილებლობა იწინასწარმეტყველა ფრანგმა ფილოსოფოსმა და მოგზაურმა მ. მონტენმა ჯერ კიდევ მე-16 ს. მეორე ნახევარში. ბუნებასთან ადამიანის დაახლოების (და ეს სიახლოვე ყველაზე უკეთ ტურიზმის გზით ხორციელდება) მომხრეები იყვნენ ცნობილი ფილოსოფოსები და მწერლები დ. ლოკი, ჟან-ჟაკ რუსო, გოეთე, შატობრიანი, სტენდალი, ბაირონი, ჰაინე და სხვ.

ამჟამად დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებს (იტალია, შვეიცარია, საფრანგეთი, ავსტრია, გერმანია და ა. შ.) გააჩნია მრავალრიცხოვანი კეთილმოწყობილი კურორტები. ერთდროულად ინტენსიურად ვითარდება ტურიზმი ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებით მდიდარ ადგილებში, მსხვილ საქალაქო ცენტრებში, კლიმატურად ხელსაყრელ რაიონებში და ა. შ. საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული ერთმანეთში, რომ ევროპული სტატისტიკა არც კი ავლებს ზღვარს ტურისტებსა და დამსვენებლებს შორის. ყველა ქვეყანაში აღინიშნება კურორტებზე ჩამოსულ ავადმყოფთა რაოდენობის შემცირება, რაც საკურორტო მკურნალობის სპეციფიკასთან არის დაკავშირებული. კურორტებზე ჩამოდიან ქრონიკულ დაავადებათა სამკურნალოდ. მათმა რაოდენობამ კი საგრძნობლად იკლო ტუბერკულოზით დაავადებულ პირთა შემცირების გამო, რომლებიც ადრე მთავარ კონტინგენტს შეადგენდნენ, ხოლო ტუბერკულოზის მკურნალობისათვის გამიზნული ბევრი საკურორტო ადგილი გადაიქცა ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის ბაზად.

ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაციამ ომისშემდგომ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში შექმნა ბაზა ტურიზმის სწრაფი ზრდისათვის. მთელი მსოფლიოს მოსახლეობის დანახარჯები ტურიზმზე შეადგენს 50—55 მლრდ დოლარს, რაც მოხმარებაზე დახარჯული საერთო თანხის 5% აღემატება. ამასთანავე 12 მაღალგანვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფო იძლეოდა ტურისტთა ნაკადის 82%. ძლიერი სტიმული ტურიზმის განვითარებისათვის ინდივიდუალური ავტოტრანსპორტის ზრდა და საგზაო ქსელის გაუმჯობესება იყო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში 30 მილიონზე მეტი კერძო ავტომანქანა, 20 მლნ მოტოციკლი და 300 ათასი ავტობუსი ითვლება. მოტორიზებული ტურისტები მათი საერთო რაოდენობის 55% შეადგენენ საფრანგეთში, 80% — შვედეთში და 90% — ავსტრიაში. მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის, განსაკუთრებით შორეული ტურიზმის, გაფართოებაში შეასრულა აგრეთვე საჰაერო ტრანსპორტმა, რომელიც

ინტენსიურად ვითარდება ომისშემდგომი წლების მანძილზე. თუ 1957—1967 წლებში მგზავრთა გადაყვანა საზღვაო ტრანსპორტით 50%-ით შემცირდა, რკინიგზებით კი გადიდდა მხოლოდ 20%-ით, ავტოტურიზმში გაიზარდა 200%-ით, ხოლო მგზავრთა გადაყვანა საჰაერო ტრანსპორტით 1200%-ით.

მხოლოდ უცხოელი ტურისტების საერთო რაოდენობამ მთელ მსოფლიოში 1969 წელს 150 მილიონს გადააჭარბა, ხოლო მათგან მიღებულმა შემოსავალმა 15 მლრდ დოლარს. გარდა ამისა, რამდენიმე ასეულმა მილიონმა პირმა იმოგზაურა საკუთარი ქვეყნის ფარგლებში. შექმნილია მძლავრი ტურისტული მეურნეობა. მარტო ევროპაში სასტუმროებისა და პანსიონატების ერთდროული ტევადობა 8—9 მლნ საწოლს შეადგენს.

ტურიზმის ტრადიციულ ქვეყნებთან ერთად (იტალია, შვეიცარია, ავსტრია) ამ დარგის მკვეთრი ზრდა აღინიშნება პირინეის ნახევარკუნძულზე (ესპანეთი, პორტუგალია), იუგოსლავიაში და ა. შ. მხოლოდ იტალიაში 1969 წელს აღრიცხული იყო 30 მლნ უცხოელი ტურისტი, რომელთაგან სავალუტო შემოსავალი 1,7 მლრდ დოლარი მიიღეს. იტალიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ტურისტების მიზიდვის ცენტრებია: ზღვისპირა და მთიანი რაიონები, დიდი ქალაქები, ისტორიული ძეგლებით მდიდარი პუნქტები.

ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე მრავალი ეკონომიური ფაქტორი, სახელდობრ, მყარი ფასები, ტურისტებისათვის განკუთვნილი საცხოვრებელი ფონდის მრავალფეროვნება, მომსახურეობის სისტემის სრულყოფილობა და ა. შ.

ესპანეთი ტურიზმის განვითარების დონით იტალიის შემდეგ ევროპის მეორე სახელმწიფოდ იქცა. უცხოელ ტურისტთა რაოდენობამ 1968 წელს 19,1 მლნ კაცს მიაღწია, ხოლო შემოსავალი ტურიზმიდან 94 მლნ დოლარიდან 1953 წელს გაიზარდა 1,200 მლრდ დოლარამდე 1968 წელს. ესპანეთის მმართველი წრეები ტურიზმის განვითარების გზით ცდილობენ ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობის დაძლევას. ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი ფარავს ესპანეთის საგარეო ვაჭრობის დეფიციტის 50%-ზე მეტს. საერთაშორისო ტურიზმი გარკვეულ დადებით ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ცალკეული რაიონების ეკონომიკაზე, იწვევს რა სამშენებლო საქმიანობის გამოცოცხლებას. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ესპანეთის 23 პროვინციაში, სადაც ტურიზმი არაა სათანადოდ განვითარებული, მოსახლეობა 1961—1967 წლების მანძილზე შემცირდა, დანარჩენ პროვინციებში კი — შესამჩნევად გაიზარდა. სასტუმროებისა და პანსიონატების საერთო ტევადობამ მიაღწია 545 ათას საწოლს, რაც ერთისამად აღემა-

ტება 1951 წლის მაჩვენებელს. სასტუმროების 62% განლაგებულია ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლში, მათ შორის კატალონიაში 28% და ბალეარის კუნძულებზე 22%.

ტურიზმი თვალსაჩინო როლს ასრულებს ევროპის სხვა ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაშიც და მათი მოსახლეობის უფრო სრულ დასაქმებაში. მაგალითად, საბერძნეთში უკანასკნელი 12—15 წლის მანძილზე შემოსავალი ტურიზმიდან 15-ჯერ გაიზარდა. თავისი მნიშვნელობით იგი განიხილება როგორც შემოსავლის მესამე ძირითადი წყარო სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შემდეგ.

საერთაშორისო ტურიზმი გახდა უცხოური ვალუტის მიღების ერთ-ერთი სერიოზული წყარო. ამიტომ მრავალი სახელმწიფოს ხელმძღვანელი ორგანოები ხელს უწყობს მის განვითარებას. მთელი რიგი ქვეყნები, რომელთაც უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვთ, ფარავენ მას ტურისტებისაგან მიღებული შემოსავლით. მაგალითად შეიძლება გამოდგეს ირლანდია. იგი ტურიზმიდან ერთ სულზე მიღებული შემოსავლის ოდენობით მეორე ადგილზე იმყოფება შვეიცარიის შემდეგ. ტურისტების საშუალო წლიური რაოდენობა აქ 1,5 მლნ კაცს აღემატება, ხოლო მათგან მიღებული შემოსავალი 48 მლნ ფუნტ სტერლინგს, რომლითაც იფარება იმპორტის 40%. რაც შეეხება ვალუტის მიმწოდებელ სახელმწიფოებს, მათ შორის გამოირჩევა ამერიკის შეერთებული შტატები (1 086 მლნ დოლარი), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (548 მლნ დოლარი) და დიდი ბრიტანეთი (120 მლნ დოლარი).

მიზანშეწონილია ტურისტული თვალსაზრისით ქვეყნების სამ კატეგორიად დაჯგუფება: 1. ტრადიციული ტურიზმის ქვეყნები, სადაც განვითარებულია ტურისტების როგორც „ექსპორტი", ისე „იმპორტი" (საფრანგეთი, იტალია და სხვ.), 2. ტურიზმისათვის ახალი ქვეყნები (უმთავრესად აზიასა და აფრიკაში) ტურისტების მნიშვნელოვანი „იმპორტით" და მცირე „ექსპორტით"; 3. მაღალგანვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოები, რომლებიც განაგრძობენ ტურისტების „ექსპორტს" დიდი რაოდენობით, მაგრამ ცდილობენ კომპენსაცია გაუკეთონ მას „იმპორტის" გაფართოების გზით. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება დიდი ბრიტანეთი, სადაც 1965 წელს 3 მლნ უცხოელი ტურისტი ჩავიდა. ამავე დროს საზღვარგარეთ 5 მილიონზე მეტმა ინგლისელმა იმოგზაურა.

დიდი როლი ენიჭება საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებას ევროპის მთიანი ქვეყნების ეკონომიკაში, რომელთა მატერიალური წარმოების დარგების განვითარება დიდ სიძნელეებს გა-

ნიცდის რთული ბუნებრივი პირობების გამო. ამიტომ ტურიზმი მიჩნეულია მთიანი რაიონების სამეურნეო ცხოვრების აღმავლობის მძლავრ სტიმულატორად. განსაკუთრებით კარგი პერსპექტივები არსებობს საშუალო და მაღალმთიან ზონაში სამთო-სათხილამურო სპორტისა და ზამთრის დასვენების ორგანიზაციისათვის. მთიანი ქვეყნის ტურისტული მიზნით მაქსიმალური ათვისების კარგი მაგალითია შვეიცარია, სადაც ყოველწლიურად ჩადის 6 მლნ ტურისტი, რომელთაგან მიღებული წმინდა შემოსავალი 0,5 მილიარდ დოლარს აღემატება. ამ დარგში დასაქმებულია მრავალი ათეული ათასი ადამიანი. შვეიცარიაში ამჟამად 7,7 ათასი სასტუმროა 230 ათასი საწოლით. მათი წლიური გამტარუნარიანობა 30 მლნ კაცდღეს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა ავსტრიაში. აქ ყოველწლიურად 6—7 მლნ ტურისტი ჩადის, მათგან მიღებული შემოსავალი კი 0,6 მლრდ დოლარს აღწევს. მხოლოდ ტიპიურ მთიან პროვინციაში — ტიროლში სასტუმროების ტევადობამ 1969 წელს 250 ათას საწოლს მიაღწია. გამტარუნარიანობამ თითქმის 20 მლნ კაცდღეს. აქ მოქმედებს 28 საბაგირო გზა და 500-მდე ასასვლელი მოთხილამურეებისათვის. დიდი როლი მიუძღვის ტურიზმს აგრეთვე საფრანგეთის ალპური რაიონების ეკონომიურ აღმავლობაში, რასაც ადგილი ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში.

საგარეო ტურიზმთან ერთად ფართო გავრცელება ჰპოვა ადგილობრივმა ტურიზმმა, განსაკუთრებით მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ამ მხრივ გამოირჩევა აშშ, რომლის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მოგზაურობს ათეული მილიონობით ამერიკელი მოქალაქე. საფრანგეთში ის პირები, რომლებიც ქვეყნის შიგნით მოგზაურობენ, შეადგენენ ტურისტთა საერთო ნაკადის 88%, დიდ ბრიტანეთში 85%, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 61%, ესპანეთში 62% და ა. შ. სამამულო ტურიზმი იძლევა ტურიზმიდან მიღებული საერთო შემოსავლის 70% დიდ ბრიტანეთში, 46% იტალიაში, 44% შვეიცარიაში. მასიურ სოციალურ-ეკონომიურ მოვლენად იქცა შიდა ტურიზმი ევროპის სოციალისტურ ქვეყნებშიც.

ტურიზმის განვითარება იწვევს სოციალურ-ეკონომიური და გეოგრაფიული ხასიათის მნიშვნელოვან ცვლილებებს: თვითმოქმედი მოსახლეობის სტრუქტურის შეცვლას მომსახურე დარგებში ჩაბმულ პირთა ხვედრითი წონის ზრდის ხარჯზე; ადგილობრივი მოსახლეობის ემიგრაციის პროცესის შესუსტებას, განსაკუთრებით მთიან რაიონებში; საქალაქო დასახლებების რაოდენობის გადიდებას; მოსახლეობის მატერიალური დონის ამაღლებას; უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქციის უკეთეს გასაღებას; საგზაო მშენებლობის გაძ-

ლიერებას და ა. შ. საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარება ერთგვარად ხელს უწყობს ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებას. უმთავრესად მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქების ქსელის ფორმირების გზით. ცალკეულ შემთხვევაში ადგილი აქვს მსხვილი საქალაქო ცენტრების შექმნასაც (ნიცა—საფრანგეთში, ვისბადენი—გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში), მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საკურორტო-ტურისტული ფუნქცია თანდათან უთმობს დომინირებულ ადგილს სხვა ფუნქციებს (სამრეწველო, ადმინისტრაციულ-კულტურულ). ვისბადენი, მაგალითად, წარმოიშვა როგორც ტიპური საკურორტო ქალაქი ადგილობრივი მინერალური წყლების ბაზაზე, მაგრამ ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ და მნიშვნელოვანი რაოდენობით შრომითი რესურსების არსებობამ განაპირობა აქ მრეწველობის განვითარება. გაძლიერდა ქალაქის კულტურული ფუნქციაც. იგი გახდა სამეცნიერო კონგრესების, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების ჩატარების ადგილი.

მსოფლიო ტურიზმის გეოგრაფიული განლაგებისათვის დამახასიათებელია მისი კონცენტრაცია ევროპის ქვეყნებსა და ნაწილობრივ ჩრდილოეთ ამერიკაში (აშშ, კანადა). გაცილებით უფრო ნაკლებად არის წარმოდგენილი იგი აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის ქვეყნებში (ცხრ. 1). ეს განსხვავებანი გამოწვეულია ამ უკანასკნელთა

ცხრილი 1

რაიონის დასახელება	ტურისტების რაოდენობა მლნ. კაცი		პროცენტობით	
	1950 წ.	1965 წ.	1950 წ.	1965 წ.
სულ	25,3	115,9	100	100
მათ შორის ევროპა	16,9	86,0	66,8	74,2
ჩრდ. ამერიკა	6,2	19,4	24,5	16,7
ლათინური ამერიკა	1,3	3,7	5,1	3,2
აზია, ავსტრალია, ოკეანია	0,4	4,7	1,6	4,1
აქედან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები	0,2	2,8	0,8	2,4

ეკონომიური ჩამორჩენილობით და მათი მოსახლეობის დაბალი მატერიალური დონით.

ევროპის ქვეყნებზე მოდის საერთაშორისო ტურიზმიდან მიღებული შემოსავლის 2/3. განსაკუთრებით ფართოდაა გავრცელებული ტურიზმი დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში.

სოციალისტური ქვეყნების ხვედრითი წონა ევროპაში ტურისტთა საერთო რაოდენობის მხრივ ჯერჯერობით არ აღემატება 20%. მაქსიმალურ განვითარებას ამ დარგმა მიაღწია ხმელთაშუა ზღვის აუზში განლაგებულ ქვეყნებში (პირველ რიგში, იტალიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში), სადაც უცხოელი ტურისტების რაოდენობა წელიწადში 50—60 მლნ შეადგენს. ტურისტებს აქ იზიდავს თბილი სუბტროპიკული კლიმატი, რამდენიმე ათასი კილომეტრის სიგრძის მქონე სანაპირო ზოლი მრავალრიცხოვანი კუნძულებითა და ყურეებით, იტალიისა და საბერძნეთის ისტორიული ძეგლები. სერიოზული ფაქტორია აგრეთვე მომსახურების შედარებით დაბალი ფასები.

ცენტრალური ევროპა მნიშვნელობით მეორე ტურისტული რაიონია. კერძოდ ალპების მთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს შვეიცარიას, ავსტრიას, საფრანგეთისა და იტალიის ნაწილს, აქ ყოველწლიურად ჩადის დაახლოებით 15—20 მლნ ტურისტი.

მესამე ტურისტული რაიონი მდებარეობს ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში. ტურისტების საერთო რაოდენობა აქ (12—15 მლნ წელიწადში) ნაკლებია, ვიდრე წინა ორ რაიონში. დამახასიათებელია ტურისტთა ნაკადის მკვეთრი სეზონური რყევა.

არაევროპული ქვეყნებიდან საერთაშორისო ტურიზმის განვითარების დონით გამოირჩევა კანადა (15 მილიონზე მეტი წელიწადში). მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა მეზობელი ამერიკის შეერთებული შტატებიდან არიან ჩამოსული. თვით აშშ-ში უცხოელი ტურისტების რაოდენობა ერთ მილიონს არ აღემატება. 1,7 მლნ ტურისტი ჩადის მექსიკაში, ლათინური ამერიკის მთავარ ტურისტულ სახელმწიფოში.

აფრიკისა და აზიის ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმის ერთადერთი მნიშვნელოვანი რაიონია ახლო აღმოსავლეთი, სახელდობრ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და ლიბანი; პირველ მათგანში 1964 წელს ჩამოსული იყო 289 ათასი ტურისტი, მეორეში 263 ათასი; აზიაში ტურიზმი ვითარდება იაპონიაში, ინდოეთში, მნიშვნელოვან ცენტრად იქცა სიანგანი (ჰონკონგი).

აფრიკის განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა მაქსიმალურად უწყობს ხელს ტურისტების მიზიდვას. მაგალითად, კენიაში 1966 წელს 106,5 ათასი უცხოელი ტურისტი ჩავიდა და ტურიზმი გადაიქცა უცხოური ვალუტის მიღების მეორე უმნიშვნელოვანეს წყაროდ, მთავარი საექსპორტო კულტურის — ყავის — შემდეგ.

სწრაფად ვითარდება საკურორტო-ტურისტული მეურნეობა სოციალისტურ ქვეყნებში, სადაც იგი ემსახურება მუშათა კლასის, გლეხთა, მშრომელი ინტელიგენციის ჯანმრთელობის დაცვის საქმეს. უკანასკნელი 10—15 წლის მანძილზე ინტენსიურად ფართოვდება ამ

ქვეყნებში საერთაშორისო ტურიზმიც (იხ. ცხრ. 2). უცხოელი ტურისტების ძირითადი კონტინგენტი შედგება სხვა სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული პირებისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით სწრაფი ტემპებით იქმნება ჯანმრთელობის ახალი კერები ბულგარეთსა და რუმინეთში, რომელთაც უწინ თითქმის არ გააჩნდათ მსხვილი კურორტები. ბულგარეთში უცხოელი ტურისტების რაოდენობა 50 ათასიდან 1958 წელს გაიზარდა დაახლოებით 2 მილიონამდე 1969 წელს, ხოლო სავალუტო შემოსავალი 1960—1964 წლების მანძილზე — 4,3-ჯერ. აქ შეიქმნა საერთაშორისო მნიშვნელობის საკურორტო-ტურისტული ცენტრები ვარნის მიდამოებში, სოფიაში, მთიან რაიონებში. მხოლოდ კურორტებზე „მზიური ნაპირი“, „მეგობრობა“ და „ოქროს ქვიშა“ აგებულია 90-ზე მეტი 12 ათასადგილიანი თანამედროვე ოტელი და 700 ორადგილიანი ტურისტული სახლი.

ცხრილი 2

ქვეყნები	ტურისტთა რაოდენობა (ათასი კაცი) 1966 წ.
ბულგარეთი	1485
გდრ	700
იუგოსლავია	3600
პოლონეთი	1,250
რუმინეთი	810
უნგრეთი	1,604
ჩეხოსლოვაკია	3,518

საგრძნობლად გაფართოვდა ძველი, უკვე სახელმოხვეჭილი კურორტები და ტურიზმის ცენტრები ჩეხოსლოვაკიაში (კარლოვი ვარი, მარიანსკე ლაზნი, ფრანტიშკოვე ლაზნი და ა. შ.); 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში ჩავიდა 4,2 მლნ უცხოელი ტურისტი, წინააღმდეგ 400 ათასისა 1928 წელს. ტურისტების ნაკადი ძირითადად მოემართება მეზობელი სოციალისტური (გდრ, პოლონეთი, უნგრეთი) და კაპიტალისტური (ავსტრია, გფრ) ქვეყნებიდან. ტურისტულ მეურნეობაში 50 ათასი კაცია ჩაბმული.

პოლონეთში ტურიზმის ტრადიციული ცენტრებია დედაქალაქი ვარშავა, ისტორიული ძეგლებით მდიდარი კრაკოვი, აგრეთვე ზღვისპირა (სოპოტი, კოლობჟეგი) და სამთოკლიმატური (ზაკოპანე) კურორტები.

1968 წელს პოლონეთი 2,11 მლნ უცხოელმა ტურისტმა ინახულა, უმთავრესად სოციალისტური ქვეყნებიდან. ტურისტულმა დაწესებულებებმა ერთდროულმა ტევადობამ მიაღწია 70 ათასამდე საწოლს. ტურიზმის მომსახურე მრეწველობის დარგების მთლიანმა პროდუქციამ 0,5 მლრდ ზლოტს გადააჭარბა.

ტურიზმი საგრძნობლად გაფართოვდა აგრეთვე უნგრეთში (ბუდაპეშტი, ბალატონის ტბა) და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში (დრეზდენი, ლაიფციგი, ვეიმარი, ჰარცისა და ტიურინგიის მთები).

განსაკუთრებით ინტენსიურად ვითარდება ტურიზმი იუგოსლავიაში, რასაც ხელს უწყობს მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. უცხოელი ტურისტების რაოდენობა გაიზარდა 123 ათასიდან 1929 წელს (ომამდელი მაქსიმუმი), 0,9 მლნ კაცამდე 1960 წელს და 3,9 მლნ კაცამდე 1966 წელს, მათგან მიღებული შემოსავალი კი შესაბამისად შეადგენდა 7,1 მლნ დოლარს, 18,4 მლნ და 120 მლნ-ს, რამაც დაფარა საგარეო ვაჭრობის დეფიციტის 40—50%. სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, იუგოსლავიაში ტურისტები ჩადიან ძირითადად კაპიტალისტური ქვეყნებიდან (გფრ, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი). შემუშავებულია ტურიზმის განვითარების გეგმა 1970 წლამდე, რომელიც ითვალისწინებს 450 მლნ დოლარის კაპიტალდაბანდებებს. ვარაუდობენ, რომ 1970 წელს უცხოელი ტურისტების რაოდენობა იუგოსლავიაში მიაღწევს 5 მლნ კაცს, ხოლო მათგან მიღებული შემოსავალი 220 მლნ დოლარს.

სულ სოციალისტურ ქვეყნებში (სსრკ და გდრ გამოკლებით) სავალუტო შემოსავალი უცხოური ტურიზმიდან გაიზარდა 79,5 მლნ დოლარიდან 1962 წელს 374,9 მლნ დოლარამდე 1967 წელს, ე. ი. საშუალო წლიური ნამატი შეადგენდა 32,6%, წინააღმდეგ 11,2% ევროპის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი საბჭოთა კავშირში

საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარება საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ფართო მასშტაბით დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, თუმცა კურორტების შექმნის პირველი ცდები ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დამდეგს დაიწყო, როდესაც პეტრე პირველის გადაწყვეტილებით დაარსდა კურორტი „მარციალური წყლები“ კარელიაში. ბევრად უფრო ადრე ბუნების ძალებს ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის იყენებდნენ ჩვენი ქვეყნის ხალხები. მაგალითად, საქართველოში აბასთუმნის სამკურნალო წყა-

როები გამოიყენებოდა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში. ხოლო წყალტუბოს წყალი ცნობილი იყო მე-12 საუკუნეში. ასევე ძველთაგანვე იყო გამოყენებული მინერალური წყაროები: დრუსკინიკაი, ბირშტონასი, ლიკენაი ლიტვაში, კემერი და ბალდონე ლატვიაში, მორშინი და ლუბენველიკი დასავლეთ უკრაინაში და ა. შ. მიუხედავად ამისა თანამედროვე კურორტების შექმნა დაიწყო მხოლოდ მე-19 საუკუნეში, როდესაც კავკასიის, ყირიმისა და ბალტიისპირეთის საკურორტო რესურსები აითვისეს. გარკვეული წარმატებების მიუხედავად, რუსეთის კურორტები რევოლუციამდელ პერიოდში კეთილმოწყობის დონით და მომსახურების ხარისხით ჩამოუვარდებოდნენ ევროპის ცნობილ კურორტებს, მეფის რუსეთის მშრომელი მოსახლეობის დაბალი მატერიალური დონე აგრეთვე აფერხებდა კურორტებზე ჩამოსულ პირთა ზრდას. დამსვენებელთა ძირითადი კონტინგენტი შედგებოდა არისტოკრატიული წრეების მსხვილი მიწათმფლობელებისა და მაღალი რანგის ოფიცრობისაგან (ყირიმის სამხრეთი ნაპირი), ბურჟუაზიისაგან (კავკასიის მინერალური წყლები, ევპატორია) და მაღალი შემოსავლის მქონე ინტელიგენციისაგან (ძირითადად ბალტიის ზღვისპირეთის კურორტებზე). მთელი რუსეთის ტერიტორიაზე მოქმედებდა 60 სანატორიუმი 3 ათას საწოლზე. რაც შეეხება ტურიზმს, იგი ახლად ისახებოდა და აერთიანებდა მხოლოდ მოგზაურობით დაინტერესებულ რამდენიმე ასეულ პირს.

ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის კურორტების განვითარებაში დადგა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. საკურორტო მშენებლობა მიჩნეულ იქნა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანად. კერძო პირთა აგარაკების რეკონსტრუქციასთან და მათ ბაზაზე სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების ქსელის შექმნასთან ერთად დაიწყო ახალი საკურორტო დაწესებულებების მშენებლობა, კურორტების საერთო რაოდენობამ 500 გადააჭარბა, აქედან უმეტესი ნაწილი განლაგებულია რსფსრ ტერიტორიაზე (208), უკრაინაში (86), საქართველოში (68) და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში (41).

საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეიქმნა მძლავრი საკურორტო მეურნეობა, რომლის მატერიალური ბაზის ზრდა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა (ცხრ. 3).

საკურორტო მშენებლობაში კაპიტალდაბანდებები სისტემატურად იზრდება. უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე მხოლოდ პროფკავშირების დაქვემდებარების საკურორტო დაწესებულებების აგებაზე რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობაზე დაიხარჯა 600 მლნ მანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურორტო დაწესებულება	წლები							
	1913		1939		1960		1969	
	რაოდენობა	საწოლები (ათასი)	რაოდენობა	საწოლები (ათასი)	რაოდენობა	საწოლები (ათასი)	რაოდენობა	საწოლები (ათასი)
სანატორიუმები	60	30	1838	240,0	2073	321,0	2235	427
დასასვენებელი სახლები	—	—	1270	195,0	874	176,0	1213	304
პანსიონატები	—	—	—	—	46	7,0		

დიდი ცვლილებები მოხდა კურორტების გეოგრაფიაში: საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში არსებულ საკურორტო ცენტრებთან ერთად (კავკასიის მინერალური წყლები, ყირიმის სამხრეთი ნაპირი) ჩამოყალიბდა ფაქტიურად ახალი, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სოჭი-ანაპას საკურორტო ზონა, რომელიც ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ დამსვენებელს ემსახურება. ასევე პრაქტიკულად ახალ საკურორტო რაიონებად შეიძლება ჩავთვალოთ აფხაზეთისა და აჭარის ზღვისპირეთი, წყალტუბო, ნალჩიკი, ყირიმის აღმოსავლეთი ნაპირი და ა. შ. მხოლოდ სოჭაში სამკურნალოდ ჩამოსულ პირთა რაოდენობა გაიზარდა 8 ათასიდან 1925 წელს 118 ათასამდე 1935 წელს და 636 ათასამდე 1966 წელს. სულ „დიდი სოჭის" ფარგლებში ყოველწლიურად ისვენებს და მკურნალობს 2 მლნ საბჭოთა ადამიანი. აქ ამჟამად მოქმედებს 130 საკურორტო დაწესებულება 52 ათასი საწოლით.

მნიშვნელოვან მიღწევად უნდა ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის აღმოსავლეთი რაიონების საკურორტო რესურსების ათვისება. შუა აზიაში, ყაზახეთში, ურალსა და ციმბირში შექმნილია ათეულობით კეთილმოწყობილი კურორტი, სადაც მკურნალობა არანაკლებ ეფექტს იძლევა, ვიდრე კავკასიისა და ყირიმის სახელმოხვეჭილ კურორტებზე.

ინტენსიურად ვითარდება საკურორტო მეურნეობა უკრაინაში, სადაც მოქმედებს 600 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი 138 ათას ადგილზე, 100-მდე ტურისტული ბაზა 16 ათას ადგილზე და სხვა სახის დასვენებისათვის განკუთვნილი დაწესებულებები, რომლებიც წელიწადში 2 მილიონზე მეტ ადამიანს ემსახურება. სულ საბჭოთა კავშირის საკურორტო დაწესებულებები ყოველწლიურად 8 მლნ კაცს ატარებენ. გარდა ამისა, ზაფხულსა და შემოდგომაზე ქვეყნის საკურორტო რაიონებში მიემართება უსაგზურო დამსვენებელთა მრავალმილიონიანი ნაკადი. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შვებულე-

ბას ატარებს დიდი ქალაქების გარშემო განლაგებულ სააგარაკო ადგილებში. მხოლოდ მოსკოვის სააგარაკო ზონაში არაორგანიზებულ დამსვენებელთა რაოდენობა გაიზარდა 170 ათასიდან 1933 წელს 700—800 ათასამდე ამჟამად.

საკურორტო მკურნალობა, დასვენება და ტურიზმი გადაიქცა სერიოზულ ეკონომიურ ფაქტორად, ვინაიდან მუშა-მოსამსახურეთა რეალური ფულადი შემოსავლის გადიდებასთან ერთად იცვლება ხარჯების სტრუქტურა. ჯერ კიდევ 15—20 წლის წინათ მშრომელთა ხელფასი ხმარდებოდა კვების პროდუქტებისა და პირველი მოხმარების სამრეწველო ნაწარმის შესყიდვას. ახლა კი მუშა-მოსამსახურეთა დანახარჯებში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს (ხანგრძლივი ხმარების საგნებთან ერთად) მომსახურების სხვადასხვა ფორმებზე, მათ შორის დასვენების ორგანიზაციაზე დახარჯული თანხა.

საკურორტო მეურნეობა თანდათან ხდება მნიშვნელოვანი არამწარმოებლური დარგი, რომელიც გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნის ზოგიერთი რაიონის მეურნეობრივ სტრუქტურაზე და მოსახლეობის დასაქმებულობაზე. საბჭოთა კავშირის კურორტებს ემსახურება უმაღლესი და საშუალო კვალიფიკაციის 45 ათასი მედიცინის მუშაკი. სხვადასხვა სახის საკურორტო დაწესებულებებში მუშაობს კიდევ 100 ათასზე მეტი მომსახურე პერსონალი, მხოლოდ სოჭის საკურორტო დაწესებულებებში 10 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს. იმ პირთა საერთო რაოდენობა კი, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკავშირებულნი არიან საკურორტო მეურნეობასა და ტურიზმთან, გაცილებით უფრო მეტია. ისინი შეადგენენ საკურორტო ტიპის დასახლებული პუნქტების მოსახლეობის უმეტეს ნაწილს. ძალზედ მიახლოებითი გაანგარიშებით ასეთ დასახლებებში ცხოვრობს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 1—1,5%, ე. ი. კურორტებსა და ტურიზმში ჩაბმულია მომუშავე მოსახლეობის 1%. ამ დარგის ქალაქთშემქმნელი როლის შესახებ კარგ მაგალითს იძლევა კავკასიის და ყირიმის საკურორტო რაიონები, სადაც ჩამოყალიბდა არა მარტო ცალკეული ქალაქები და დაბები, არამედ თავისებური საკურორტო აგლომერაციები. მაქსიმალურ განვითარებას ამ ტიპის ჯგუფობრივმა დასახლებებმა მიაღწიეს კავკასიური მინერალური წყლების, დიდი სოჭის და ყირიმის სამხრეთი ნაპირის რაიონში. პირველი მათგანი წარმოადგენს ოთხი მნიშვნელოვანი ქალაქის (კისლოვოდსკი, პიატიგორსკი, ესენტუკი, მინერალური წყლები) და რამდენიმე უფრო მცირე საქალაქო დასახლების (მ. შ. ქ. ჟელეზნოვოდსკი), აგლომერაციას, სადაც მოსახლეობის საერთო რაოდენობა 300 ათას კაცს აღემატება. ბევრად არ ჩამორჩება მას სოჭის აგლომერაცია, რომელიც მონო-

ცენტრულ ხასიათს ატარებს. კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი, მაგრამ ნაკლებად ხალხმრავალი, საკურორტო დასახლებების ჯგუფი შეიქმნა ყირიმის სამხრეთ ნაპირზე (იალტა, ალუშტა, ალუპკა, სიმეიზი, გურზუფი და სხვ.). სამი საკურორტო აგლომერაცია ჩამოყალიბდა ბალტიის ზღვის სანაპიროზე: იურმალა (რიგის ზღვისპირეთი), ლენინგრადის საკურორტო რაიონი (ზელენგორსკი-სესტრორეცკი) და კალინინგრადის ზღვისპირეთი. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებს, იქ კურორტების ჯგუფური ფორმები თითქმის არ გვხვდება და იგი მეტ-ნაკლები სიდიდის ცალკეული დასახლებების სახითაა წარმოდგენილი.

მიმდინარე ხუთწლედში (1966—1970 წწ.) მიმდინარეობს კურორტების შემდგომი გაფართოება. სამკურნალო დაწესებულებებში ადგილების რაოდენობა 130—135 ათასით იზრდება. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკურორტო ქსელის გაფართოებას ყველაზე უფრო ძვირფასი ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების მქონე ადგილებში. საკურორტო მშენებლობის გაფართოება შესაძლებლობას მოგვცემს სამკურნალო დაწესებულებების სიმძლავრე გავზარდოთ 25—28 ათასი ადგილით წელიწადში, წინააღმდეგ 15—16 ათასისა განვლილ შვიდწლედში, 1970 წ. მხოლოდ პროფკავშირების საკურორტო დაწესებულებები მოემსახურნენ 8 მილიონ კაცს, წინააღმდეგ 6 მილიონისა 1965 წელს.

ახალი საკურორტო დაწესებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი აგებულ იქნება იმ რაიონებში, სადაც ინტენსიურად ვითარდება მრეწველობა და სწრაფად იზრდება მოსახლეობა. ერთდროულად ყოველმხრივ გაფართოვდება ძველი საკურორტო რაიონებიც.

საკურორტო მეურნეობასთან ერთად სულ უფრო მეტად ვითარდება ტურიზმი, რომელშიც საუკეთესოდ არის შეხამებული შემეცნებითი მიზნები დასვენების რაციონალურ ორგანიზაციასთან (ცხრ. 4).

ცხრილი 4

	1950 წ.	1960 წ.	1965 წ.	1969 წ.
ტურისტული და ალპინისტური ბაზების რაოდენობა	81	243	469	564
მათში ადგილები (ათასი საწოლი)	9	39	98	141

გარდა მრავალრიცხოვანი ტურისტული ბაზებისა ტურისტებს ემსახურებოდა 98 საზღვაო და სამდინარო გემი და 1000-ზე მეტი ტურისტული მატარებელი; შესრულდა 8700 სპეციალური ავიორეისი

ტურისტებისათვის და 70 ათასი ავტორეისი. საბჭოთა მშრომელებისათვის შემუშავებულია 203 საკავშირო და 1685 ადგილობრივი გრძელვადიანი და 80 ათასამდე საკვირაო ტურისტული მარშრუტი. შექმნილია 2 ათასი ტურისტული გამაჯანსაღებელი ბანაკი, ერთ ათასზე მეტი მეთევზეთა და მონადირეთა სახლი. 1970 წელს საბჭოთა კავშირის 50 მლნ მშრომელმა გაატარა თავისი შვებულება პროფკავშირულ-ტურისტულ ბაზებში, იმოგზაურა გემებით, ტურისტული მატარებლებით, ქვეითად და ა. შ. (საკვირაო ტურიზმის და ექსკურსანტების ჩათვლით). ფართო პერსპექტივები დაისახა მოკლევადიანი ტურიზმის წინაშე ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში. მოსკოვიდან დასვენების დღეებში ქალაქგარეთ მიემგზავრება 1,3—1,4 მლნ-მდე კაცი. ამასთან არის დაკავშირებული „დასვენების ზონების“ შექმნის აუცილებლობა დიდი ქალაქების გარშემო. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია კლიაზმის წყალსაცავის ნაპირებზე, მოსკოვის მახლობლად, „დასვენების ქალაქის“ მშენებლობით, რომელშიც შედის კეთილმოწყობილი პანსიონატები, პლაჟები, საზოგადოებრივი კვების საწარმოები. ტურიზმის მნიშვნელოვან რაიონებად იქცა ამიერკავკასია, ჩრდილოეთ კავკასია, ყირიმი, კარპატები, მსხვილი საქალაქო ცენტრები (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, რიგა, ტალინი). დიდი პოპულარობით სარგებლობენ ცნობილი ნაკრძალები — თებერდის, კავკასიის, ყირიმის, ასტრახანის და ა. შ. ამჟამად მიმდინარეობს მსხვილი ტურისტული კომპლექსების მშენებლობა მწვერვალ იალბუზის მიდამოებში 5 ათას ადგილზე, დომბაიში 3 ათას ადგილზე, სელიგურზე 4 ათას ადგილზე, სევანზე 2 ათას ადგილზე, მოსკოვის ოლქში 4 ათას ადგილზე და ა. შ. გათვალისწინებულია, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ყველა სახის ტურისტულ-საექსკურსიო ღონისძიებებში ჩაბმული იქნება 80 მლნ ადამიანი, ე. ი. სსრ კავშირის ყოველი მესამე მცხოვრები. ტურისტული ინდუსტრიის მომსახურების ღირებულება მიაღწევს 1,5 მლრდ მანეთს წელიწადში.

უკანასკნელი 10—12 წლის მანძილზე ინტენსიურად ვითარდება საერთაშორისო ტურიზმი, რაც დაკავშირებულია კულტურული ურთიერთობის ზრდასთან საბჭოთა კავშირსა და საზღვარგარეთის ქვეყნებს შორის. საერთაშორისო ტურიზმი საბჭოთა ხალხის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მიღწევათა პროპაგანდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა და ერთდროულად იგი უცხოური ვალუტის მიღების სერიოზული წყაროცაა. საზღვარგარეთელი ტურისტების რაოდენობამ 1968 წელს 1,8 მლნ მიაღწია, აქედან დაახლოებით 1/3 იყო „სუფთა“ ტურისტი. მაგრამ სასტუმროების არასაკმარისი

ტევადობა მათ შემდგომ ზრდას დიდად აძნელებს. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქში მიმდინარეობს რამდენიმე ათეულ სასტუმროსა და ოტელის მშენებლობა. ამ ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგაც უცხოელი ტურისტების დაკმაყოფილების პრობლემა მთლიანად გადაწყვეტილი არ იქნება, ვინაიდან მშენებლობის სტადიაში მყოფი სასტუმროების ერთდროული ტევადობა მხოლოდ რამდენიმე ათეული ათასი საწოლი იქნება, იმ დროს, როდესაც ევროპის (მთლიანად) სასტუმროების ერთდროული ტევადობა შეადგენს 2,3 მლნ საწოლს.

ამჟამად უცხოელი ტურისტების ძირითადი ნაკადი შედგება ევროპის სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული პირებისაგან, ამავე ქვეყნებში მიემართება საბჭოთა ტურისტების უმეტესი ნაწილი (ცხრ. 5).

ცხრილი 5

სახელმწიფო	1967 წ. (ათასი კაცი)	
	უცხოელი მოქალაქის ჩამოსვლა	საბჭოთა მოქალაქის გამგზავრება
ბულგარეთი	125,2	106,4
უნგრეთი	67,5	55,3
გდრ	131,1	86,3
პოლონეთი	355,0	201,3
რუმინეთი	82,0	67,8
ჩეხოსლოვაკია	127,2	101,1
იუგოსლავია	32,0	15,1
ავსტრია	8,4	17,3
დიდი ბრიტანეთი	32,0	29,8
იტალია	30,3	38,8
ნორვეგია	46,5	9,4
ფინეთი	328,0	46,5
საფრანგეთი	49,2	28,1
გფრ	44,1	20,3
აშშ	30,4	2,9
შვეცია	21,4	44,5
იაპონია	32,3	64,3
მსოფლიოს ყველა ქვეყანაში	1.755,2	1.544,7
მ. შ. სოციალისტურ ქვეყნებში	997,3	828,5

კაპიტალისტური ქვეყნებიდან შედარებით ინტენსიური კავშირი დამყარებულია ფინეთთან, საფრანგეთთან, შვედეთთან, იაპონიასთან. უკანასკნელ დროს გაცხოველდა საბჭოთა ადამიანების ტურისტული მოგზაურობები ჩრდილოეთი აფრიკის ქვეყნებში და, განსაკუთრებით, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ საკურორტო-ტურისტული მეურნეობა

საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების ძირითადი ფაქტორები

საბჭოთა კავშირის საკურორტო ტურისტულ რაიონებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოს. მის ტერიტორიაზეა ბუნებრივი, ეკონომიური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების უნიკალური შეხამება, რომლებიც განაპირობებენ რესპუბლიკის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის საერთაშორისო მნიშვნელობის რეკრეაციულ ზონად გადაქცევას.

მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს საკურორტო მეურნეობებისა და ტურიზმის განვითარების ფართო მასშტაბებს საქართველოში, წარმოადგენს მისი ბუნებრივი გარემო; საქართველო წარმოადგენს გეოგრაფიული ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობის კლასიკურ მაგალითს და გააჩნია მათი თითქმის სრული გამა დაწყებული ნოტიო სუბტროპიკებით და გათავებული ნივალური ზონით. ამიტომ ჩვენი რესპუბლიკის ესთეტიკური რესურსები უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე ყირიმის, კარპატების და კრასნოდარის მხარის. საკურორტო-ტურისტული მშენებლობისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგია ის რაიონები, რომლებიც განლაგებულია კავკასიონის და სამხრეთი მთიანეთის მთიანი სისტემების ფარგლებში, აგრეთვე შავი ზღვისპირეთში. ესთეტიკურ ფაქტორთან ერთად დამსვენებლებს იზიდავს მთისა და ზღვიური კლიმატის სამკურნალო თვისებები, უმდიდრესი ჰიდრომინერალური რესურსები, რაც საკურორტო მკურნალობისათვის ნაჩვენები ყველა სახის დაავადების მკურნალობის საშუალებას იძლევა. საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინებულია 1300-ზე მეტი მინერალური წყარო. მათი საერთო დებიტი შეადგენს დაახლოებით 85 მლნ ლიტრს დღეღამეში, აქედან 40% მოდის ნახშირმჟავა და 25% მეტი გოგირდწყალბადიან წყლებზე.

მთლიანად საქართველოს კლიმატისათვის დამახასიათებელია ზომიერად მაღალი ტემპერატურა (მაღალმთიანი ზონის გარდა) წლის თბილ პერიოდში და რბილი ზამთარი. მზის ნათების საათების ხანგრძლივობა დასავლეთ საქართველოში 2000—2400 საათს შეადგენს, აღმოსავლეთ საქართველოში კი 2400—2500 საათს. მზის სიმაღლე ჰორიზონტზე 11 თვის მანძილზე 25°-ზე მეტია (ე. ი. იგი ბიოლოგიურად აქტიურია), ხოლო 7 თვის მანძილზე 45°-ზე მეტი, როდესაც აღინიშნება ულტრაიისფერი დასხივების სიუხვე.

საქართველოს მთიანი ზონა გამოირჩევა ლამაზი ლანდშაფტებით, ჯანმრთელი კლიმატით, მრავალრიცხოვანი მინერალური წყაროებით.

მთის კლიმატის დადებითი მხარეებია: ჰაერის სიწმინდე როგორც ორგანულ-განული, ასევე არაორგანული მტვრის მცირე შემცველობის გამო; მზის რადიაციის (მ. შ. ულტრაიისფერი) ინტენსივობის გაძლიერება, რის შედეგადაც იგი ხდება ბიოლოგიურად უფრო აქტიური, ხოლო ატმოსფერო უფრო სტერილური. დაბოლოს, ზომიერი ტემპერატურები ზაფხულში, რესპუბლიკის მთათაშორისო დადაბლებების ზონასთან შედარებით, დადებით როლს ასრულებენ დასვენებისათვის.

განსაკუთრებით კარგი კლიმატური პირობებით გამოირჩევა დაბალმთიანი (500—1000 მ ზ. დ.) და საშუალომთიანი (1000—1500 მ) ზონები, სადაც კონცენტრირებულია სამთოკლიმატური და ბალნეოკლიმატური კურორტების უმეტესი ნაწილი. ეს ზონები ზომიერად რბილი ზამთრით და ზომიერად თბილი ზაფხულით ხასიათდება. მცენარეულობის ძირითადი ტიპებია ფართოფოთლოვანი, შერეული და მუქწიწვიანი ტყეები. 700 მ სიმაღლემდე უმთავრესად ბალნეოლოგიური კურორტებია განლაგებული (ნაბეღლავი, ტყვარჩელი, ზვარე, ნუნისი და სხვ.), 700—1000 მ სიმაღლეზე ძირითადად ბალნეოკლიმატური (ბორჯომი, საირმე, სურამი), ხოლო 1000—1500 მ სიმაღლეზე უპირატესად სამთოკლიმატური კურორტებია (აბასთუმანი, წაღვერი, ცემი, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი).

მაღალმთიანი კურორტები მდებარეობს 1500-დან 2000 მ-მდე სიმაღლეზე. ამ ზონისათვის დამახასიათებელია ზომიერად რბილი ზამთარი ხანგრძლივი თოვლსაფარით, ზომიერად გრილი ზაფხული, მზის ნათების დიდი ხანგრძლივობა. მცენარეულ საფარში ჭარბობს წიწვიანი ტყეები. წინა ზონისაგან განსხვავებით იგი საკურორტო მიზნებისათვის გამოიყენება, ძირითადად რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში (შოვი, ბახმარო, ლებარდე, ავადჰარა, მუაში). აღმოსავლეთი საქართველოს მაღალმთიანი კურორტებიდან ყველაზე უფრო ცნობილია ბაკურიანი.

მაღალმთიანი ზონა 2000 მ მაღლა ზ. დ. პრაქტიკულად არ გამოიყენება საკურორტო მკურნალობისათვის, ვინაიდან მისი კლიმატი ძლიერ გამღიზიანებლად ითვლება და სასარგებლოა მხოლოდ ჯანმრთელი ადამიანებისათვის. მაგრამ ტურისტული თვალსაზრისით სწორედ ეს ზონაა ყველაზე უფრო საინტერესო, როგორც სამთო ტურიზმის მთავარი ბაზა, განსაკუთრებით კავკასიონის ფარგლებში.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების მეორე უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოში ვრცელი, სამასკილომეტრიანი ზღვისპირა ზოლი მრავალრიცხოვანი მოხერხებული პლაჟებითა და საუკეთესო კლიმატური პირობებით. საქართველოს შავი ზღვისპირეთის კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია რბილი ზამთრით (იანვრის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშ. ტემპერატურა +4, +6°) და ხანგრძლივი საკმაოდ ცხელი ზაფხულით (ივლისის საშ. ტემპერატურა +22, +24°). ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 1200—2500 მმ ფარგლებში, რაც ხელს უწყობს მდიდარი მცენარეულობის განვითარებას, რომელიც წარმოდგენილია ფართოფოთლოვანი ტყეებით, მარადმწვანე მცენარეების შერევით, აგრეთვე ნოტიო სუბტროპიკების კულტურული მცენარეების მრავალრიცხოვანი ინტროდუცირებული სახეობებით.

საქართველოს შავი ზღვისპირეთის ბუნებრივი, კერძოდ კლიმატური პირობების უარყოფითი მხარეა ჰაერის მაღალი შეფარდებითი სინოტივე ზაფხულში (საშ. 70—75% და მეტიც), რაც განაპირობებს ნოტიოტროპიკული ამინდის ხშირ განმეორადობას. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე. ამ მხრივ უკეთესი პირობებია კავკასიის სანაპირო ზოლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და ყირიმის ზღვისპირეთში, სადაც გავრცელებულია ხმელთაშუაზღვის ტიპის კლიმატი, შედარებით მშრალი ზაფხულით. მაგრამ სხვა ბუნებრივი მაჩვენებლებით საქართველოს შავი ზღვისპირეთს დიდი უპირატესობა გააჩნია. კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი სანაპირო ზოლისაგან განსხვავებით, სადაც ზამთარში ძლიერი ქარები და დაბალი ტემპერატურები იცის, საქართველოს შავი ზღვისპირეთში სავსებით შესაძლებელია კურორტების ფუნქციონირება მთელი წლის მანძილზე. საბანაო სეზონის ხანგრძლივობა აქ 5—6 თვეს გრძელდება, წინააღმდეგ 3—4 თვისა ყირიმში, ანაპა-გელენჯიკის რაიონში, ოდესაში და 2—2,5 თვისა ბალტიისპირეთში. რაც შეეხება კლიმატოთერაპიას, იგი მთელი წლის მანძილზე კარგ შედეგს იძლევა. გარდა ამისა, ესთეტიკური თვალსაზრისითაც საქართველოს ზღვისპირა ზოლი გაცილებით უფრო საინტერესოა, ვიდრე შავი ზღვის ნაპირებზე განლაგებული საბჭოთა და საზღვარგარეთული საკურორტო რაიონები. საქართველოს ზღვისპირა ზოლის ბუნების საერთო სილამაზეს აძლიერებს მდიდარი მცენარეულობა, მთისა და ზღვისპირა ლანდშაფტების ეფექტური შეხამება. არსებითი საკურორტო ფაქტორია აგრეთვე მინერალური სამკურნალო წყაროები (მახინჯაური, სოხუმი).

საქართველოს მთათაშორისო დადაბლებების ზონის საკურორტო მნიშვნელობა უმთავრესად შეპირობებულია მრავალფეროვანი ბალნეოლოგიური რესურსების არსებობით. აქ ფართოდაა წარმოდგენილი გოგირდწყალბადიანი მინერალური წყაროები — მენჯი, თბილისი, ცაიში და ა. შ. ამავე ზონაში განლაგებულია წყალტუბოს უნიკალური სუსტადრადიოაქტიური წყაროები, აგრეთვე სამკურნალო ტალახის საბადოები (ახტალა, კუმისი).

როგორც წესი, მნიშვნელოვანი კურორტები ერთდროულად ტურიზმის ცენტრებიც არიან. მაგრამ ტურიზმის განვითარებას კიდევ სხვა ფაქტორები განსაზღვრავს; ამიტომ მისი გეოგრაფიული გავრცელება უფრო ფართო ხასიათს ატარებს. პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს ბუნების ღირსშესანიშნაობანი და ქართველი ხალხის კულტურის ძეგლები.

ბუნებრივ ღირსშესანიშნაობათა შორის თვალსაჩინო ადგილი ნაკრძალებს უკავია. ისინი სრულ წარმოდგენას გვაძლევს საქართველოს სხვადასხვა ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტური ზონის შესახებ. მათი უმეტესი ნაწილი მთიან რაიონებშია შექმნილი. 16 ათასზე მეტი ჰექტარი ფართობი უჭირავს რიწის ნაკრძალს აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, სადაც იშვიათი სილამაზის ბუნებრივი კომპლექსია კოლხეთის ტიპის მთის ტყეებით, სუბალპური მდელოებით და ტბებით (დიდი და პატარა რიწა).

კავკასიონის მთიანი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში ფართოდაა ცნობილი ლაგოდეხის ნაკრძალი (ფართობი 13 ათასი ჰა). იგი მოიცავს მთატყის, სუბალპურ და ალპურ ზონებს. აქ აღრიცხულია საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სახეობის თითქმის 1/4. ნაკრძალში კარგად არის შემონახული ცხოველთა სამყარო. კახეთის კავკასიონის ფარგლებში ორგანიზებულია ბაწარის ნაკრძალი (ახმეტის ადმ. რაიონი), რომლის მთავარი დანიშნულებაა ძვირფასი რელიქტური მცენარის უთხოვარის დაცვა.

კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე 600-დან 1200 მ-მდე გაშლილია საგურამოს ნაკრძალი (მცხეთის ადმ. რაიონი) ფართოფოთლოვანი ტყეებითა და მრავალფეროვანი ცხოველთა სამყაროთი.

აჭარა-თრიალეთის მთიანი სისტემის ფარგლებში 850-დან 2200 მ-მდე ზ. დ. მდებარეობს ბორჯომის (ფართობი 18 ათასი ჰა) ნაკრძალი, რომლის ტერიტორია უმთავრესად წიწვიანი ტყეებითაა დაფარული. აქ გავრცელებულია კავკასიური ირემი, შველი, მელა, დათვი და სხვა სასარგებლო ცხოველები.

კინტრიშის ნაკრძალი (ფართობი 7 ათასი ჰა) ცნობილია მესამეული პერიოდის რელიქტური ტყეებით. იგი მოიცავს მდ. კინტრიშის აუზს 450—500-დან 2600 მ-მდე ზ. დ. (ქობულეთის ადმ. რაიონი).

საქართველოს მთათაშორისო დადაბლებების ზონაში შექმნილი ნაკრძალები უმთავრესად მიზნად ისახავს მცენარეული საფარის ძვირფასი სახეობების შენარჩუნებას. მაგალითად, კოლხეთის ნაკრძალი — კოლხური ტიპის ფლორის, ბიჭვინთის ნაკრძალი (ფართობი 348 ჰა) აერთიანებს რელიქტური ფიჭვის კორომს, ვაშლოვანის ნაკრძალი გარე კახეთში — არიდული კლიმატის პირობებში წარმოქმნილ „ნათელი“

ტყეების მასივს და ა. შ. კომპლექსურ ხასიათს ატარებს სათაფლიის კრძალი ქ. ქუთაისის მახლობლად, სადაც მრავალფეროვანი ბუნებრივი ღირსშესანიშნაობებია: კარსტული მღვიმეები, კოლხური ტიპის ტყე, დინოზავრთა თათების ნაკვალევი კირქვებზე და ა. შ. საჭიროა ამასთანავე აღინიშნოს, რომ ნაკრძალებს რესპუბლიკის ტერიტორიის უმნიშვნელო ნაწილი უჭირავთ (1% ნაკლები), რაც გაცილებით უფრო ნაკლებია, ვიდრე საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში. ამიტომ, ტურიზმის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად უნდა იქნას მიჩნეული დაცული ტერიტორიების ფართობის მკვეთრი ზრდა.

საქართველოს ბუნებრივ ღირსშესანიშნაობათა რიცხვს მიეკუთვნება ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები, მდინარეები, მღვიმეები, მთების მწვერვალები (ყაზბეგი, უშბა, თეთნულდი და მრავალი სხვ.), კანიონისებური ხეობები (დარიალისა, იუფშარას, ტვიშის, ხრამის).

განსაკუთრებით პერსპექტიულია საქართველოს ტერიტორია სპელეოტურიზმის განვითარებისათვის. დასავლეთ საქართველოს კარსტულ რაიონებში აღმოჩენილია და შესწავლილი მრავალრიცხოვანი მღვიმე, რომლებიც თავისი ესთეტიკური ღირებულებით არ ჩამოუვარდება ევროპის ცნობილ მღვიმეებს, მაგრამ თუ ევროპის ზოგ ქვეყანაში(იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, საფრანგეთი და ა. შ.) მღვიმეები კეთილმოწყობილია და გამოყენებულია მასიური ტურიზმისათვის, საქართველოს მღვიმეები პრაქტიკულად მიუდგომელია რიგითი ტურისტისათვის. ეს მით უფრო შეუწყნარებელია, თუ გავითვალისწინებთ სპელეოტურიზმის განვითარებისათვის საჭირო კაპიტალდაბანდების სწრაფ ანაზღაურებას. არსებული ცნობებით, პოსტოინას მღვიმეს იუგოსლავიაში ნახულობს ყოველწლიურად 0,3 მლნ ტურისტი, რაც იძლევა წმინდა შემოსავალს (საბჭოთა ვალუტაზე გადაანგარიშებით) 0,5 მლნ შან. ჩეხოსლოვაკიაში კეთილმოწყობილი მღვიმეების რაოდენობა აღწევს 22-ს, რომელთა შორის ზოგიერთს 200—250 ათასი მნახველი ჰყავს წელიწადში.

ქართველი სპელეოლოგების ნაყოფიერი მუშაობის შედეგად, ძირითადად ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ, გამოვლინებულია ტურისტული მიზნით გამოსადეგი მთელი რიგი მღვიმე. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ანაკოფიის მღვიმე; მის მნიშვნელობას, იშვიათი სილამაზის გარდა, განსაზღვრავს მეტად მოხერხებული მდებარეობა საბჭოთა კავშირის მთავარი საკურორტო-ტურისტული ზონის ფარგლებში. ამჟამად (1970) რესპუბლიკის ტურიზმის საბჭო ახორციელებს მის კეთილმოწყობას.

სპელეოტურიზმის განვითარებისათვის პერსპექტიულია აგრეთვე აბრსკილის მღვიმე ოჩამჩირის რაიონში, ცუცხვათის მღვიმე ტყიბულის რაიონში, მჭიშტას მღვიმე გუდაუთის რაიონში და რეჩხის მღვიმე წალენჯიხის რაიონში.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მრავალრიცხოვანი ტბებისა და ხელოვნური წყალსატევების არსებობა, რომლებიც მთიან ზონაში არიან განლაგებული. მათი უმრავლესობა ლამაზი ბუნებით ხასიათდება და მრავალ დამსვენებელსა და ტურისტს იზიდავს, განსაკუთრებით პოპულარულია რიწის ტბა, რომელსაც ყოველწლიურად 1,0 მლნ მნახველი ჰყავს. კარგი პერსპექტივები ისახება ამტყელის ტბის წინაშე; თავისი სილამაზით იგი კონკურენციას გაუწევს რიწას.

კავკასიონის მთიანი ზონის ფარგლებში განლაგებული ტბებიდან ტურისტული თვალსაზრისით საინტერესო ობიექტებია აგრეთვე მცირე რიწა, ადეუუდა-აძიში, დერიკვარა-აძიში, კვარაში აფხაზეთში, ყელის ტბა, ერწო და წითელი ხატის ტბა სამხრეთ ოსეთში, ქვედის ტბა, ბაზალეთის ტბა და ა. შ. ამავე ზონაში განლაგებულია შაორისა და სიონის წყალსაცავები.

მდიდარია ტბებით საქართველოს სამხრეთი მთიანეთი, აქ შეიძლება ტურისტული მიზნით ტაბაწყურის, დაბაძველის პლატოს ტბების (კახისი, წეროს ტბა), ფარავხის, საღამოს და წალკის წყალსაცავების ათვისება.

გარკვეული მნიშვნელობა აქვს მთათაშორისო დადაბლებების ზონაში მდებარე ტბებსაც, პირველ რიგში შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით განლაგებულ პალიასტომს, დიდ და მცირე ბებესირს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში — თბილისის წყალსაცავს.

ტურიზმის ობიექტად შეიძლება ვაქციოთ საქართველოს მთავარი მდინარეები, ცალკეული ჩანჩქერები, კარსტული წყლების გამოსავალი და ა. შ.

ერთგვარი ბაზა არსებობს რესპუბლიკაში სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის, თუმცა არსებული ფაუნისტური რესურსები რაოდენობრივად გაღარიბებულია და მხოლოდ რაციონალურად დაყენებული სამონადირეო მეურნეობის პირობებში შესაძლებელი იქნება ამ სახის ტურიზმის ორგანიზაცია. შედარებით უფრო ფართო მასშტაბებში შეიძლება განვითარდეს მეთევზეთა ტურისტული ცენტრები სიონისა და წალკის წყალსაცავებზე, ტაბაწყურის ტბაზე და ა. შ.

საქართველო ალპინიზმის ერთ-ერთი მთავარი რაიონია საბჭოთა კავშირში, მაგრამ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არასაკმარისია. ალპინიზმის განვითარებისათვის ყველაზე უფრო კარგი პირობებია

ზემო სვანეთში, სადაც აღმართულია ცენტრალური კავკასიონის მის-
სადგომად რთული მწვერვალები (უშბა, შხარა, თეთნულდი და მრავა-
ლი სხვ.), აგრეთვე აფხაზეთის მთიან ზონაში, ზემო რაჭაში, სამხ-
რეთ ოსეთში, აღმოსავლეთ კავკასიონზე და ა. შ.

ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა უნიკალური ის-
ტორიულ-კულტურული ფასეულობის არსებობა. ქართველი ხალხის
მრავალსაუკუნოვანი ისტორია თავის მატერიალურ გამოხატულებას
პოულობს მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებში, რომლებიც რესპუბ-
ლიკის თითქმის ყველა რაიონშია შემონახული. მათი უმრავლესობა დიდ
ინტერესს იწვევს ტურისტული თვალსაზრისით. განსაკუთრებით მდიდა-
რია ისტორიული ძეგლებით ქვემო და შიდა ქართლი, შიგნით კახეთი,
სამცხე, ქ. ქუთაისის მიდამოები და ა. შ. არსებული ძეგლების ნაწი-
ლის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუმცა ბევრი მათგანი
მოითხოვს რესტავრაციას. ზოგიერთი ძეგლი (სამშვილდე და ფიტა-
რეთი ქვემო ქართლში, ციხე გოჯი სამეგრელოში) საერთოდ ძნელად
მისადგომია მისასვლელი გზების უქონლობის გამო.

საქართველოს ბუნებრივი და ეკონომიური პირობების მრავალ-
ფეროვნებამ თავისი დაღი დაასვა განსახლების საერთო სურათს, გა-
ნაპირობა დასახლებული პუნქტების ფუნქციონალური ტიპების და გა-
რეგნული სახის ორიგინალობა. ტურისტებისათვის განსაკუთრებით საინ-
ტერესოა ზემო სვანეთის, ზემო რაჭის, ფშავ-ხევსურეთის მთის
სოფლები და ცალკეული ქალაქები, რომელთა შორის, პირველ რიგში,
უნდა აღინიშნოს თბილისი, ქუთაისი, ბათუმი, სოხუმი, გორი, თე-
ლავი, სიღნაღი, საკურორტო ტიპის ქალაქები და დაბები — გაგრა,
გუდაუთა, ახალი ათონი, ქობულეთი, ბორჯომი და ა. შ. თბილისი ტუ-
რისტებს იზიდავს გარეგნული თავისებურებითა და სილამაზით, რაც
შეპირობებულია ქალაქის ტერიტორიის რელიეფის დანაწევრებით, მრა-
ვალრიცხოვანი ისტორიული ძეგლების (ნარიყალას ციხე, სიონის ტაძა-
რი, ლურჯი მონასტერი, მეტეხი, ანჩისხატის ეკლესია) და მრავალი
მუზეუმის, სამეცნიერო-საკვლევი და კულტურის დაწესებულების არ-
სებობით. საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე
ქალაქები ხშირად ტურიზმისა და დასვენების ცენტრებად იქცნენ. მა-
გალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ტიპიური სამრეწველო
ქალაქები დეტროიტი და ბოსტონი უფრო მეტ ტურისტს იზიდავენ,
ვიდრე შესაბამისი შტატების სასოფლო რაიონები, რომლებიც სპე-
ციალურად „დასვენების ზონის“ ფუნქციას ასრულებენ. ევროპაში
მრავალფუნქციონალური ქალაქების უმრავლესობა, განსაკუთრებით
დედაქალაქები (პარიზი, რომი, მადრიდი, ათენი, ვენა და ა. შ.), ერთ-
დროულად ტურიზმის მსხვილი ცენტრებიცაა. საბჭოთა კავშირში ანა-

ლოგიური სურათი შეიმჩნევა. მოსკოვსა და ლენინგრადს გაცილებით უფრო მეტი უცხოელი ტურისტი ნახულობს, ვიდრე, მაგალითად, სოჭს, იალტასა ან სოხუმს. ამიტომ ახალი ტურისტული მშენებლობის გაშლა მსხვილ ქალაქებში, მათ შორის თბილისში, ტურიზმის განვითარების საერთო პრობლემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია.

საქართველოში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია მისი ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ეთნოგრაფიული თავისებურებები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო რაიონებია: ზემო სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, მთათუშეთი, ხევი, ზემო რაჭა.

საქართველოში ტურიზმის ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა, რომელსაც ადგილობრივი ბუნებრივ-ეკონომიური პირობების შესაბამისად გაეჩნია საწარმოო ტიპების ფართო გამა, დაწყებული სუბტროპიკული მემცენარეობით დასავლეთ საქართველოს დაბლობ და მთისწინა ზონაში და გათავებული ალპური ტიპის მაღალმთიანი მეცხოველეობით. დიდი ინტერესით გაეცნობა საბჭოთა და უცხოელი ტურისტი სპეციალიზირებულ (მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მევენახეობის, მეხილეობის) კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა კოლხეთის, ქართლისა და კახეთის რაიონები.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შექმნილია თანამედროვე მრეწველობა: მძლავრი ელექტროენერგეტიკა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმია. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია მსუბუქმა და კვების მრეწველობამ. ზოგიერთი სპეციფიკური საწარმო შეიძლება იყოს ტურიზმის, ძირითადად შიდა ტურიზმის, ობიექტი. ამ მხრივ გამოირჩევა ჰიდროენერგეტიკული კვანძები, რომლებიც საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში (ავსტრია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი, კანადა) ტურიზმის ცენტრებს წარმოადგენს. ჩვენს რესპუბლიკაშიც, რომელსაც „თეთრი ნახშირის" დიდი მარაგი გააჩნია, ჰიდროენერგეტიკული კვანძების მშენებლობის დროს გათვალისწინებულ უნდა იქნას მათი შემდგომი გამოყენება ტურიზმის მიზნებისათვის. მაგალითად, მშენებელთა საცხოვრებელი სახლები კაპიტალური ტიპისა უნდა იყოს, რათა მშენებლობის დასრულების შემდეგ ისინი ოტელებად გადაკეთდეს. ახლად წარმოქმნილი წყალსაცავები მაქსიმალურად უნდა ავსებდნენ და აუმჯობესებდნენ არსებულ ბუნებრივ ლანდშაფტს.

ეკონომიური ხასიათის ფაქტორებს შორის, რომლებიც ხელს უწყობენ ტურიზმის განვითარებას საქართველოში, უნდა აღინიშნოს მისი ტერიტორიის მჭიდროდ დასახლებულობა და სასოფლო-სამეურნეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოების შედარებით მაღალი დონე, რაც შესაძლებლობას გვაძლევს დავაკმაყოფილოთ დამსვენებლები, მნიშვნელოვან წილად ადგილობრივი წარმოების კვების პროდუქტებით და უზრუნველვყოთ საკურორტო-ტურისტული დაწესებულებები მომსახურე პერსონალით ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვიდან.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების საქმეში დადებით როლს ასრულებს საქართველოს მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა; იგი ტრანსპორტის ყველა თანამედროვე სახით დაკავშირებულია სსრკ ევროპული ნაწილის მჭიდროდ დასახლებულ და ეკონომიურად განვითარებულ რაიონებთან. გარდა ამისა, შავ ზღვაზე ფართო გასავლელი საშუალებას იძლევა დამყარდეს ინტენსიური კავშირი საზღვარგარეთის, განსაკუთრებით ხმელთაშუა ზღვის აუზში განლაგებულ ქვეყნებთან, რომლებიც გამოირჩევიან მსოფლიო მასშტაბით როგორც უმნიშვნელოვანესი საკურორტო-ტურისტული რაიონი. ამასთან, სათანადოდ მოწყობილი სამოქალაქო აეროპორტების ქსელის არსებობა საიმედო საფუძველია დედამიწის ნებისმიერ ქვეყანასთან რეგულარული ავიაკავშირის დასამყარებლად.

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე არის ბუნებრივი, ეკონომიური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორების ხელსაყრელი შეხამება საკურორტო-ტურისტული მშენებლობის ფართოდ გასაშლელად. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ამ წინაპირობების რეალიზაციის შედეგად ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკურორტო-ტურისტულ რაიონად.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა

საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი მნიშვნელოვან და ამასთანავე სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს საქართველოს საწარმოო-ტერიტორიული კომპლექსის შექმნაში. რესპუბლიკის ფარგლებში განლაგებულია მრავალი ათეული კურორტი, რომელთა უმრავლესობა წარმოიშვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. კურორტების საერთო რაოდენობითა და მათი გამტარუნარიანობით საქართველო მხოლოდ რსფსრ და უკრაინის სსრ ჩამორჩება, ხოლო საკურორტო საქმის როლით სახალხო მეურნეობაში ყველა სხვა რესპუბლიკებს უსწრებს.

საკურორტო მეურნეობის შექმნა საქართველოში იწყება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, თუმცა ქართველი ხალხისათვის მის ტერიტორიაზე არსებული სამკურნალო მინერალური წყაროები უძველესი

დროიდან იყო ცნობილი. ბარის მოსახლეობა სტიქიურად იყენებდა ზაფხულობით მთიანი ზონის კლიმატის დადებით მხარეებსაც.

საკურორტო მშენებლობის პირველ ეტაპზე მე-19 საუკუნის დამლევამდე უმთავრესად ბალნეოლოკლიმატური ტიპის კურორტები წარმოიშვა, მათ შორის ბორჯომი და აბასთუმანი. მეორე ეტაპისათვის მე-19 საუკუნის დამლევიდან 1921 წლამდე დამახასიათებელია ზღვისპირა კლიმატური კურორტების ქსელის შექმნა, რომელთა შორის იმ დროს ფართო აღიარება პოვა სოხუმმა და გაგრამ, მაგრამ რევოლუციამდელ პერიოდში საკურორტო მეურნეობამ ვერ მიიღო სათანადო განვითარება, რაც გაპირობებული იყო მეფის რუსეთის ჩამორჩენილი სოციალურ-ეკონომიური სისტემით. კურორტებით სარგებლობა შეეძლოთ მხოლოდ შეძლებულ პირთა ვიწრო წრეს. კურორტების განვითარებას აფერხებდა აგრეთვე კერძო მესაკუთრეობა. მაგალითად, გაგრა ეკუთვნოდა "პრინც ოლდენბურგელს, ბორჯომი და აბასთუმანი მეფის საგვარეულოს (რომანოვებს), წყალტუბო — აზნაურ იოსელიანებს, ახალი ათონი — სასულიერო უწყებას და ა. შ. რაც შეეხება ტურიზმს, იგი ჩანასახოვან მდგომარეობაში იყო და საქართველოს ლამაზი ბუნებისა და ისტორიული ძეგლების სანახავად ჩამოდიოდნენ მხოლოდ ცალკეული ენთუზიასტები. ერთადერთ რამდენადმე მნიშვნელოვან ტრასად ითვლებოდა საქართველოს სამხედრო გზა.

მენშევიკების ბატონობის წლებში საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა მოუვლელობამ და რუსეთიდან დამსვენებელთა ნაკადის შეწყვეტამ სრულიად დააქვეითა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში კურორტებისა და ტურიზმის განვითარება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ იქცა. არსებული კურორტების რეკონსტრუქცია-გაფართოებასთან ერთად წარმოიშვა ახალი კურორტები — მენჯი, შოვი, საირმე და მრავალი სხვა. 20-იანი წლების დამლევიდან განსაკუთრებით კი მეორე და მესამე ხუთწლედში დაიწყო ახალი საკურორტო დაწესებულებების მშენებლობა. იმ პერიოდში ააგეს კომფორტაბელური სანატორიუმები გაგრაში, ბორჯომში, აბასთუმანში. 1939 წელს რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა 131 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი 14 ათას ადგილზე.

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში მიმდინარეობდა საკურორტო-ტურისტული მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოება (ცხრ. 6). სისტემატურად იზრდებოდა კაპიტალდაბანდებანი ამ დარგში. მხოლოდ საქართველოს საკურორტო სამმართველოს ხაზით კაპიტალურ მშენებლობაზე კეთილმოწყობასა და რემონტზე 1960—1969 წლებში დაიხარჯა 110 მლნ მანეთი. 1969 წელს საქართვე-

ლოში ითვლებოდა 150-ზე მეტი სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი, პანსიონატი 33 ათასი ადგილით, რაც შესაბამისი საკავშირო მაჩვენებ-ლის 5%-ს შეადგენდა. არსებული ცნობებით 1970 წლისათვის რეს-პუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებდა ყველა სახის საკურორტო-ტუ-რისტული ობიექტი (პიონერთა ბანაკებისა და საკურორტო სასტუმ-როების ჩათვლით) 75 ათასზე მეტი საწოლით. ეს კი საკავშირო საკუ-რორტო ფონდის 6% აღემატება. მაგრამ მოყვანილი მაჩვენებლები

ცხრილი 6

საკურორტო დაწესებულება	წლები				
	1939	1945	1950	1960	1967
სანატორიუმი	71	28	94	82	84
მათში ადგილი (ათასი)	8,4	2,2	10,2	13,3	16,1
დასასვენებელი სახლი	60	8	35	39	43
მათში ადგილი (ათასი)	5,8	0,4	3,1	6,7	10,0
პანსიონატი	—	—	—	13	18
მათში ადგილი (ათასი)	—	—	—	1,2	5,7
სულ	131	36	129	135	150
ადგილების რაოდენობა (ათასი)	14,2	2,6	13,3	21,2	31,8

არასაკმარისად რეპრეზენტატურია—ჯერ ერთი, საკურორტო სეზონი საქართველოში უფრო ხანგრძლივია, ვიდრე სსრკ სხვა რაიონში და, მეორეც: უსაგზურო დამსვენებლების მნიშვნელოვანი რაოდენობა (მა-თი რიცხვი კი ბევრად მეტია, ვიდრე ორგანიზებული დამსვენებლე-ბის) სწორედ საქართველოს კურორტებით სარგებლობს. 1969 წელს მხოლოდ პროფკავშირულ სანატორულ-საკურორტო დაწესებულებებ-ში დაისვენა 287 ათასმა მშრომელმა, აქედან სანატორიუმებში იმკურ-ნალა 108 ათასმა, ხოლო საწოლდღეების რაოდენობა 4,8 მლნ შეად-გენდა. ათეულ ათასობით ადამიანი გაატარა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და სხვა უწყებების დაწესებულებებმა. გარდა ამისა 40 ათასზე მეტმა კაცმა ისარგებლა საკურორტო-ამბულატორული მკურ-ნალობით. გამტარუნარიანობის მიხედვით საქართველოს მთავარი კუ-რორტებია გაგრა, წყალტუბო, ბორჯომი, გუდაუთა, ქობულეთი. დამ-სვენებელთა შორის 85—88% შეადგენენ სხვა რესპუბლიკებიდან ჩამო-სული პირები. საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება კი სანა-ტორულ-საკურორტო მკურნალობის მხრივ უზრუნველყოფილია 30—35%-ით. არსებული გაანგარიშებების თანახმად, რესპუბლიკის ყოველ

10 ათას მცხოვრებზე მოდის საშუალოდ 228 კაცი, რომელთაც სჭირდება საკურორტო მკურნალობა. ამ კატეგორიის პირთა რაოდენობა აღირიცხება 105—110 ათასი კაცით, ე. ი. საქართველოს მოსახლეობას უნდა გამოეყოს 8—9 ათასი საწოლი სანატორიუმებში, რაც ჯერჯეროობით რა თქმა უნდა, შეუძლებელია.

საქართველოს სსრ შეიძლება ჩაითვალოს სსრ კავშირის ერთ-ერთ ყველაზე უფრო ათვისებულ ტურისტულ რაიონად (ცხრ. 7).

ცხრილი 7

წლები	ტურბაზის რაოდენობა	მათში საწოლები (ათასობით)	წლიური გამტარუნარიანობა (ათასობით)
1950	11	1,4	30
1960	34	4,5	86
1965	35	6,0	130
1966	35	6,8	207
1969	39	8,9	376

1970 წლისათვის მის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 40-მდე ტურისტული ბაზა და მათი ფილიალი 9 ათას ადგილზე, რაც ერთისამად აღემატება აზერბაიჯანისა და სომხეთის შესაბამის მაჩვენებლებს ერთად აღებულს. ამ მხრივ საქართველოს უსწრებს მხოლოდ კრასნოდარის მხარე. საქართველოზე მოდიოდა სსრ კავშირის ტურისტული ბაზების საერთო რაოდენობის 7% და მათი სიმძლავრეების 6%. არსებული ტურისტული ბაზების უმეტესობა განლაგებულია ზღვისპირა და მთიან რაიონებში, აგრეთვე მსხვილ ქალაქებში. ტურისტების ძირითადი ნაკადი გადმოდის კავკასიონის უღელტეხილებზე (ჯვრის, მამისონის, ქლუხორის, როკის და ა. შ.) და ამიერკავკასიის მეზობელი რესპუბლიკებიდან, ამთავრებს რა თავის მოგზაურობას შავი ზღვის სანაპიროზე.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ტურისტებს ემსახურება აგრეთვე ბავშვთა და სამხედრო უწყების ტურბაზების ქსელი. ტურისტები სარგებლობენ კომუნალური სასტუმროებით, კერძო საბინაო ფონდით, ხოლო ზაფხულში სასკოლო შენობებით, საერთო საცხოვრებლებითა და ა. შ. მიახლოებითი გაანგარიშებით ზაფხულის სეზონში კერძო ბინებში ისვენებს ერთდროულად 300 ათასი კაცი.

უკანასკნელი წლების მანძილზე საერთაშორისო ტურიზმის ზრდასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირში საქართველო გახდა მისი ერთ-ერთი ძირითადი რაიონი. 1969 წელს რესპუბლიკაში ჩამოსული იყო 50 ათასი უცხოელი ტურისტი, რაც საკავშირო მაჩვენებლის მხოლოდ 3%

შეადგენდა, მაგრამ ერთიორად აღემატებოდა სომხეთის და ერთიხუთად აზერბაიჯანის შესაბამის მაჩვენებლებს. კავკასიის ფარგლებში საქართველოზე წინ მხოლოდ კრასნოდარის მხარე იდგა (75 ათასი უცხოელი ტურისტი) და ისიც თითქმის მთლიანად სოჭის ხარჯზე. რესპუბლიკაში ჩამოსული უცხოელი ტურისტებიდან თითქმის 3/4 სოციალისტური ქვეყნებიდან იყო. უცხოელი ტურისტების ძირითადი ნაწილი თავს იყრის შავიზღვისპირა ზოლში. განსაკუთრებით აფხაზეთში, სადაც უცხოური ტურიზმის მთავარი ცენტრებია სოხუმი, ბიჭვინთა და გუდაუთა. უცხოელი ტურისტების მოზიდვის მეორე მნიშვნელოვანი ცენტრია თბილისი.

საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი გადაიქცა საქართველოს მოსახლეობის დასაქმების სერიოზულ ფაქტორად. სულ ამ დარგში უშუალოდ ჩაბმულია დაახლოებით 25 ათასი კაცი, საქართველოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 1,5%. მხოლოდ პროფკავშირული დაქვემდებარების საკურორტო დაწესებულებებში 1969 წელს მუშაობდა 11,25 ათასი კაცი, მათ შორის 400-ზე მეტი ექიმი. სანატორიუმების მომსახურე პერსონალი შეადგენდა 3,9 ათას კაცს, პანსიონატების 2,3 ათასს, დასასვენებელი სახლების 1,2 ათასს. მომსახურე პერსონალის 1 ერთეულზე მოდიოდა სანატორიუმებში 2 საწოლი, პანსიონატებში 2,7 საწოლი და დასასვენებელ სახლებში 4,6 საწოლი, ე. ი. ყველაზე უფრო შრომატევადი აღმოჩნდა სანატორიუმები და პანსიონატები. აღნიშნული სპეციფიკა გასათვალისწინებელია საკურორტო მშენებლობის დაგეგმვისას შრომითი რესურსებით არასაკმარისად უზრუნველყოფილ რაიონებში. ამ მხრივ უფრო ხელსაყრელ პირობებშია ტურისტული მეურნეობა, რომელიც ნაკლებ შრომატევადია. რესპუბლიკის ტურბაზებში ამჟამად 1,7 ათასი კაცი მუშაობს და თითოეული მათგანი საშუალოდ 5 საწოლს ემსახურება. მაგრამ ახლაც რიგ დასახლებულ პუნქტებში, განსაკუთრებით მთიან ზონაში (მაგ., ფასანაური, ყაზბეგი, მესტია), ტურიზმი ასრულებს მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი მოსახლეობის შრომით საქმიანობაში.

გაცილებით უფრო მეტი მუშა-მოსამსახურე დაკავშირებულია საკურორტო-ტურისტულ მეურნეობასთან ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მომსახურე დარგების ხაზით, მაგალითად, ბორჯომის და გაგრის ადმინისტრაციულ რაიონებში ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში დასაქმებულ პირთა ხვედრიწონა 1,5-ჯერ უფრო მაღალია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში.

საკურორტო-ტურისტული მეურნეობა გადაიქცა საქართველოს სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვან დარგად, რომლის ძირითადი ფონდები შეადგენს რესპუბლიკის ძირითადი ფონდების დაახლოებით 4%

და არასაწარმოო ფონდების 10%. მხოლოდ საკურორტო სამმართველოს ხაზით ძირითადი ფონდები გაიზარდა 71 მლნ მანეთიდან 1965 წელს 105 მლნ მანეთამდე 1969 წელს. ერთ დამსვენებელზე გაანგარიშებით 1969 წელს იყო 366 მანეთის ძირითადი ფონდები, რაც რამდენადმე მეტია, ვიდრე 1965 წელს. მაგრამ ფონდგაცემის მაჩვენებლის გაუარესება საკურორტო მეურნეობაში ატარებს რამდენადმე პირობით ხასიათს, ვინაიდან ერთ დამსვენებელზე ძირითადი ფონდების ზრდა მეტყველებს კურორტების მატერიალური ბაზის გაუმჯობესებასაც.

საკურორტო-ტურისტული მეურნეობა რენტაბელური დარგია. 1969 წელს საქართველოს საკურორტო სამმართველოს ჰქონდა საბალანსო მოგების დადებითი სალდო 4,6 მლნ მან. რაოდენობით. მოგების ძირითადი ნაწილი მიღებული იყო წყალტუბოს, ბორჯომის, აფხაზეთის და აჭარის საკურორტო დაწესებულებებიდან. არარენტაბელურად მუშაობდა პროფკავშირთა მხოლოდ ზოგიერთი, უმთავრესად მთიან რაიონებში განლაგებული სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. რენტაბელურია ტურისტული მეურნეობაც. 1969 წელს ტურიზმის საბჭოს მოგება 1,15 მლნ მანეთს შეადგენდა. 1 საწოლზე ტურისტულ ბაზებში მოდიოდა თითქმის 120 მან. მოგება წელიწადში.

საკურორტო-ტურისტული ფუნქციის განვითარების შედეგად საქართველოს რიგ რაიონებში აღინიშნება თავისებური სამეურნეო კომპლექსების ფორმირების ტენდენცია. მატერიალური წარმოების დარგების სტრუქტურაში აისახება მათი სპეციალიზაცია საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაზე. მრეწველობა მნიშვნელოვანწილად ემსახურება დამსვენებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ამიტომ მისი ძირითადი დარგია კვების მრეწველობა (მათ შორის მინერალური წყლების ჩამოსხმა). მიახლოებითი გაანგარიშებით, საქართველოს შავიზღვისპირეთში განლაგებულ საწარმოებს შორის 15—20% დაკავშირებულია დამსვენებელთა მომსახურეობასთან. კიდევ უფრო ძლიერადაა გამოხატული ეს ტენდენცია ბორჯომის ადმინისტრაციულ რაიონში. სადაც საწარმოები, რომლებიც ასახავენ ამ რაიონის საკურორტო-ტურისტულ სპეციალიზაციას, იძლევიან მთლიანი სამრეწველო პროდუქციის 4/5 და მათი ხვედრითი წონა თანდათან იზრდება.

ანალოგიური მდგომარეობაა სოფლის მეურნეობაში, იგი სპეციალიზებულია (ჯერჯერობით არასაკმარისად) მცირეტრანსპორტაბელური პროდუქციის (რძე, ხილი, ბოსტნეული) წარმოებაზე. ამ სახის პროდუქტებს განსაკუთრებით დიდი გასაღება აქვთ დამსვენებელთა შორის.

მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა საქართველოს ტრანსპორტის მუშაობაზე. დამსვენებელთა

და ტურისტთა გადაყვანა წარმოადგენს რკინიგზის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტის მგზავრთბრუნვის არსებით ნაწილს, ხოლო საზღვაო ტრანსპორტზე ისინი ძირითად კონტინგენტს შეადგენენ, ძირითადად დამსვენებელთა მომსახურეობითაა დაკავებული ისეთი მნიშვნელოვანი რკინიგზის სადგურები, როგორიცაა სოხუმი, გაგრა, ბათუმი, წყალტუბო, ბორჯომი; სოხუმისა და ბათუმის ნავსადგურები; სოხუმის, გუდაუთას, ბათუმის აეროპორტები და ა. შ. საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებამ განაპირობა საავტომობილო გზების (მაგალითად, გაგრა-რიწის ტბა — ავადჰარა, ჩოხატაური-ბახმარო) და რკინიგზის განშტოებების (ხაშური-ბორჯომი, ბორჯომი-ბაკურიანი, ხაშური-სურამი) მშენებლობა.

საქართველოში საკურორტო მეურნეობა გადაიქცა სერიოზულ ქალაქშემქმნელ ფაქტორად. მის ბაზაზე წარმოიშვა ქალაქები: გაგრა, ბორჯომი, წყალტუბო, აგრეთვე რიგი საქალაქო ტიპის დასახლებული პუნქტები (აბასთუმანი, ახალი ათონი, ბაკურიანი, წაღვერი, ბიჭვინთა და ა. შ.). მნიშვნელოვანია საკურორტო ფუნქცია ისეთი ქალაქებისათვის, როგორიც არის სოხუმი, ბათუმი, გუდაუთა. მაგრამ სსრკ სხვა წამყვანი საკურორტო რაიონებისაგან განსხვავებით, სადაც უკვე ჩამოყალიბდა მძლავრი საქალაქო აგლომერაციები 150—300 ათასი მცხოვრებით თვითეულში (ყირიმის სამხრეთი ნაპირი, კავკასიის მინერალური წყლები, დიდი სოჭი), საქართველოში საკურორტო ურბანიზირებული ზონები ჯერჯერობით არ ქმნიან მკვეთრად გამოხატულ აგლომერაციებს. ასეთი სახის ზონების ფორმირების ტენდენცია შეიმჩნევა აფხაზეთის და აჭარის ზღვისპირეთში, ბორჯომ-ბაკურიანის რაიონში, სადაც უკვე არსებობს საქალაქო ტიპის დასახლებების ჯგუფური ფორმები.

განსაკუთრებულ როლს ასრულებს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა რესპუბლიკის მთიანი რაიონებისათვის, ვინაიდან მათი ეკონომიური აღმავლობა ხშირ შემთხვევაში სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარმოებდეს. საქართველოს მთიანი რაიონების ბუნებრივ-ეკონომიური პირობები ნაკლებად ხელსაყრელია მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, მაგრამ მოსახერხებელია რეკრეაციული ზონების შესაქმნელად. ამ შემთხვევაში როგორც მთიანი რაიონების სამეურნეო წინსვლის ამოცანა, ისე ჩვენს ქვეყანაში „დასვენების ინდუსტრიის“ მძლავრი ბაზის შექმნის საერთო პრობლემა ერთმანეთს ემთხვევა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საკურორტო-ტურისტული მშენებლობის აღნიშნული პირობების განხორციელების შედეგად, საქართველოს მთიან ზონაში შექმნილია კურორტებისა და ტურიზმის ცენტრების ქსელი. მათი ხვედრითი წონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების საერთო ფონდში საკმაოდ მაღალია. ასე მაგალითად, 1968 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მთიან რაიონებში კონცენტრირებული იყო რესპუბლიკის სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და პანსიონატების 32% და მათი სიმძლავრეების 25%. ტურისტულ ბაზების რაოდენობიდან (რესპუბლიკაში 39 ტურისტული ბაზაა 8,9 ათასი საწოლით) მთიან რაიონებზე მოდის 21 ტურისტული ბაზა 2,7 ათასი საწოლით.

საკურორტო-ტურისტული დაწესებულების კონცენტრაციის დონე ეკონომიური ეფექტურობის თვალსაზრისით ამჟამად დაბალია. კურორტებისა და ტურიზმის ცენტრების დიდი უმრავლესობა შედარებით მცირე სიმძლავრისაა. საქართველოსათვის, ისევე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირისათვის, დამახასიათებელია დასვენების ფუნქციის მქონე დასახლებულ პუნქტებში 2—3 სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის ან პანსიონატის არსებობა. გაგრისა და წყალტუბოს ტიპის მსხვილი კურორტები გამონაკლისს შეადგენენ.

ცნობილია, რომ მოქმედი კურორტების გაფართოება უფრო იაფი ჯდება, ვიდრე დასვენების ახალი ცენტრების შექმნა, რაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა ბიჭვინთის კომპლექსის მშენებლობამ. ამავე დროს კაპიტალური მშენებლობის მეტისმეტი კონცენტრაცია მსხვილ კურორტებზე იწვევს მათ გაუმართლებლად სწრაფ ზრდას და, საბოლოო ჯამში, აპირობებს ძლიერ ურბანიზირებული ზონის შექმნას. ამ უკანასკნელის სანიტარულ-ჰიგიენური პირობები საგრძნობლად უარესდება. უკვე ამჟამად სოხუმი და ბათუმი საშუალო სიდიდის ქალაქებს წარმოადგენენ, ხოლო პერსპექტივაში მოსალოდნელია მათი დიდ ქალაქებად გადაქცევა, ყველა აქედან გამომდინარე უარყოფითი შედეგებით. ამიტომ მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ ახალი საკურორტო-ტურისტული მშენებლობის მაქსიმალური კონცენტრაცია შედარებით მცირე სიდიდის, მაგრამ ნაწილობრივ უკვე ათვისებულ დასვენების ცენტრებში.

საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ძლიერი მხარეა საბჭოთა კავშირის სხვა რაიონებთან შედარებით ნაკლებად გამოხატული სეზონურობა. სანატორიუმების უმრავლესობა ფუნქციონირებს მთელი წლის მანძილზე. საკურორტო საბჭოსადმი დაქვემდებარებული საკურორტო დაწესებულებების სიმძლავრე წლის ცივ პერიოდში შეადგენს მათი მაქსიმალური სიმძლავრის 78%. მაგრამ ზამთარში მოქმედი საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების დიდი უმრავლესობა შავი ზღვისპირა ზონაშია განლაგებული, რაც არ შეესაბამება ზამთრის დასვენების არსებულ ტენდენციებს. ამჟამად მკვეთრად იზრდება მთის კურორტებზე იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამთო-სათხილამურო სპორტს ეწევიან. შესაბამისად იცვლება ბალან-მთიანი კურორტების პროფილიც. მაგალითად, შეიძლება გამოდგეს შვეიცარიის ცნობილი კურორტი დავოსი, რომელიც ჯერ კიდევ 2—3 ათეული წლის წინათ წარმოადგენდა ქრონიკულად დაავადებულთათვის (ძირითადად ტუბერკულოზით) მკურნალობის ადგილს. ახლა ზაფხულობით დამსვენებელთა და სამკურნალოდ ჩამოსულთა რიცხვი აქ არ აღემატება 170 ათას კაცს, ზამთარში კი 440 ათასამდე კაცს აღწევს. ზამთარსა და ზაფხულს შორის დამსვენებელთა თანაფარდობა იცვლება პირველის სასარგებლოდ საბჭოთა კავშირშიაც, რასაც ხელი შეუწყო ტურისტული კომპლექსების მშენებლობამ ჩრდილოეთ კავკასიასა და ქვეყნის სხვა რაიონებში. დიდი როლი, როგორც სამთო-სათხილამურო სპორტის და ზამთრის დასვენების ცენტრმა, უნდა შეასრულოს საქართველომ, რომლის კლიმატური პირობები ზამთარში უკეთესია, ვიდრე სსრ კავშირის რომელიმე სხვა რაიონში, მაგრამ ჯერჯერობით რესპუბლიკაში სამთო-სათხილამურო სპორტის ერთადერთი მნიშვნელოვანი ცენტრია ბაკურიანი, რომლის სპორტულ-ტურისტული დაწესებულებების საერთო ტევადობა რამდენიმე ასეულ საწოლს არ აღემატება.

საქართველოს ტერიტორიის საკურორტო-ტურისტული დარაიონება

რეკრეაციული (საკურორტო-ტურისტული) დარაიონების თეორიული საფუძვლების შემუშავება ჯერჯერობით საწყის საფეხურს არ გასცილებია, თუმცა შეიძლება დავასახელოთ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული რამდენიმე ნაშრომი, სადაც ეს საკითხია დასმული.

ყველაზე უფრო დეტალურად რეკრეაციული დარაიონების სქემა მოცემული აქვს ბ. როდომანს[1], რომელიც გამოყოფს დასვენების 13 ბუნებრივ ტერიტორიალურ კომპლექსს: 1. ვაკის წყლიან-ტყიანი, 2) ვაკის წყლიან-ტაიგური, 3) საშუალომთიან-ტაიგური, 4) ზღვისპირა ვაკე-ტყიანი ზომიერი კლიმატით, 5) ზღვისპირა ვაკე-ტყიანი ცივი კლიმატით, 6) ზღვისპირა ვაკე-სტეპური, 7) ზღვისპირა მთიანი სუბტროპიკული, 8) ალპური, 9) საშუალო-მთიანი სუბალპური-ტყიანი, 10) სამხრეთი ჭალისპირა, 11) სუბარქტიკული ვაკე, 12) სუბარქტიკული მთიანი და 13) ზღვისპირა-ალპური. ეს სქემა საკმაოდ სრულია

---

1 იხ. კრებული «Материалы междуведомственного совещания по географическим проблемам туризма», М., 1969.

და ძირითადად ასახავს ბუნების იმ მრავალფეროვნებას, რომელიც საფუძვლად უძევს რეკრეაციული რაიონების ფორმირებას. მაგრამ რეკრეაციული რაიონების გამოყოფა ბუნებრივი კომპლექსების ბაზაზე ჩვენ პრინციპში არ მიგვაჩნია მართებულად, ვინაიდან საკურორტო ტურისტული მეურნეობა ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია და ამიტომ საკურორტო-ტურისტული დარაიონება დარგობრივი ეკონომიური დარაიონების ერთ-ერთ სახედ უნდა იქნას ცნობილი. სულ სხვაა, თუ ჩატარებული იქნება გარკვეული ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება რეკრეაციული მიზნებისათვის, რაც სრულიად გამართლებულია და აუცილებელიც.

საინტერესო მოსაზრებები მოჰყავს ი. ტვერდოხლებოვს თავის ნაშრომში[2], იგი სამი ძირითადი რანგის რაიონს გამოჰყოფს: მაკრორაიონს მთელი ქვეყნის მასშტაბში, მეზორაიონს მსხვილი ეკონომიური რაიონის ან მათი ჯგუფის მასშტაბში და მიკრორაიონს ოლქის, მხარის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში. რეკრეაციული დარაიონების ამ ტაქსონომიური ერთეულების სისტემის ნაკლოვანი მხარე მდგომარეობს მათ მეტისმეტად განზოგადებულ ხასიათში. ჩვენი ქვეყნის კონკრეტულ სინამდვილეში ხშირია ისეთი შემთხვევა, როდესაც რომელიმე რესპუბლიკის ე. წ. რეკრეაციული მიკრორაიონი მეტი მნიშვნელობისა აღმოჩნდება, ვიდრე მეზორაიონი და მაკრორაიონიც კი. ჩვენი აზრით, რეკრეაციული დარაიონების ესოდენ მჭიდრო დაკავშირება არსებულ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ დარაიონებასთან არც ერთი მხრივ არ არის მიზანშეწონილი. გარდა ამისა, აღნიშნული სქემა სრულიად არ გამოდგება საზღვარგარეთის, მათ შორის სოციალისტური ქვეყნებისათვის.

რეკრეაციული დარაიონების ძირითადი საფუძველია იმ სამეურნეო-ტერიტორიული კომპლექსების არსებობა, რომელთა მთავარი ან ერთ-ერთი მთავარი სტრუქტურული ელემენტია საკურორტო-ტურისტული მეურნეობა. რეკრეაციული რაიონი ყალიბდება საკურორტო მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმის სფეროში შრომის ტერიტორიული დანაწილების პროცესში. იგი შემდეგ მოთხოვნილებებს უნდა აკმაყოფილებდეს: 1. მისი სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობა. 2. მატერიალური წარმოების დარგები (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი) მნიშვნელოვანწილად უნდა ემსახურებოდეს დამსვენებლებსა და ტურისტებს. 3) მომუშავე მოსახლეობის დიდი ნაწილი ჩაბმული

---

2 დასახ. კრებული.

უნდა იყოს საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაში ან მომსახურე დაწესებულებებში.

რაც შეეხება რეკრეაციული დარაიონების ტაქსონომიური ერთეულების სისტემას, მიზანშეწონილია ოთხი საფეხურის გამოყოფა: 1. საკურორტო-ტურისტული ზონა; 2. საკურორტო-ტურისტული რაიონი; 3. საკურორტო-ტურისტული ქვერაიონი; 4. პირველადი საკურორტო-ტურისტული კომპლექსი. აღნიშნული ერთეულების „იერარქია" ყოველთვის არ არის დაცული. ზოგიერთ შემთხვევაში რამდენიმე პირველადი საკურორტო-ტურისტული კომპლექსი ქმნის რაიონს, ხოლო ამ დარგის განვითარების საწყის ეტაპებზე ტაქსონომიური ერთეულების სისტემა ხშირად ერთმანეთისაგან იზოლირებული პირველადი კომპლექსებისაგან შედგება.

საქართველოს ტერიტორიის ცალკეული რეგიონების (აფხაზეთი, აჭარა) რეკრეაციული დარაიონების პირველადი ცდები მოცემულია ჩვენ მიერ 1961—1964 წწ.[3], ხოლო მთლიანად რესპუბლიკისათვის 1966 წ.[4]. ამ უკანასკნელში გამოყოფილი გვაქვს შემდეგი საკურორტო-ტურისტული რაიონები: 1) აფხაზეთის, 2) აჭარის, 3) კოლხეთის, 4) შოვი-უწერას, 5) ბორჯომ-ბაკურიანის, 6) თბილისის. ამ სქემის დაზუსტების შედეგად შეიცვალა ზოგიერთი რაიონის სახელწოდება. მაგალითად, შოვი-უწერის რაიონს უმჯობესია ვუწოდოთ ზემო-რაჭის, ვინაიდან დასახელებული ორი პუნქტის გარდა ტურიზმი აქ სხვა სოფლებსა და ქ. ონში განვითარდა. ასევე მართებულად უნდა იქნას მიჩნეული აბასთუმნის და სამცხის სხვა საკურორტო-ტურისტული ცენტრების გაერთიანება მძლავრ რეკრეაციულ რაიონში (ბორჯომ-აბასთუმნის). მათი ერთმანეთისაგან ერთგვარი იზოლაცია, რასაც დღეს აქვს ადგილი, განპირობებულია გარდამავალი, არაარსებითი ფაქტორებით. გარდა ამისა, ცალკე უნდა გამოიყოს აღმოსავლეთ კავკასიონის ტურისტულ-საკურორტო რაიონი. პერსპექტივაში მოსალოდნელია აგრეთვე კახეთის, სვანეთისა და ცენტრალური შავი ზღვისპირეთის რეკრეაციული რაიონების ჩამოყალიბება, რომლებიც ამჟამად შექმნის სტადიაშია.

ა ფ ხ ა ზ ე თ ი ს ს ა კ უ რ ო რ ტ ო-ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი რ ა ი ო ნ ი პირველ ადგილზეა საქართველოში, როგორც დასვენებისა და საკურორტო მკურნალობისათვის განკუთვნილი დაწესებულებების საერთო

---

3 ე. კ ო ბ ა ხ ი ძ ე, აფხაზეთის საკურორტო მეურნეობა, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 16, თბილისი, 1961, იგივე, აჭარის საკურორტო მეურნეობა, ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 19, თბილისი, 1961.

4 География хозяйства республик Закавказья, М., 1966.

სიმძლავრით, ისე არაორგანიზებული დამსვენებლების საერთო რაოდენობით. მის ფარგლებში კონცენტრირებულია რესპუბლიკაში არსებული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების თითქმის 30% და მათში ადგილების 45%. თავისი მნიშვნელობით საბჭოთა კავშირში იგი ჩამოუვარდება მხოლოდ სოჭის, ყირიმის სამხრეთი ნაპირისა და კავკასიის მინერალური წყლების საკურორტო-ტურისტულ რაიონებს.

აფხაზეთის გადაქცევას თითქმის მთლიან რეკრეაციულ ზონად განსაზღვრავს ბუნებრივი ფაქტორები — რბილი სუბტროპიკული კლიმატი, თბილი ზღვა, მრავალრიცხოვანი მინერალური სამკურნალო წყაროები, უნიკალური ესთეტიკური რესურსები და სხვ. დამსვენებლებს იზიდავს აგრეთვე ისტორიული ძეგლების სიმრავლე და თვით საკურორტო ქალაქების სილამაზე.

საშუალო წლიური ტემპერატურით აფხაზეთის კურორტები თითქმის არ განსხვავდება ევროპის უდიდეს ზღვისპირა კურორტ ნიცისაგან და უფრო მაღალი ტემპერატურით ხასიათდება, ვიდრე სსრკ პირველხარისხოვანი ზღვისპირა კურორტები სოჭი და იალტა. კიდევ უფრო დიდი სხვაობა არსებობს აფხაზეთის კურორტების სასარგებლოდ, თუ შევადარებთ მათ შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე ბულგარეთსა და რუმინეთის ფარგლებში შექმნილ დასვენების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრებს („მზიური ნაპირი", „მეგობრობა", „მამაია"), სადაც საშუალო წლიური ტემპერატურა 11—12° არ აღემატება.

კურორტთა დადებით კლიმატურ მაჩვენებელთა შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მზის ნათების ხანგრძლივობას, რომელიც აფხაზეთის ზღვისპირეთში 2100—2200 საათს აღწევს წელიწადში. ეს მაჩვენებელი ბევრად მეტია, ვიდრე ბალტიისპირეთის კურორტზე ან აჭარის სანაპიროზე, მაგრამ ნაკლებია ყირიმის კურორტებთან შედარებით.

მზიან დღეთა რაოდენობა შეადგენს 200-მდე წელიწადში. ზამთარი რბილია, ყინვები იშვიათი, დღისით ტემპერატურა ზოგიერთ დღეს +20° აღწევს. წლის სეზონთა შორის საუკეთესოა შემოდგომა. ზაფხული ცხელია, დღისით ტემპერატურა +35°-მდე ადის, ხშირია ნოტიო ტროპიკული ამინდის განმეორებადობა.

აფხაზეთის კურორტებზე ზღვაში ბანაობის სეზონი დიდი ხანგრძლივობით გამოირჩევა, ამასთანავე ზაფხულში წყლის საშუალო ტემპერატურა 2—3°-ით მეტია, ვიდრე ყირიმის ნაპირებთან და 5—6°-ით მეტი, ვიდრე ბალტიისპირეთის კურორტებზე. საბანაო სეზონი

(სამკურნალო მიზნებისათვის) 5—6 თვეს გრძელდება, წინანალდეგ 3—4 თვისა ყირიმში და 2—2,5 თვისა იურმალაში.

დიდი საკურორტო-ტურისტული მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის მთიან ზონას. საუკეთესო კლიმატურ პირობებთან ერთად მის ფარგლებში აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის მინერალური წყაროები მდ. ბზიფის, ლაშიფსეს, კოდორის, ბესლეთის, ღალიძგას ხეობებში და სხვა ადგილებში. შედარებით უკეთაა ათვისებული ავადჰარისა და ტყვარჩელის მინერალური წყლები, სადაც შექმნილია სამკურნალო დაწესებულებები.

აფხაზეთის საკურორტო რესურსები ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში იყო ცნობილი, თუმცა მათი გამოყენების დონე ძალზე დაბალი იყო. ყურადღებას იქცევდა მხოლოდ შედარებით კეთილმოწყობილი გაგრის კლიმატური სადგური, გულრიფშის სანატორიუმები და ქ. სოხუმი, რომლის ცალკეული უბნები განაშენიანებულ იქნა ბურჟუაზიისა და მსხვილი მოხელეების აგარაკებით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობდა მხოლოდ ორი სანატორიუმი 150 საწოლით. მშრომელთა მკურნალობისა და დასვენების მიზნით ოციან წლებში კერძო პანსიონატები და აგარაკები გადაკეთდა სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად. გაჩაღდა ახალი საკურორტო დაწესებულებების მშენებლობა, რომელიც განსაკუთრებით გაფართოვდა მეორე ხუთწლედის მანძილზე.

აფხაზეთის კურორტების რეკონსტრუქცია-გაფართოება ომისშემდგომ პერიოდშიც კვლავ სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა (ცხრ. 8). ჩამო-

ცხრილი 8

წლები	სან ტორიუმების რაოდენობა	მათში საწოლები	დასასვენებელი სახლების რაოდენობა	მათში საწოლები
1940	12	2250	20	2072
1945	10	822	2	69
1950	22	3054	8	517
1955	23	3596	10	1083
1960	14	2825	17	3295
1965	14	3179	14	3787
1966	12	3009	16	3410

ყალიბდა მძლავრი საკურორტო-ტურისტული კომპლექსები გაგრის, გუდაუთის, ახალი ათონისა და სოხუმის, 1967 წელს მწყობრში ჩად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა სამი ათასადგილიანი ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი, ერთ თავისი კეთილმოწყობით უნიკალურია საბჭოთა კავშირში.

ინტენსიურად ვითარდება აფხაზეთში ტურიზმი. ტურისტული ბაზები ამჟამად მოქმედებენ სოხუმში (3), გაგრაში, ახალ ათონში და რიგ სხვა პუნქტებში სულ 2,5 ათას ადგილზე, რაც საქართველოს მთელი ტურბაზების საერთო სიმძლავრის თითქმის 30%-ია. თანდათანობით ვითარდება საერთაშორისო ტურიზმი, რომლის მთავარ ცენტრად არა მარტო აფხაზეთში, არამედ საერთოდ საქართველოში გადაიქცა ქ. სოხუმი.

ზემოაღნიშნული საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების გარდა საკვლევი რაიონის ფარგლებში მოქმედებენ მრავალრიცხოვანი პანსიონატი, სასტუმრო, კემპინგი და პიონერთა ბანაკი. არსებული გაანგარიშების თანახმად 1970 წელს აფხაზეთში აღრიცხულ იქნა ყველა სახის 90 დაწესებულება საკურორტო მკურნალობის, დასვენებისა და ტურიზმისათვის. მათი საერთო ტევადობა 26,3 ათას საწოლს შეადგენდა. მიუხედავად საკმაოდ მნიშვნელოვანი სიმძლავრისა, ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ სრულად სსრკ მშრომელთა მოთხოვნილებებს და მათი უმეტესობა განსაკუთრებით ზაფხულის სეზონში, უსაგზაროდ ჩამოდის.

ტურიზმის და საკურორტო მეურნეობის ტერიტორიული განლაგება აფხაზეთში ხასიათდება მათი კონცენტრაციით ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში, რომელთა სპეციალიზაცია ამ მიმართულებით სულ უფრო ძლიერდება. აქ ჩამოყალიბდა ორი მძლავრი რეკრეაციული გაგრისა და სოხუმის ქვერაიონი. გაგრის ქვერაიონი აერთიანებს ლესელიძე-განთიადის, საკუთრივ გაგრის, ბიჭვინთის და რიწა-ავადჰარის, ხოლო სოხუმის ქვერაიონი — გუდაუთის, ახალი ათონისა და სოხუმის პირველად კომპლექსებს.

გ ა გ რ ი ს ს ა კ უ რ ო რ ტ ო-ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი ქ ვ ე რ ა ი ო ნ ი ან, როგორც მას შეგვიძლია ვუწოდოთ, „დიდი გაგრა“ საქართველოს მთავარ რეკრეაციულ კომპლექსს წარმოადგენს. იგი დიდი სოჭის და დიდი იალტის საკურორტო-ტურისტული კომპლექსების ანალოგიურია, თუმცა შედარებით უფრო მცირეა თავისი მასშტაბებით. მის ფარგლებში განლაგებულია 20-მდე სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი თითქმის 4 ათას ადგილზე, რაც რესპუბლიკის შესაბამისი მაჩვენებლის 14% შეადგენს.

ქვერაიონის მთავარი შემადგენელი ნაწილია კურორტი გაგრა, რომლის ბაზაზე ჩამოყალიბდა საქართველოს მნიშვნელობით მეორე (წყალტუბოს შემდეგ) პირველადი რეკრეაციული კომპლექსი. იგი აერთიანებს 14 საკურორტო დაწესებულებას 2,6 ათასი ადგილით. გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ამისა გაგრაში მოქმედებს ტურისტული ბაზა, სასტუმრო და სხვა-
დასხვა უწყების დასასვენებელი სახლები. სოხუმთან ერთად იგი არა-
ორგანიზებულ დამსვენებელთა მიზიდვის მთავარი ცენტრია საქართ-
ველოს ზღვისპირეთში.

გაგრის შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ყველაზე უფრო პოპულა-
რულ კურორტად გადაქცევა განსაზღვრა მისმა ბუნების სილამაზემ
და იშვიათმა კლიმატურმა პირობებმა. კურორტი განლაგებულია გაგ-
რის ქედის ფერდობებზე ცივწყალიდან ახალ გაგრამდე თითქმის 20
კმ მანძილზე. ახლო მომავალში მოსალოდნელია, რომ იგი გახდება
შერეული, მთა-ზღვის ტიპის კურორტი, თუ პრაქტიკულად გადა-
წყდება გაგრა-ალპურის მშენებლობის საკითხი. პერსპექტივაში გაგ-
რის კომპლექსის განვითარება უნდა წარიმართოს უმთავრესად დასვე-
ნებისა და ტურიზმისათვის განკუთვნილი დაწესებულებების აგების
გზით. გაგრა-ალპურში შეიქმნება სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-
ერთი ძირითადი ბაზა საქართველოში.

ლესელიძე-განთიადის პირველადი კომპლექსი გაცილებით უფრო
ცირე მასშტაბისაა. მოქმედებს სულ რამდენიმე დასასვენებელი სახ-
ლი და პანსიონატი. ზაფხულობით იხსნება მრავალრიცხოვანი პიონერ-
თა ბანაკი. გამოირჩევა იგი აგრეთვე როგორც „საოჯახო“ დასვენე-
ბის ცენტრი.

რიწა-ავადჰარის კომპლექსს აქვს სამთო-კლიმატური და ბალნეო-
ლოგიური პროფილი. რიწის ტბა ტურიზმის უმნიშვნელოვანესი ობი-
ექტია თავისი და გარემომცველი მთების ბუნების იშვიათი სილამა-
ზით. ავადჰარას ბალნეო-კლიმატური რესურსები ჯერ არასრუ-
ლადაა გამოყენებული, თუმცა ზაფხულობით აქ რამდენიმე ათასი
დამსვენებელი და ავადმყოფი ჩამოდის. სულ რიწა-ავადჰარაში ამჟა-
მად მხოლოდ ორი საკურორტო დაწესებულებაა 250 ადგილზე. პერს-
პექტივაში რიწა კვლავინდებურად განვითარდება, როგორც ტურიზმის
ცენტრი, ხოლო ავადჰარა — ბალნეო-კლიმატური კურორტი.

ბიჭვინთის პირველადი საკურორტო-ტურისტული კომპლექსი
აერთიანებს დაბა ბიჭვინთის და მეზობლად მდებარე სოფლებს. იგი
გამოირჩევა განსაკუთრებით მრავალფეროვანი საკურორტო რესურსე-
ბით. მისი ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უჭირავს ფიჭვის კო-
რომს, რომელიც მესამეული პონტური ფლორის რელიქტია. ბიჭ-
ვინთის კონცხი სხვა სახის მცენარეულობითაც არის მდიდარი. მას
ამშვენებს კვიპაროსის ხეივნები და ბზის ნარგავები. კურორტის მი-
დამოებში პლაჟი თანდათანობით ეშვება ზღვაში, ხოლო ზღვა ყურე-
ში თითქმის ყოველთვის მშვიდია. საშუალო წლიური ტემპერატურა
15°-ია, მზიან დღეთა რაოდენობა — 216.

1967 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა რამდენიმე პანსიონატისაგან შემდგარი ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსი. მისი ერთდროულად გამტარუნარიანობა თითქმის 3 ათას კაცს შეადგენს. პერსპექტივაში ბიჭვინთის რაიონში ახალი საკურორტო ობიექტების მშენებლობა მხოლოდ შეზღუდულ ფარგლებშია შესაძლებელი და ისიც არა საკუთრივ ბიჭვინთაში, რათა არ დავუშვათ რელიქტური ფიჭვის კორომის ბიოეკოლოგიური პირობების გაუარესება.

სოხუმის საკურორტო-ტურისტული ქვერაიონის მთავარი ბირთვია სოხუმის პირველადი რეკრეაციული კომპლექსი, რომელიც სპეციალიზირებულია უმთავრესად ტურისტებისა და უსაგზურო დამსვენებლების მომსახურებაზე. აქ მუშაობს სამი მსხვილი ტურისტული ბაზა, ავტოპანსიონატი, ოთხი სასტუმრო და სხვ. საკურორტო ფუნქცია დამახასიათებელია უფრო მეტად სოხუმის კომპლექსის პერიფერიულ ნაწილში განლაგებული პუნქტებისათვის (გულრიფში, აგუძერა, ეშერა). სულ ამ კომპლექსის საკურორტო დაწესებულებების საერთო ტევადობა შეადგენს დაახლოებით 2 ათას საწოლს, რაც რესპუბლიკის შესაბამისი მაჩვენებლების 7% არ აღემატება.

ქ. სოხუმს, როგორც აფხაზეთის ასსრ დედაქალაქს, ადმინისტრაციულთან ერთად სხვა ფუნქციებიც გააჩნია. იგი საქართველოს მეორე კულტურული და სამეცნიერო ცენტრია და მნიშვნელოვანი სატრანსპორტო კვანძი. ერთ-ერთი მთავარია მისთვის საკურორტო ფუნქცია, რაც ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარეობს. სოხუმის კლიმატის დადებით მაჩვენებელთა შორის აღსანიშნავია თბილი, მზიანი შემოდგომა, რბილი ზამთარი, მზიან დღეთა სიუხვე მთელი წლის მანძილზე. დასვენებისა და მკურნალობისათვის საუკეთესო პერიოდი გრძელდება სექტემბრიდან ივლისამდე. თვით სოხუმი მარად მწვანე სამოსელში გახვეული, სწორი სუფთა ქუჩებით და ბაღხეივნებით ძალიან მიმზიდველია და შავი ზღვისპირეთის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად ითვლება.

პერსპექტივაში სოხუმის კომპლექსი უნდა განვითარდეს ახალი პუნქტების (გუმისთა, ახალი კინდღი, ამტყელის ტბა და ა. შ.) ათვისების გზით. თვით სოხუმში მიზანშეწონილია მხოლოდ სასტუმროებისა და ტურიზმის ბაზების მშენებლობა და ნაწილობრივ, არსებული საკურორტო დაწესებულებების გაფართოება. ერთდროულად უნდა გაძლიერდეს სოხუმის როლი, როგორც აფხაზეთის საკურორტო რაიონის სავაჭრო-განმანაწილებელი და მაორგანიზებელი ცენტრისა. აქვე

მიზანშეწონილია მრეწველობის მომსახურე დარგების საწარმოების მშენებლობაც.

გუდაუთის პირველადი კომპლექსი მოიცავს ქ. გუდაუთას და მის მახლობელ სოფლებს, სადაც განლაგებულია 8 საკურორტო დაწესებულება 1,6 ათას ადგილზე. კურორტი გუდაუთა მდებარეობს შედარებით ფართო ზღვისპირა დაბლობზე და ამდენად საკურორტო მშენებლობა აქ არ არის ლიმიტირებული სამშენებლო მოედნების სიმცირით. იგი ხასიათდება უფრო ცივი და ნოტიო კლიმატით, ვიდრე სოხუმი. მისი პლაჟი ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება აფხაზეთის სანაპიროზე. უკანასკნელ წლებში გუდაუთა მზარდი რაოდენობით იზიდავს არაორგანიზებულ დამსვენებლებს. მომავალში ძირითადი ყურადღება უნდა მიექცეს დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების აგებას.

ახალი ათონის კომპლექსის სპეციალიზაციის ძირითადი მიმართულება უკანასკნელ დრომდე იყო საკურორტო-სამკურნალო. აქ არის 4 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი 1,3 ათას ადგილზე, რომლებიც 1967 წელს 27 ათას კაცს მოემსახურა. საკმაოდ დიდი რაოდენობით ჩამოსული იყო უსაგზურო დამსვენებლებიც. ამჟამად ახალი ათონის პროფილი საგრძნობლად იცვლება ტურიზმის ხვ. წონის ზრდის ხარჯზე. მიმდინარეობს ტურისტული „ქალაქის“ მშენებლობა რამდენიმე ასეულ ადგილზე. ტურიზმის განვითარებას ახალ ათონში ხელს უწყობს ამ რაიონის ბუნების სილამაზე, ისტორიული ძეგლების არსებობა და სხვ. განსაკუთრებით პერსპექტიულია ახალი ათონი სპელეოტურიზმის განვითარებისათვის, რომლის მთავარი და პრაქტიკულად ერთადერთი ცენტრი რესპუბლიკაში გახდება იგი ანაკოფიის მდვიმის კეთილმოწყობის შემდეგ.

აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს კიდევ ერთი — ტყვარჩელი-ოჩამჩირის რეკრეაციული კომპლექსის ფორმირება. ტყვარჩელში, ადგილობრივი მინერალური წყაროების ბაზაზე მოქმედებს ბალნეოლოგიური კურორტი. უკანასკნელი წლების მანძილზე ქ. ოჩამჩირე თანდათან ცნობილი ხდება არაორგანიზებული დამსვენებლებისათვის. კარგი პლაჟი, დიდი საბინაო ფონდი, სიწყნარე და ხილ-ბოსტნეულით დამაკმაყოფილებელი მომარაგება ხელს უწყობს დამსვენებლებისა და ტურისტების რაოდენობის ზრდას. ოჩამჩირეში არის ტურისტული ბაზა, პანსიონატი, სასტუმრო.

აჭარის საკურორტო-ტურისტული რაიონი მოიცავს აჭარის ასსრ სანაპირო ზოლს. იგი გადაჭიმულია ბათუმიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 კმ-ის მანძილზე. აჭარის სანაპირო მეტწილად მთიანია, კლიმატი განსაკუთრებული სირბილით გამოირჩევა.

საშუალო თვიური ტემპერატურების ამპლიტუდა აქ მინიმალურია და 17° არ აღემატება, ე. ი. იმდენივეა, რამდენიც საფრანგეთის ცხობილ კურორტ ნიცაში. იანვრის საშ. ტემპერატურა ბათუმში 6,4°-ია, აგვისტოსი 23,2°. სანაპირო პლაჟების უმეტესობა, განსაკუთრებით ქობულეთში, საუცხოო ხარისხისაა. ზღვის წყლის ტემპერატურა ზაფხულში შეადგენს 24°, წინააღმდეგ 23° სოჭაში და 19° იალტაში. ეს სხვაობა კიდევ უფრო მკვეთრია საბჭოთა კავშირის სხვა საზღვაო კურორტებთან შედარებით. მაგალითად, იურმალაში ზაფხულის თვეში ზღვის წყლის ტემპერატურა საშუალოდ 17—18° არ აღემატება. აჭარა მდიდარია აგრეთვე მინერალური წყაროებით. ესთეტიკური რესურსების მრავალფეროვნებით იგი სხვა საკურორტო რაიონებს არ ჩამოუვარდება.

რევოლუციამდელ პერიოდში აჭარის ზღვისპირეთი საკურორტო თვალსაზრისით სუსტად იყო ათვისებული. პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში აჭარის კურორტებზე მხოლოდ 4—5 ათასი კაცი ისვენებდა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კერძო პირთა ნაციონალიზირებული აგარაკები სანატორიუმებად და დასასვენებელ სახლებად გადაკეთდა, გაიშალა ახალი მშენებლობაც. უკვე 1929 წელს საგზურებით აქ დაისვენა 10 ათასამდე მშრომელმა, ხოლო 1940 წლისათვის აჭარაში შეიქმნა საკმაოდ განვითარებული საკურორტო მეურნეობა. ამ წელს მუშაობდა 17 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი, რომლებმაც 16 ათასი დამსვენებელი გაატარეს. დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში გრძელდება აჭარის კურორტების გაფართოება და კეთილმოწყობა. 1967 წელს მუშაობდა 23 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი 4,2 ათას საწოლით, რაც რესპუბლიკის შესაბამისი მაჩვენებლების 15% შეადგენს. აჭარის კურორტებზე დამსვენებლების ძირითადი ნაკადი მოემართება სსრ კავშირის ცენტრალური რაიონებიდან და უკრაინიდან, პირველ რიგში კი დიდი ქალაქებიდან (მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან და სხვ.); გაცილებით მცირე მასშტაბისაა დამსვენებელთა ნაკადი თბილისიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან. ციფრობრივი გამოსახულებებით, რესპუბლიკის ფარგლებს გარედან მოსული იყო დამსვენებელთა 85%, ხოლო საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 15%.

აჭარაში ამჟამად ფუნქციონირებს 3 ტურისტული ბაზა — ბათუმში, მწვანე კონცხზე და ციხისძირში, რომელთაგან მწვანე კონცხის ტურბაზა ერთ-ერთი უდიდესია რესპუბლიკაში.

გარდა ორგანიზებული დამსვენებლებისა, აჭარის კურორტებს ყოველწლიურად ესტუმრა 100 ათასამდე უსაგზუროდ ჩამოსული პირი. მათი გარკვეული ნაწილი თავსდება ბათუმისა და ქობულეთის სას-

ტუმროებში, რომელთა ერთდროული ტევადობა 450 კაცს არ აღემატება. ამიტომ დამსვენებლების დიდი ნაწილი იძულებულია გაჩერდეს კერძო პირთა ბინებში.

საკურორტო-ტურისტული მეურნეობა გადაიქცა აჭარის ეკონომიკის მნიშვნელოვან რგოლად. ავტონომიური რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა 3% უშუალოდ ჩაბმულია ამ დარგში. არაპირდაპირი გზებით კი (ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში) დამსვენებელთა მომსახურებასთან დაკავშირებულია ბევრად მეტი ადამიანი.

გეოგრაფიული მდებარეობისა და სპეციალიზაციის შესაბამისად აჭარაში გამოიყოფა ორი რეკრეაციული ქვერაიონი: ბათუმისა და ქობულეთის. პირველი მოიცავს ბათუმს, მახინჯაურს და სამთოკლიმატურ კურორტ ცისკარას (მტირალას). მეორეში გაერთიანებულია ქობულეთისა და ციხისძირის პირველადი რეკრეაციული კომპლექსები. ბათუმის ქვერაიონისათვის დამახასიათებელია ტურისტულ-სამკურნალო ფუნქცია, ქობულეთის ქვერაიონისათვის კი ძირითადად სამკურნალო ფუნქცია.

ბათუმის ქვერაიონი აერთიანებს საკუთრივ ბათუმისა და მახინჯაურ-მწვანე კონცხის პირველად კომპლექსებს. ბათუმი წარმოადგენს პოპულარულ ზღვისპირა კურორტს. მისი კლიმატის დადებითი მხარეა ნისლოვანი დღეების სიმცირე. ქარები იშვიათია და წყნარი დღეების რიცხვი ორჯერ მეტია, ვიდრე სოხუმსა და სოჭაში, ქარის საშუალო სიჩქარე კი ორჯერ ნაკლებია. ამის გამო, ბათუმისათვის დამახასიათებელია იშვიათი გამჭვირვალობის და მტვერს მოკლებული ხავერდოვანი ჰაერი. მდიდარი მცენარეულობა და ქალაქის მიდამოების ბუნების სილამაზე კიდევ უფრო მრავალფეროვანს ხდის ბათუმის საკურორტო-ტურისტულ რესურსებს. ქალაქში უმთავრესად უსაგზურო დამსვენებელი ჩამოდის, ვინაიდან საკურორტო-ტურისტული დაწესებულების ტევადობა ლიმიტირებულია. ბათუმისათვის უფრო მეტად, ვიდრე შავი ზღვისპირეთის სხვა მსხვილი კურორტებისათვის, დამახასიათებელია დამსვენებელთა ნაკადის მკვეთრად გამოხატული სეზონურობა. მომავალში ბათუმი განვითარდება უპირველესად როგორც ტურიზმის, მათ შორის უცხოური ტურიზმის ცენტრი.

მახინჯაური-მწვანე კონცხის კომპლექსი მოიცავს ზღვისპირა ზოლს კარა-დერესა და მწვანე კონცხებს შორის. ამ მიკრორაიონის კლიმატური მაჩვენებლები რამდენადმე უკეთესია, ვიდრე ბათუმში. ზაფხული ოდნავ გრილია, ზამთარი კი რამდენადმე თბილი. დამატებით სამკურნალო საშუალებას წარმოადგენს მახინჯაურის მინერალური წყაროები, რომელთა ბაზაზე აგებულია სააბაზანო შენობა. მახინჯა-

ურში მოქმედებს 5 დასასვენებელი სახლი და პანსიონატი დაახლოებით ათას ადგილზე.

ამავე კომპლექსის შემადგენელი ნაწილია კურორტი მწვანე კონცხი. იგი აჭარის სანაპიროს ულამაზესი კუთხეა, წარმოადგენს რა სუბტროპიკული და ტროპიკული მცენარეულობის ნამდვილ სამეფოს. კურორტს ამშვენებს 1912 წელს დაარსებული ბოტანიკური ბაღი. იგი ერთ-ერთი უდიდესია მთელ საბჭოთა კავშირში. ამჟამად მწვანე კონცხზე არის ორი სანატორიუმი 345 ადგილით (მ. შ. 300-ადგილიანი „აჭარა") და საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული ბაზა.

ქობულეთის ქვერაიონი გამოირჩევა საკურორტო დაწესებულებების კონცენტრაციით. მასზე მოდის აჭარაში არსებული სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების 2/3. ამ ქვერაიონში ორი პირველადი კომპლექსი გამოიყოფა — ქობულეთისა და ციხისძირის.

ქობულეთი საქართველოს ერთ-ერთი მთავარი ზღვისპირა კურორტია. მისი კლიმატი ბათუმთან შედარებით უფრო მშრალია, ხოლო მზიან დღეთა რიცხვი მეტია. ქობულეთის ღირსებაა ზღვის წყლის მაღალი ტემპერატურა და საუცხოო ფართო პლაჟის არსებობა. პირველი სანატორიუმი კურორტზე შეიქმნა 1924 წელს, ხოლო უკვე 1934 წელს ქობულეთში ფუნქციონირებდა 7 საკურორტო დაწესებულება 780 ადგილზე. ამჟამად კურორტზე ითვლება 9 სანატორიუმი, დასასვენებელი სახლი და პანსიონატი 1750 საწოლით, განლაგებული ზღვის პირას მრავალწლიან ფიჭვნარში. აქვე მუშაობს საკურორტო პოლიკლინიკა, სასტუმრო, სამედიცინო პლაჟი, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების დაწესებულებები.

აჭარის კურორტებს შორის ქობულეთს გააჩნია ყველაზე უფრო დიდი თავისუფალი ფართობები (მდ. ჩოლოქის შესართავამდე) ახალი საკურორტო მშენებლობისათვის, ამიტომაც იგი შეიძლება ჩაითვალოს ამ რაიონის მთავარ პერსპექტულ კურორტად.

კლიმატური კურორტი ციხისძირი ტიპიური საკურორტო დასახლებაა და დაშორებულია ქობულეთს 5 კმ-ით. იგი მდებარეობს მაღალ კლდოვან ნაპირზე, ჩაფლულია მარადმწვანე სუბტროპიკულ მცენარეულობაში. ციხისძირში მოქმედებს 5 დასასვენებელი სახლი 820 ადგილზე და ტურისტული ბაზა. კურორტის შემდგომი გაფართოება უნდა წარიმართოს არსებული საკურორტო-ტურისტული დაწესებულებების ტევადობის ზრდის ხარჯზე.

კ ო ლ ხ ე თ ი ს ს ა კ უ რ ო რ ტ ო-ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი რაიონი მოიცავს დასავლეთ საქართველოს დაბლობ ზონას (ზღვისპირა ზოლის გამოკლებით), სადაც განლაგებულია ცნობილი ბალნეოლოგიური კუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რორტები: წყალტუბო, მენჯი და ცაიში. მის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს ქუთაისის და ოდიშის ქვერაიონები. პირველი აერთიანებს ქუთაისისა და წყალტუბოს, ხოლო მეორე მენჯისა და ცაიშის პირველად რეკრეაციულ კომპლექსებს. ამ რაიონზე მოდის რესპუბლიკის საკურორტო დაწესებულებების 11,5% და მათში ადგილების თითქმის 15%. მის საკურორტო მნიშვნელობას განსაზღვრავს უნიკალური ჰიდრომინერალური რესურსების არსებობა. განსაკუთრებული ადგილი მათ შორის უკავია წყალტუბოს თბილ (32—35°), სუსტადმინერალიზებულ (0,8 მ/ლ), სუსტადრადიოაქტიურ (მაჰეს 3—30 ერთეული) და აზოტის დიდი შემცველობის მქონე წყაროებს. დღეღამეში წყალტუბოს სამკურნალო წყლების დებიტი შეადგენს 12 მლნ ლიტრს. დამატებითი საკურორტო ფაქტორია აგრეთვე თბილი ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი. ამჟამად აქ ფუნქციონირებს 13 სანატორიუმი და პანსიონატი 3,7-ათას ადგილზე, რაც საქართველოს საკურორტო ფონდის 13% აღემატება. წყალტუბოში დიდი ეფექტით მკურნალობენ გულისა და სისხლძარღვის, მოძრაობის ორგანოთა, ნერვული სისტემის და სხვა სახის დაავადებებს.

ადგილობრივი გოგირდწყალბადოვანი, ქლორიუმ-ნატრიუმიანი წყაროების ბაზაზე ქ. ცხაკაიიდან 3 კმ დაშორებით შეიქმნა კურორტი მენჯი, სადაც გულ-სისხლძარღვთა, კანისა და მოძრაობის ორგანოთა დაავადებებს კურნავენ. მენჯში არის მსხვილი 290-ადგილიანი სანატორიუმი, რომელიც 1967 წელს 4 ათასამდე ავადმყოფს მოემსახურა.

კოლხეთის ახალი და მეტად პერსპექტიული კურორტია ცაიში ქ. ზუგდიდის მახლობლად. აქ გოგირდწყალბადიანი თერმული (80°-მდე ტემპერატურით) წყლების გამოსავლებია, რომლებითაც მკურნალობენ პერიფერული ნერვული სისტემის, კანის, მოძრაობის ორგანოთა და სხვა სახის დაავადებებს. ცაიშის კურორტზე მოქმედმა 200-ადგილიანმა სანატორიუმმა 1967 წელს 3 ათასამდე ავადმყოფი გაატარა.

ტურიზმი კოლხეთის რაიონში განვითარებულია უმთავრესად ქ. ქუთაისის საგარეუბნო ზონაში, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივი და ისტორიული ძეგლების კონცენტრაციით. აქ მდებარეობს სათაფლიის და აჯამეთის ნაკრძალები, გელათის ტაძარი და აკადემიის ნაგებობათა კომპლექსი (XII ს.), თვით ქუთაისში არის ბაგრატის ტაძრის ნანგრევები და სხვა ისტორიული ძეგლები. ქუთაისი საბოლოო პუნქტია ცნობილი ტურისტული მაგისტრალის — ოსეთის სამხედრო გზის. აქ მოქმედებს ტურისტული ბაზა. პერსპექტივაში ქუთაისი გადაიქცევა კოლხეთის საკურორტო-ტურისტული რაიონის მაორგანიზებელ ცენტრად.

მთლიანად კოლხეთის რაიონი მომავალში განვითარდება ორი ძირითადი მიმართულებით: საკურორტო-სამკურნალო უპირატესად წყალტუბოს მინერალური წყაროების ბაზაზე და ტურისტული — ცენტრით ქ. ქუთაისში. წყალტუბოს მინერალური წყაროების დებიტი საფუძველს გვაძლევს დავგეგმოთ მისი სანატორული დაწესებულების ტევადობის ზრდა ერთიორად. ამავე პერიოდში ტურიზმის მსხვილ ცენტრად გადაიქცევა ქუთაისი, სადაც აგებული იქნება ახალი დიდი ტურბაზა, სასტუმროები და ავტოპანსიონატები.

ზემო-რაჭის საკურორტო-ტურისტული რაიონი მოიცავს ონის ადმინისტრაციული რაიონის ტერიტორიის უმეტეს ნაწილს. იგი შედგება შოვისა და ონი-უწერას პირველადი რეკრეაციული კომპლექსებისაგან. პერსპექტივაში მოსალოდნელია ღების რეკრეაციული კომპლექსის შექმნაც.

ზემო რაჭის რაიონი თითქმის მთლიანად მდებარეობს 1000 მ მაღლა ზ. დ. მისი მთავარი სატრანსპორტო ღერძია ოსეთის სამხედრო გზა. ამ გზის გაყოლებით განლაგებულია სოფლები, რომელთა მოსახლეობა მისდევს მეცხოველეობას და ნაწილობრივ მიწათმოქმედებას.

ზემო რაჭის რაიონის საკურორტო-ტურისტულ მნიშვნელობას განსაზღვრავს ცენტრალური კავკასიონის ბუნების სილამაზე და მდიდარი ჰიდრომინერალური რესურსების არსებობა. ჯერჯერობით აქ შექმნილია ერთადერთი შედარებით მსხვილი კურორტი შოვი. იგი 1928 წლიდან მოქმედებს.

შოვი განლაგებულია 1600 მ სიმაღლეზე ზ. დ. ჭანჭახის წყლის ხეობის გაფართოებულ ნაწილში, რომლის ფერდობები წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყეებით არის დაფარული. მზის ნათების ხანგრძლივობისა და ატმოსფეროს კარგი გამჭვირვალობის გამო შოვში მზის პირდაპირი რადიაციის ჯამი წლის ყველა სეზონში საკმაოდ მნიშვნელოვანია და უფრო მეტია, ვიდრე შვეიცარიის ცნობილ კურორტ დავოსში. შოვში მზის ნათების ხანგრძლივობა შეადგენს 2050 საათს წელიწადში წინააღმდეგ 1 789 საათისა დავოსში. ამ მაჩვენებლით შოვი სჯობნის საქართველოს სხვა მაღალმთიან კურორტებსაც — ბახმაროსა და ბაკურიანს. დამატებითი სამკურნალო საშუალებაა შოვის მინერალური წყაროები.

შოვში ამჟამად მოქმედებს ორი დასასვენებელი სახლი 320 ადგილით, მათ შორის უმაღლესი ჯგუფის დასასვენებელი სახლი „მამისონი“ 270 ადგილით. ორივემ 1967 წელს 3,3 ათასი დამსვენებელი გაატარა. გარდა ამისა, კურორტზე ფუნქციონირებს მსხვილი ტურისტული ბაზა.

ჩამოყალიბების პროცესში იმყოფება ონი-უწერას პირველადი რეკრეაციული კომპლექსი, რომლის მთავარი შემადგენელი ნაწილია კურორტი უწერა. იგი მდებარეობს მდ. რიონის ხეობაში 1040 მ სიმაღლეზე ზ. დ. და გარშემორტყმულია წიწვიანი ტყეებით დაფარული მთებით. მთავარი სამკურნალო ფაქტორია (კლიმატთან ერთად) სამკურნალო მინერალური წყაროები, ისინი გამოყენებულია კუჭ-ნაწლავთა, ღვიძლისა და შარდსადენი გზების დაავადებათა მკურნალობისათვის. კურორტზე მოქმედებს 75-ადგილიანი პანსიონატი. წარმოებს „უწერას“ მინერალური წყლის ჩამოსხმა.

პერსპექტივაში ზემო რაჭის რეკრეაციული რაიონის განვითარების ძირითადი მიმართულებაა შოვის პირველადი კომპლექსის როგორც საკურორტო, ისე ტურისტული ფუნქციის გაძლიერება. ერთდროულად საგრძნობლად უნდა გაფართოვდეს კურორტი უწერა, ხოლო ონში შეიქმნას ტურისტული ობიექტები.

ბ ო რ ჯ ო მ-ა ბ ა ს თ უ მ ნ ი ს ს ა კ უ რ ო რ ტ ო-ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი რ ა ი ო ნ ი მოიცავს საქართველოს სამხრეთი მთიანეთის ცენტრალურ ნაწილს. იგი მეორე ადგილზეა რესპუბლიკაში როგორც სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პანსიონატების საერთო რაოდენობით (საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლის 18%), ისე მათი სიმძლავრით (16%). ერთდროულად იგი წარმოადგენს საქართველოს მშრომელთა „საოჯახო“ დასვენების მთავარ რაიონს ზაფხულში და ბავშვთა სანატორულ-საკურორტო დაწესებულებების გაადგილების ერთ-ერთ ძირითად არეალს. ივლის-აგვისტოში უსაგზურო დამსვენებლების რაოდენობა ამ რაიონში მრავალი ათეული ათასი კაცით განისაზღვრება.

ბორჯომ-აბასთუმნის რაიონში გამოიყოფა ორი საკურორტო-ტურისტული ქვერაიონი: ბორჯომ-ბაკურიანის და მესხეთის. პირველი ხასიათდება უფრო დიდი გამტარიანობით, საკურორტო დასახლებების სიმრავლით, შინაგანი ერთიანობით, მომსახურე დარგების განვითარებით. თავის მხრივ იგი შედგება ბორჯომის, წაღვერის, ბაკურიანის და სურამის პირველადი რეკრეაციული კომპლექსებისაგან.

ბორჯომის რეკრეაციული კომპლექსი, რომლის ბირთვია კურორტი ბორჯომი, მოიცავს ბორჯომის ხეობაში განლაგებულ კურორტებს— ახალდაბას, ქვიშხეთს და საკმაოდ მრავალრიცხოვან სააგარაკო ადგილებს. მათი მთავარი სამკურნალო ფაქტორია მთის კლიმატი და მდიდარი, წიწვოვანი ტყეები. ზოგიერთ პუნქტში არის აგრეთვე სამკურნალო მინერალური წყლების გამოსავლები.

მთელი ამ რაიონის ადმინისტრაციული, სავაჭრო-განმანაწილებელი და კულტურული ცენტრია ცნობილი კურორტი ბორჯომი, რომელიც წარმოიშვა მე-19 საუკუნეში ადგილობრივი უნიკალური სამკურ-

ნალო თვისებების მქონე მინერალური წყაროების ბაზაზე. ბორჯომის მინერალური წყლები გამოყენებულია კუჭის, გულ-სისხლძარღვთა და სხვა სახის დაავადებების სამკურნალოდ. წარმოებს მისი ჩამოსხმაც, წელიწადში 100 მილიონზე მეტი ბოთლის რაოდენობით. ქ. ბორჯომი წარმოადგენს მინერალური წყლების ჩამომსხმელი მრეწველობის ყველაზე მნიშვნელოვან ცენტრს საბჭოთა კავშირში.

ბორჯომში 1967 წელს მოქმედებდა 10 საკურორტო ობიექტი 2,4 ათას ადგილზე. მხოლოდ პროფკავშირული დაქვემდებარების დაწესებულებები მოემსახურება 14 ათასზე მეტ მშრომელს. გარდა ამისა, 2,4 ათასმა კაცმა ისარგებლა ამბულატორულ-საკურორტო მკურნალობით. ტურისტების მომსახურების მიზნით ბორჯომში აგებულია ტურისტული ბაზა და სასტუმრო.

წაღვერის პირველადი რეკრეაციული კომპლექსის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვების დასვენება და მკურნალობა. საბავშვო სანატორიუმების გარდა ზაფხულში აქ დიდი რაოდენობით იხსნება პიონერთა ბანაკები, საბავშვო ბაღები და ბაგები. წაღვერის კომპლექსი მოიცავს პოპულარულ საგარაკო ადგილებს ცემს, ტბას, პატარა ცემს. მის შემადგენლობაში შედის აგრეთვე კურორტი ლიბანი, განკუთვნილი ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ. სულ ამ რაიონში 4 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლია 935 ადგილით.

ბაკურიანის კომპლექსი უმთავრესად განკუთვნილია ტურისტებისა და სამთოსათხილამურო სპორტის მოყვარულთა მომსახურებისათვის. დაბა ბაკურიანში მოქმედებს მსხვილი ტურისტული ბაზა, სასტუმრო, რამდენიმე სპორტული ბაზა. ზაფხულობით ბაკურიანი გამოიყენება აგრეთვე როგორც მაღალმთიანი კლიმატური კურორტი ბავშვებისათვის და მოზრდილთათვის. მზიანი დღეების სიუხვით, ყინვების ზომიერებით, თოვლის საბურველის ხანგრძლივობით ბაკურიანი წინ უსწრებს ევროპის ცნობილ მაღალმთიან კურორტებს, რაც შესაძლებლობას იძლევა პერსპექტივაში გადავაქციოთ იგი სპორტის ზამთრის სახეობების საერთაშორისო მნიშვნელობის ცენტრად.

სურამის რეკრეაციული კომპლექსი რამდენადმე დაშორებულია ბორჯომ-ბაკურიანის ქვერაიონის ძირითად ნაწილს. სურამი ბალნეოკლიმატური კურორტია, სადაც არის 3 სანატორიუმი 325 ადგილზე და მრავალრიცხოვანი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებები ბავშვებისათვის.

მთლიანად ბორჯომი-ბაკურიანის რეკრეაციული ქვერაიონი წარმოადგენს საკმაოდ რთული საკურორტო-ტურისტული სამეურნეო-ტერიტორიული კომპლექსის ნიმუშს. მისი მატერიალური წარმოების დარგების სტრუქტურასა და სპეციალიზაციას უმთავრესად განსაზღვრავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკურორტო-ტურისტული ფუნქციაა. ამავე დროს იგი კარგი მაგალითია იმისა, რომ მთიან რაიონში კურორტებისა და ტურიზმის ცენტრების შექმნა არის მყარი საფუძველი საწარმოო ძალების საერთო აღმავლობისათვის და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის. ბორჯომის რაიონი თითქმის ერთადერთი მთიანი რაიონია საქართველოში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა უკანასკნელი 30—40 წლის მანძილზე.

მესხეთის რეკრეაციული ქვერაიონი შედგება აბასთუმნის საკურორტო და ვარძიის ტურისტული პირველადი კომპლექსებისაგან. აბასთუმანი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარი სამთოკლიმატური კურორტია. იგი სპეციალიზირებულია ტუბერკულოზით დაავადებულთა სამკურნალოდ. კურორტზე მოქმედებს 6 სანატორიუმი 1,2 ათასი საწოლით. კლიმატოთერაპიასთან ერთად აბასთუმანში ატარებენ ბალნეოლოგიურ მკურნალობას, ადგილობრივი სულფატურ-ქლორიანი წყაროების ბაზაზე.

ვარძიის ტურისტული კომპლექსი ჩამოყალიბების სტადიაშია. მისი შექმნა დაკავშირებულია ამ რაიონში მრავალრიცხოვანი ისტორიული ძეგლების არსებობასთან (ვარძიის მღვიმური ქალაქი, თმოგვისა და ხერთვისის ციხეები, ყუმურდოს და საფარის ტაძრები და ა. შ.). ჯერჯერობით აქ არის მხოლოდ ერთი ტურისტული ბაზა (ვარძიაში).

პერსპექტივაში მოსალოდნელია მესხეთის ქვერაიონის ტურისტული ფუნქციის გაძლიერება აბასთუმანში, ახალციხეში და ვარძიაში შესაბამისი ობიექტების მშენებლობის შედეგად. ერთდროულად გაიზრდება საკურორტო-სამკურნალო დაწესებულებების სიმძლავრე როგორც კურორტ აბასთუმნის გაფართოების, ისე სხვა ბალნეოლოგიური რესურსების მქონე პუნქტების (ასპინძა) ათვისების გზით.

თ ბ ი ლ ი ს ი ს ს ა კ უ რ ო რ ტ ო-ტ უ რ ი ს ტ უ ლ ი რ ა ი ო ნ ი თავისი ფუნქციონალური დანიშნულებით საგრძნობლად განსხვავდება რესპუბლიკის სხვა რეკრეაციული რაიონებისაგან. მისი მთავარი მიზანია საქართველოს დედაქალაქის და მის გარშემო წარმოქმნილი საქალაქო აგლომერაციის მოსახლეობის დასვენების ორგანიზაცია. ერთდროულად თბილისი ტურიზმის საკავშირო მნიშვნელობის ცენტრია: თბილისის საკურორტო-ტურისტულ რაიონში კონცენტრირებულია სულ რესპუბლიკის სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების 12%. ფუნქციონალური ნიშნით ამ რაიონში გამოიყოფა რამდენიმე პირველადი რეკრეაციული კომპლექსი — თბილისის, წყნეთი-კოჯრის, მანგლისის, მცხეთა-საგურამოს.

თბილისის საკურორტო-ტურისტული კომპლექსი სპეციალიზირებულია უმთავრესად მრავალრიცხოვანი ტურისტების, მათ შორის

უცხოელი ტურისტების, მომსახურებაზე. მათთვის შექმნილია სასტუმროების ქსელი, ტურისტული ბაზა, მოტელი. ტურისტებს იხიდავს თბილისის ისტორიული ძეგლები, რომელთა უმრავლესობა ქალაქის ძველ ნაწილშია თავმოყრილი. საინტერესო ტურისტული ობიექტებია აგრეთვე მუზეუმები, ცალკეული სამრეწველო საწარმოები, თეატრები, სასწავლო და სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებები. თბილისი ცნობილია როგორც სსრ კავშირის ერთ-ერთი ლამაზი ქალაქი თავისებური მიკროგეოგრაფიის და არქიტექტურული სახის სპეციფიკურობის გამო.

თბილისი საკმაოდ პოპულარული ბალნეოლოგიური კურორტია, რომელიც წარმოიშვა ადგილობრივი მძლავრი თერმული გოგირდწყალბადოვანი წყაროების ბაზაზე. საბჭოთა ხელისუფლების წლებში აგებულია კეთილმოწყობილი საბაზანო შენობა, ორგანიზებულია საკურორტო პოლიკლინიკა. აქვე ფუნქციონირებს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

წყნეთი-კოჯრის კომპლექსი ამ ორ კურორტთან ერთად მოიცავს საგარაკო ადგილებს: კიკეთს, ბეთანიას, ტაბახმელას; ყველა ისინი განლაგებულია მთის ტყეების ზონაში, ჯანმრთელი კლიმატის პირობებში 700-დან 1400 მ სიმაღლემდე ზ. დ. აქვეა თავმოყრილი მრავალრიცხოვანი ბავშვთა სანატორიუმები, პიონერთა ბანაკები. ივლისაგვისტოში ამ რაიონში ათეულ ათასობით ადამიანი ისვენებს. პერსპექტივაში წყნეთი-კოჯრის კომპლექსი შეინარჩუნებს თავის სპეციალიზაციას, როგორც თბილისის მთავარი საგარეუბნო საკურორტო ზონა.

მანგლისის კომპლექსი, საკურორტო სპეციალიზაციის თვალსაზრისით წყნეთი-კოჯრის კომპლექსის ანალოგიურია, თუმცა საერთო გამტარუნარიანობით საგრძნობლად ჩამორჩება მას. მანგლისში არის 4 სანატორიუმი 380 ადგილზე და საკმაოდ მნიშვნელოვანია საბინაო ფონდი ინდივიდუალურ სექტორში.

მცხეთა-საგურამოს კომპლექსი ძირითადად ტურისტულ ფუნქციას ასრულებს. მცხეთა, როგორც ცნობილია, აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი დედაქალაქია. აქ არის უნიკალური არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები, რომლებიც დღეს ტურიზმის ობიექტებს წარმოადგენენ. კარგი ბუნებრივი პირობებია მცხეთასა და საგურამოში. ამ ტერიტორიაზე ორგანიზებულია საგურამოს ნაკრძალი. ამჟამად ტურიზმის მატერიალური ბაზა ამ რაიონში წარმოდგენილია ერთადერთი ტურბაზით მცხეთაში. პერსპექტულ პერიოდში მიზანშეწონილია სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების მშენებ-

ლობა მცხეთაში, საგურამოსა და ზედაზნის პლატოზე. აუცილებელია აგრეთვე დიდი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება.

აღმოსავლეთ კავკასიონის საკურორტო-ტურისტული რაიონი მოიცავს ვრცელ მთიან ზონას მდ. არაგვის, ლიახვის, ქსნისა და თერგის აუზებში. ამ მხარის მაღალმთიანი ლანდშაფტები ტურიზმის საინტერესო ობიექტია საქართველოში. აქ გადის რამდენიმე საკავშირო ტურისტული მარშრუტი ჩრდილოეთ კავკასიიდან საქართველოში. ძირითადი ტურისტული ტრასაა საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც წელიწადში ათეულ ათასობით ტურისტს ატარებს. აღმოსავლეთ კავკასიონის რეკრეაციული რაიონის ფარგლებში გამოიყოფა ორი ქვერაიონი — დუშეთ-ყაზბეგის და სამხრეთ ოსეთის.

დუშეთ-ყაზბეგის რეკრეაციული ქვერაიონი ჩამოყალიბდა მისი ძირითადი სატრანსპორტო ღერძის საქართველოს სამხედრო გზის გაყოლებით. 'იგი, თავის მხრივ, შედგება დუშეთის, ჟინვალი-ანანურის, ფასანაურის, ფშავ-ხევსურეთის და ყაზბეგის პირველადი კომპლექსებისაგან. ყველა მათგანისათვის მთავარია ტურისტული ფუნქცია.

დუშეთის კომპლექსი მოიცავს არაგვის ველს და ბაზალეთის პლატოს. ამ რაიონში განლაგებული სოფლები და ქ. დუშეთი თბილისის მოსახლეობის საზაფხულო დასვენების ადგილია. ტურიზმის ერთადერთი ობიექტია ბაზალეთის ტბა, რომლის ნაპირებზე შექმნილია ტურისტული ბაზა.

ჟინვალ-ანანურის კომპლექსის ტურისტული მნიშვნელობა შეპირობებულია უპირატესად საინტერესო ისტორიული ძეგლების არსებობით და მდ. არაგვის ხეობის ბუნების საერთო სილამაზით. ჯერ-ჯერობით ჟინვალი და ანანური ტურიზმის „ტრანზიტული" ცენტრებია. ისინი გამოიყენება თბილისის მცხოვრებთა საკვირაო დასასვენებელ ადგილებად. პერსპექტივაში ამ ორ პუნქტში ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა გამოიწვევს ჟინვალ-ანანურის კომპლექსის ხვედრითი წონის ზრდას დუშეთ-ყაზბეგის რეკრეაციულ ქვერაიონში.

ფშავ-ხევსურეთის კომპლექსის ტერიტორია დაახლოებით თანხვდება საქართველოს ამ ორი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქის საზღვრებს. იგი განეკუთვნება მაღალმთიან (4500 მ-მდე ზ. დ.) რაიონს და მდებარეობს კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობზე, რომლის უმეტესი ნაწილი უკავია ფართოფოთლოვან ტყეებს და მაღალმთიან მდელოებს. მდიდარია ეს რაიონი მინერალური წყაროებითაც. ტურიზმის განვითარების დამატებით ხელშემწყობი ფაქტო-

რია ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული თავისებურებანი. ფშავ-ხევსურეთში არის ყველა წინაპირობა მძლავრი ტურისტული კომპლექსის შექმნისათვის, მაგრამ ჯერჯერობით ტურიზმის მატერიალური ბაზა მეტად სუსტია და წარმოდგენილია ერთადერთი მცირე ტევადობის მქონე ტურისტული ბაზით. მოქმედებს აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტი ვაჟას-წყარო სოფ. ჩარგალთან. მომავალში ფშავ-ხევსურეთი მიჩნეულ უნდა იქნას ტურიზმის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად საქართველოში, რისთვისაც აუცილებელია ტურისტული ბაზებისა და სასტუმროების ქსელის შექმნა, ჟინვალი-ბარისახოს საავტომობილო გზის სრული რეკონსტრუქცია და ამ გზიდან რამდენიმე განშტოების აგება, მათ შორის ბირიქითა ხევსურეთში.

ფასანაურის კომპლექსი გამოირჩევა როგორც კარგი ბუნებრივი პირობებით, ისე მოხერხებული სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობით. დაბა ფასანაური ცნობილი საავარაკო ადგილია და ტურიზმის მთავარი ცენტრია საქართველოს სამხედრო გზის ტრასაზე. აქ მოქმედებს ტურბაზა და სასტუმრო. მიმდინარეობს ახალი, რესპუბლიკაში ერთ-ერთი უდიდესი ტურისტული ბაზის მშენებლობა. მომავალში მიზანშეწონილია პანსიონატის აგება ადგილობრივი მინერალური წყაროების ბაზაზე და მნიშვნელოვანი კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება.

ყაზბეგის კომპლექსი მოიცავს საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ პროვინციას — ხევს. მის ტურისტულ მნიშვნელობას განსაზღვრავს როგორც ბუნებრივი (მაღალმთიანი ლანდშაფტები, ყაზბეგის მწვერვალი, დარიალის ხეობა), ისე ეთნოგრაფიული და ისტორიულ-კულტურული ფაქტორები. აქ ფუნქციონირებს ტურბაზა და სასტუმრო. შენდება საჰაერო-საბაგირო გზა და ახალი ტურისტული ბაზა ს. ყაზბეგში.

სამხრეთ-ოსეთის რეკრეაციული ქვერაიონის ძირითადი ბირთვია ჯავის საკურორტო კომპლექსი, სადაც ორი სანატორიუმია 270 ადგილზე. მათი წლიური გამტარუნარიანობა 2 ათას კაცს შეადგენს. ჯავა ბალნეოკლიმატური კურორტია ნახშირმჟავა ჰიდროკარბონატულ-ქლორიდულ-ნატრიუმიანი წყაროებით.

პერსპექტივაში მოსალოდნელია ახალი საკურორტო-ტურისტული კომპლექსების შექმნა სამხრეთ ოსეთის ზონაში, რომელიც ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთ საინტერესო რაიონს წარმოადგენს. ტურისტული თვალსაზრისით საყურადღებო ობიექტებია ერწოსა და ყელის ტბები, ერმანის პლატო და ა. შ. საკურორტო მიზნით შეიძლება გამოყენებული იქნეს დღესდღეობით სუსტად ათვისებული ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიათის, ვეზურის, ლესეს და სხვა მინერალური სამკურნალო წყაროები.

გარდა ზემოდახასიათებული 7 საკურორტო-ტურისტული რაიონისა, რომლებიც მეტ-ნაკლებად უკვე ჩამოყალიბებულია და შექმნილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საქართველოში შეიძლება გამოიყოს კიდევ რამდენიმე რეკრეაციული არეალი, რომლებიც პერსპექტულ პერიოდში, საკურორტო ტურისტული რაიონების სახეს მიიღებენ (კახეთი, ზემო სვანეთი, ქვემო ქართლი).

საქართველოს ზოგიერთ სხვა ეკონომიური რაიონისაგან განსხვავებით კახეთისათვის ჯერჯერობით ნაკლებადაა დამახასიათებელი საკურორტო-ტურისტული ფუნქცია. ამჟამად ამ ტერიტორიაზე მოქმედებს სულ რამდენიმე კურორტი, რომლებიც სათანადოდ არ არის კეთილმოწყობილი და მცირე გამტარუნარიანია. მათ შორის აღსანიშნავია ახტალა, ოქტომბერი (ზინობიანი) და თორღვას აბანო.

კურორტი ახტალა წარმოადგენს ქ. გურჯაანის ერთ-ერთ მიკრორაიონს. იგი მდებარეობს გომბორის ქედის მთისწინა ზოლში, 412 მ სიმაღლეზე ზ. დ. ზაფხულის თვეების საშუალო ტემპერატურა აღწევს 21—23°, იანვარში ეცემა +0,4°-მდე. მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში 2500 საათს შეადგენს.

მთავარი სამკურნალო ფაქტორია ტალახი. აღსანიშნავია, რომ ახტალა ერთადერთი ტალახსამკურნალო კურორტია რესპუბლიკაში. აქ მოქმედებს პროფკავშირული დაქვემდებარების სანატორიუმი 115 ადგილზე და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 60-ადგილიანი სანატორიუმი.

კურორტი ოქტომბერი (ზინობიანი) მდებარეობს კავკასიონის მთისწინებში, ქ. ყვარელისაგან 10 კმ-ის დაშორებით, ტყეების ზონის უშუალო სიახლოვეს. მთავარი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყაროები, რომლებიც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდანაა ცნობილი. სამკურნალოდ ჩამოსულ პირთა რიცხვი სისტემატურად იზრდება, თუმცა მათი საერთო რაოდენობა 1—1,5 ათას კაცს არ აღემატება წელიწადში. კურორტის კეთილმოწყობის დონე ძალზე დაბალია. არის მხოლოდ სააბაზანო შენობა (13 აბაზანით) და პატარა 25-საწოლიანი სასტუმრო.

გაცილებით უფრო მოშორებულია კახეთის მოსახლეობის მთავარ საცხოვრებელ და სამეურნეო არეალს კურორტი თორღვას აბანო, რომელიც მდებარეობს თელავისაგან ჩრდილოეთით 56 კ-ის მანძილზე, ზ. დ. 1850 მ სიმაღლეზე. მაგრამ მას უპირატესობაც გააჩნია ოქტომბერთან შედარებით. პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს თორღვას აბანოს მთის კლიმატი, აგრეთვე საუკეთესო ესთეტიკუ-

რი რესურსები. მომავალში თავისი საუკეთესო ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების და მაღალეფექტური სამკურნალო მინერალური წყლების დიდი რესურსების გამო თორღვას აბანო უნდა გადაიქცეს კახეთის მთავარ ბალნეოკლიმატურ კურორტად.

უკანასკნელი წლების მანძილზე კახეთში ინტენსიურად ვითარდება ტურიზმი. კახეთი ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტული მხარეა საქართველოში, რასაც მეტად ხელსაყრელი ბუნებრივ-ეკონომიური ფაქტორები განსაზღვრავს. ერთი მხრივ აქ ბუნებრივი პირობების განსაკუთრებით მრავალფეროვანი შერწყმაა, ვინაიდან კახეთში გვხვდება, როგორც ვრცელი ვაკეები მდიდარი ბუნებრივი და კულტურული მცენარეულობებით, ისევე საშუალმთიანი და მაღალმთიანი ქედები გეოგრაფიული ლანდშაფტების კარგად გამოხატული ვერტიკალური ზონალობით. კახეთის ბუნებრივ ღირსშესანიშნაობებს შორის განსაკუთრებული ადგილი ნაკრძალებს უჭირავს. მათ შორის ფართოდაა ცნობილი ლაგოდეხის ნაკრძალი. ტურიზმისათვის საინტერესო ობიექტებს წარმოადგენენ აგრეთვე ვაშლოვანისა და ბაწარას ნაკრძალები.

მეორე მხრივ, კახეთის რეკრეაციულ ზონად გადაქცევას ხელს უწყობს მრავალი ეკონომიური და ისტორიულ-კულტურული ფაქტორი. სახელდობრ, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მატერიალური კულტურის უნიკალური ძეგლები შემონახულია ალაზნის ველზე (ალავერდი, იყალთო, გრემი), ქ. სიღნაღში და მის მიდამოებში და ა. შ. ტურიზმის ობიექტი შეიძლება იყოს აგრეთვე კახეთის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა და განსაკუთრებით მევენახეობა, აგრეთვე სპეციფიკური სამრეწველო საწარმოები (მაგ., ღვინის ქარხნები).

ამჟამად კახეთში გადის ორი საკავშირო ტურისტული მარშრუტი. ტურისტების მომსახურების მიზნით აგებულია კეთილმოწყობილი 280-ადგილიანი ტურისტული ბაზა თელავში. შედარებით ნაკლები სიდიდის ტურბაზა ფუნქციონირებს ლაგოდეხში. შენდება მსხვილი ტურბაზა სიღნაღში. კახეთი აგრეთვე საქართველოს ერთ-ერთი მთავარი საექსკურსიო რაიონთაგანია, მათ შორის უცხოელი ტურისტებისათვის.

პერსპექტულ პერიოდში საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული საკურორტო რაიონი იქნება ს ვ ა ნ ე თ ი. იგი არახელსაყრელი ეკონომიურ-გეოგრაფიული მდებარეობის და ძლიერდანაწევრებული მთიანი რელიეფის გამო განსაკუთრებულ სიძნელეებს განიცდის მეურნეობის განვითარების მხრივ. ამიტომ ამ კუთხის ეკონომიური წინსვლა დიდად არის დამოკიდებული კურორტებისა და ტუ-

რიზმის განვითარებაზე. ამასთანავე სვანეთს აქვს ყველა პირობა, რა-თა გადაიქცეს საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ტურისტულ რაიონად. გარკვეული განვითარება შესაძლოა მიეცეს საკურორტო მეურნეობასაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანეთში კურორტების შექმნის შესაძლებლობას განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტორი: შესაფერი ბუნებრივი გარემო (პირველ რიგში მთის ჯანმრთელი კლიმატი) და მდიდარი ბალნეოლოგიური რესურსები. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ბუნების საერთო სილამაზეს ე. წ. ესთეტიკურ ფაქტორს, მაგრამ აქ კურორტებისა და ტურიზმის განვითარებას აფერხებს ზოგიერთი უარყოფითი ფაქტორი, პირველ რიგში, ეს დაკავშირებულია სატრანსპორტო ქსელის განვითარებლობასთან და მისასვლელი გზების კეთილმოწყობის დაბალ დონესთან. საკმაო სიძნელეებია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით მომარაგების მხრივაც.

სვანეთი მინერალური წყაროებით ერთ-ერთი ყველაზე უფრო მდიდარი კუთხეა საქართველოში. ამ მხრივ გამოირჩევა მესტიის რაიონი, სადაც უკვე შესწავლილია რამდენიმე ათეული მინერალური წყაროს გამოსავალი. ამ უკანასკნელთა შორის უკეთესი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია სოფ. მესტიის მიდამოებში განლაგებულ წყაროებს.

საკურორტო მშენებლობის გარკვეული პერსპექტივები გააჩნია მდ. დოლრას აუზს, სადაც გამოკვლეულია ნახშირმჟავა მინერალური წყაროების ათზე მეტი გამოსავალი. მათ შორის უფრო ცნობილია მნიშვნელოვანი დებიტის მქონე ჰიდროკარბონატული ნატრიუმ-კალციუმიანი და მაღალსოდიანი შიხრას ორი წყარო.

ნაკრას ხეობაში შესწავლილია ზემო სვანეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მაღალდებიტიანი (35 ათასი ლ) მინერალური წყარო. ადგილობრივი მოსახლეობა მას აბაზანებისათვის იყენებს.

ქვემო სვანეთში ჰიდრომინერალური რესურსებიდან ფართოდ არის გამოყენებული ხოფერის წყარო (ლენტეხიდან სამხრეთით 11 კმ-ის დაშორებით) და ლასკადურას ხეობაში განლაგებული წყაროები. მინერალური წყლების გამოვლინებები არის აგრეთვე ხელედულის ხეობაში, მდ. ყორულდაშის სათავეებში და ა. შ. მრავალი ათეული წლების მანძილზე გამოიყენება მუაშის მინერალური წყაროები.

სვანეთის მინერალური წყაროების უმეტესობა განლაგებულია ჯანმრთელი მთის კლიმატის პირობებში, ლამაზი პეიზაჟების გარემოცვაში, რაც აძლიერებს მათ საკურორტო გამოყენების შესაძლებლობას.

რაიონთაშორისო მნიშვნელობის საკურორტო ადგილებიდან, რომლებსაც აქვთ განვითარების კარგი ბუნებრივ-ეკონომიური პირობები, აღსანიშნავია მესტია და შიხრა ზემო სვანეთში, მუაში — ქვემო სვანეთში.

ამათგან კურორტის სახე ჯერჯერობით მხოლოდ მუაშს აქვს.

თუ სვანეთის საკურორტო მეურნეობა, მისი ოპტიმალური განვითარების პირობებშიც კი, დარჩება ადგილობრივი მნიშვნელობის დარგად, ტურიზმი შეიძლება გადაიქცეს ამ რაიონის ეკონომიკის წამყვან რგოლად. მას შეიძლება ექნეს არა მარტო საერთო საკავშირო, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა. ტურიზმის განვითარების შესაძლებლობას სვანეთში განსაზღვრავს როგორც ბუნებრივი ლანდშაფტების უნიკალური სილამაზე, ისე ამ მთიანი კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებები.

სვანეთი ტიპიურ მაღალმთიან რაიონს წარმოადგენს და თავისი ბუნებრივი მონაცემებით უდავოდ კავკასიის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეა. ჩრდილოეთით მას გასდევს მთავარი ქედის ძნელადგადასალახი კედელი, რომელზეც აღმართულია თეთრი სამოსელით შემკული და რთულად მისადგომი მწვერვალები: უშბა, შხარა, თეთნულდი და სხვა. ისინი მეტად საინტერესო ობიექტებია მთასვლელებისათვის. მთავარი ქედის სამხრეთით გაწოლილია მერიდიანული მიმართულების მქონე ციცაბოკალთებიანი ენგურის ხეობა. მისი ფერდობები სოჭისა და ფიჭვის უღრანი ტყეებით არის დაფარული. მხოლოდ ზოგიერთ მონაკვეთზე ხეობა გაფართოებულია და წარმოქმნილია დასახლებული პუნქტები. ბუნების სილამაზით ენგურის ხეობა წააგავს ცხენისწყლის ხეობას, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად მაღალმთიან იერს ატარებს. ამ ორი ხეობის წყალგამყოფია 4 კმ-მდე აზიდული სვანეთის ქედი. ბუნებრივი თვალსაზრისით სვანეთში ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო ობიექტებია კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილები, ენგურის ხეობა. უფრო ნაკლებად სვანეთის ქედის გადასასვლელები და ცხენისწყლის ხეობა. სვანეთის ბუნების დაცვისა და ტურიზმის განვითარების მიზნით დროულად მიგვაჩნია მის ტერიტორიაზე ეროვნული პარკის შექმნა, რომელიც მოიცავს აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის მეზობელ რაიონებს.

სვანეთი საინტერესოა ტურისტისათვის აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული თავისებურებებით. წარსულში მას კავშირი ჰქონდა გარე სამყაროსთან მხოლოდ ზაფხულის თვეებში. იძულებითმა იზოლაციამ, სუსტმა ურთიერთობამ საქართველოს სხვა პროვინციებთან, მკაცრმა ბუნებამ თავისი დაღი დაასვა ადგილობრივი მოსახლეობის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფაცხოვრებო წესებს. სოფლებში დღემდე შემორჩენილია ორიგინალური არქიტექტურის მქონე საგვარეულო საბრძოლო კოშკები კარგად შერწყმული ბუნების საერთო ფონთან.

სვანეთში ტურიზმის მთავარი ცენტრია სოფ. მესტია, სადაც თავს იყრიან კავკასიონის უღელტეხილებზე გადმოსული ტურისტები. მათი ძირითადი ნაკადი გადმოდის ტექნიკურად ნაკლებად რთულ ბეჩოს უღელტეხილზე. ტურისტების ნაწილი სარგებლობს ტვიბერისა და ნაკრას (დონღუზ-ორუნის) გადასასვლელებით. ტურისტების უმეტესობა მესტიიდან საავტომობილო გზით მიემგზავრება ზუგდიდისაკენ, შედარებით მცირე ნაწილი კი სარგებლობს საჰაერო ტრანსპორტით. ტურისტების მომსახურეობის მიზნით მოწყობილია 25-ადგილიანი საზაფხულო ტიპის ბანაკები შიხრასა და ტვიბერში, ხოლო მესტიაში ტურისტული ბაზა. ყოველწლიურად სვანეთს ეცნობა ათასობით ტურისტი, თუმცა ტურიზმის განვითარების დღევანდელი დონე ოდნავადაც ვერ ასახავს არსებულ შესაძლებლობებს. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახლო მომავალში ტურისტების ნაკადი რამდენჯერმე გაიზრდება, რასაც ხელს შეუწყობს ახალი მძლავრი ტურისტული რაიონის შექმნა ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ მთიან ზონაში, განსაკუთრებით იალბუზის რაიონში.

სვანეთი საერთაშორისო ტურიზმის ერთ-ერთი პერსპექტიული რაიონია საქართველოში. ამჟამად აქ ჯერჯერობით არ არსებობს სპეციალური სასტუმროები უცხოელთათვის. ამიტომ დროულად უნდა გადაწყდეს ინტურისტის სასტუმროს მშენებლობის საკითხი, რომელიც გაუწევს მომსახურებას უცხოელ ალპინისტებსაც.

სვანეთში იდეალური პირობებია ალპინიზმის განვითარებისათვის. მრავალრიცხოვანი, სხვადასხვა სირთულის მწვერვალები შესაძლებლობას იძლევა როგორც მასობრივი ალპინიზმის შემდგომი ზრდის, ისე ცალკეული სპორტული თვალსაზრისით საინტერესო ასვლების ჩატარების. 1965 წელს მწყობრში ჩადგა ალპინისტური ბანაკი „აილამა“ ყორულდაშის მახლობლად (ლენტეხის რაიონი). იგი ერთდროულად 200 სპორტსმენს ემსახურება. აქედან ტარდება საწვრთნელი ასვლები უახლოეს მწვერვალებზე. ზამთარში ნავარაუდევია მისი გამოყენება სათხილამურო სპორტის ბაზად. მაგრამ „აილამა“ ვერ გადაწყვეტს ალპინიზმის განვითარების პრობლემას სვანეთში. აუცილებელია ალპინისტების ბანაკის „ნაკრის“ აღდგენა და კიდევ ერთი ბანაკის მშენებლობა შიხრაში ან სხვა რომელიმე პუნქტში.

ტურიზმის და კურორტების განვითარების პრობლემა სვანეთის პირობებში შესაძლებელია გადაწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვეთრად გაუმჯობესდება სატრანსპორტო კომუნიკაციები. პირველ

რიგში საჭიროა ზუგდიდი-მესტიის და ცაგერი-ლენტეხი-ცანის საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და აგრეთვე მომსახურე დარგების განვითარება (საზოგადოებრივი კვება, მალფუჭადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ორგანიზაცია და ა. შ.).

საქართველოს შავი ზღვისპირეთში საკურორტო-ტურისტული მშენებლობის მთავარი რეზერვია კოლხეთის სანაპირო, სადაც მოსალოდნელია ცენტრალურ-შავიზღვისპირა ახალი რეკრეაციული რაიონის ჩამოყალიბება. მისი შექმნა კოლხეთის სამეურნეო ათვისების კომპლექსური პრობლემის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია. ამჟამად კოლხეთის სანაპიროს გაყოლებით სულ რამდენიმე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტია: ანაკლია, ყულევი, მალთაყვა, გრიგოლეთი, ურეკი, რომელთა მატერიალური ბაზა ძალზედ სუსტია.

ცენტრალურ შავი ზღვისპირეთში საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების მთავარი წინაპირობაა ამ რაიონის ხელსაყრელი კლიმატური პირობები, საუკეთესო პლაჟები, ვაკე რელიეფი, მაგრამ მათი რეალიზაცია დაკავშირებულია კოლხეთის დაბლობის მელიორაციასთან, განსაკუთრებით სანაპირო ზოლის გაყოლებით.

უკანასკნელ დროს კოლხეთის დაბლობის სანაპირო ზოლის ზოგიერთ მონაკვეთზე, განსაკუთრებით ქ. ფოთის რაიონში, გაძლიერდა ზღვის აბრაზია. ამ მოვლენის მიზეზი უნდა ვეძიოთ მდ. რიონის შესართავის ხელოვნურ გადანაცვლებაში 1938 წლის შემდეგ. ახალ შესართავში იქმნება დელტა, ძველი დელტური ნაწილი კი ინტენსიურ ჩამორეცხვას განიცდის. ეს პროცესი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით ახლო მომავალში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რაც გამოიხატება რიონისა და ენგურის მაგარი ხარჯის შემცირებაში ჰიდროელექტროსადგურებისა და წყალსაცავების აგების გამო. ამიტომ სანაპირო ზოლის რეკრეაციული მიზნით ათვისება შესაძლებელია მხოლოდ ზღვის ნაპირის გამაგრების შემდეგ.

პერსპექტივაში ამ რაიონში მიზანშეწონილია სამი საკურორტო-ტურისტული კომპლექსის — ანაკლიის, ფოთისა და ურეკის ფორმირება. ამათგან პირველი შეიქმნება კურორტ ანაკლიის ბაზაზე და სპეციალიზირებული საბავშვო კურორტი იქნება. ანაკლიის დადებითი მხარეა ვრცელი ქვიშიანი პლაჟის არსებობა. მზის ნათების საათების რაოდენობა წელიწადში შეადგენს 2223-ს, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 1500 მმ-ზე ნაკლებია.

ფოთის კომპლექსის ძირითადი დანიშნულება იქნება ტურისტებისა და ბავშვების მომსახურება. ამ უკანასკნელთათვის ყველაზე უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო ხელსაყრელია მალთაყვა (ქ. ფოთის გარეუბანი) მეტად მოხერხებული პლაჟით. საკუთრივ ფოთში განლაგდება ტურისტული ბაზები და სასტუმროები.

ურეკი მის მეზობლად მდებარე გრიგოლეთთან ერთად უკვე იქცა საკმაოდ პოპულარულ სააგარაკო ადგილად. დამსვენებლებს იზიდავს ამ ადგილის საუცხოო ქვიშიანი პლაჟი, ლამაზი ბუნება და სიმყუდროვე. პერსპექტივაში მოსალოდნელია ურეკის კომპლექსის გადაქცევა ცენტრალური შავი ზღვისპირეთის მთავარ ბირთვად.

საქართველოს ტერიტორიაზე საკურორტო-ტურისტული რაიონების გარდა არსებობს ცალკეული კურორტები, რომლებიც იზოლირებულ პირველად რეკრეაციულ კომპლექსებს ქმნიან. მათ რიცხვს მიეკუთვნება საირმე, ბახმარო, ლებარდე, სქური, კვერეთი და სხვა.

საირმე რესპუბლიკის ერთ-ერთი მთავარი ბალნეოკლიმატური კურორტია. იგი მდებარეობს მესხეთის ჭედის ჩრდილოეთ ფერდობზე 915 მ სიმაღლეზე ზ. დ. მთავარი სამკურნალო ფაქტორია მინერალური წყალი, რომელიც ფართოდ გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, ღვიძლისა და თირკმლების დაავადებების დროს. აქ მოქმედებს სანატორიუმი 100 ადგილზე და პანსიონატი 150 ადგილზე. უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარეობს კურორტის კეთილმოწყობა და გაფართოება.

აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს ცნობილი მაღალმთიანი (1913—2022 მ ზ. დ.) კურორტი ბახმარო, რომელიც გამოირჩევა მთისა და ზღვის ჰავის იშვიათი შეხამებით. აქ ძირითადად უსაგზურო დამსვენებლები ისვენებენ. მათი რაოდენობა ზაფხულის სეზონში 40 ათას აღწევს. ბახმაროს საკურორტო კომპლექსში შედის კურორტი ნაბეღლავი, სადაც არის პანსიონატი 70 საწოლით.

რამდენიმე კურორტი არსებობს სამეგრელოს მთისწინა და მთიან ზონაში, მათ შორის პოპულარობით სარგებლობს ლებარდე (1600 მ ზ. დ.). დადებითი ბუნებრივი ფაქტორების მიუხედავად (მაღალმთის ჰავა, წიწვოვანი ტყეები, მინერალური წყაროები) იგი კეთილმოუწყობელია და მისასვლელად ძნელია. კურორტი სქური წარმოიშვა ადგილობრივი მინერალური სამკურნალო წყლის ბაზაზე. იგი მდებარეობს გორაკ-ბორცვიანი და მთიანი ზონის საზღვარზე, მდ. ჭანისწყლის ხეობაში, 400 მ სიმაღლეზე ზ. დ. ამავე რაიონში არის „ლუგელას“ მინერალური წყლის გამოსავალი. იგი შეიცავს ქლორიდული კალციუმის თითქმის 10%-ს და ცვლის შესაბამის სამედიცინო პრეპარატს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საკურორტო-ტურისტული მეურნეობის თანამედროვე დონე არ შეესაბამება რესპუბლიკის პოტენციურ შესაძლებლობებს და ვერ აკმაყოფილებს სრულად საბჭოთა მშრომელების მოთხოვნილებებს დასვენების მხრივ. თუმცა უკანასკნელი წლების მანძილზე შეიმჩნევა გარკვეული დადებითი ძვრები ამ დარგის განვითარების ტემპებში, მაგრამ კაპიტალდაბანდებების არასაკმარისი მოცულობა და რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის ნაკლოვანებები აფერხებენ საკურორტო-ტურისტული მშენებლობის საჭირო ფარგლებში გაშლას. მაგალითად, 1969 წელს კაპიტალდაბანდებების მოცულობა საქართველოს საკურორტო საბჭოს ხაზით შეადგენდა მხოლოდ 8,8 მლნ მანეთს. ახალი მშენებლობის მოცულობა კი მეტად შეზღუდულია. მიმდინარე ხუთწლედის ბოლომდე გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაცემა ერთი სანატორიუმის, 2 პანსიონატისა და 3 დასასვენებელი სახლის, სულ 2,3 ათას საწოლზე. შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ კურორტ სოჭის მონაცემები. აქ 1966—1970 წწ. მანძილზე კაპიტალდაბანდებანი ახალ მშენებლობაზე განისაზღვრება 65 მლნ მანეთით, ხოლო სანატორულ-საკურორტო დაწესებულებების ტევადობა 11 ათასი საწოლით დიდდება. სომხეთში მიმდინარე ხუთწლედში კურორტების სიმძლავრე იზრდება 1,7-ჯერ, ხოლო აზერბაიჯანში 3-ჯერ. ამ ფონზე საქართველოს კურორტების გაფართოება გაუმართლებლად ნელი ტემპით წარმოებს. არ შეგვიძლია გვერდი ავუაროთ იმ ფაქტს, რომ რესპუბლიკის ისეთი ცნობილი უნიკალური სამკურნალო ღირებულების მქონე კურორტები, როგორიცაა ბორჯომი, აბასთუმანი და სხვა, ძალზე ნელა იზრდება და იძულებული არიან დაკმაყოფილდნენ უპირატესად ჯერ კიდევ რევოლუციამდელ პერიოდში და პირველი ხუთწლედების მანძილზე შექმნილი მატერიალური ბაზით.

გაცილებით უფრო კარგი მდგომარეობაა ტურიზმის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით ტურიზმის საბჭოს ხაზით. მხოლოდ 1968 წელს კაპიტალდაბანდებას მოცულობა აღნიშნული უწყების ხაზით შეადგენდა 4,7 მლნ მანეთს, ხოლო მშენებლობის პროცესში მყოფი ობიექტების სიმძლავრე 6,4 ათას საწოლს. ახალი მსხვილი ტურბაზების აგება მიმდინარეობს ქუთაისში, ფასანაურში, ყაზბეგში, სოხუმში, თბილისში, ბაკურიანსა და სხვა პუნქტებში.

მკვეთრად გაიზარდა კაპიტალდაბანდებანი უცხოეთის ტურიზმის ობიექტების მშენებლობაზე — 0,4 მლნ მანეთიდან 1965 წელს 4,5 მლნ მანეთამდე 1967 წელს. მაგრამ შემდგომ წლებში, ქ. თბილისში სას-

ტუმრო „ივერიის“ მშენებლობის დამთავრების გამო, კაპიტალდაბანდებების მოცულობა კვლავ შემცირდა, ხუთწლედის ბოლომდე (1970 წ.) დაგეგმილია ექსპლოატაციაში გადაეცეს 4 ობიექტი 1,6 ათასი საწოლით, რაც ვერ უზრუნველყოფს უცხოური ტურიზმის განვითარების ოპტიმალურ მასშტაბებს საქართველოში.

ზმრიგად, საკურორტო-ტურისტული მშენებლობის ტემპების გაძლიერება პერსპექტიულ პერიოდში მიჩნეულ უნდა იქნას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. მისი დაგეგმვისას უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

1. ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების მშრომელთა საკურორტო მკურნალობის და დასვენებისათვის.

2. რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის ზრდა და მოსახლეობის ცხოვრების დონის შესაბამისი ამაღლება.

3. შრომითი რესურსების უფრო სრული გამოყენება და პირველ რიგში მთიანი რაიონების შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმებულობის დონის ამაღლება.

4. საბჭოთა კავშირში უცხოური ვალუტის მიღების საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები.

ახალი საკურორტო-ტურისტული მშენებლობის მასშტაბები გენერალურ პერსპექტულ პერიოდში და უფრო შორეულ მომავალში განისაზღვრება რესპუბლიკის პრაქტიკულად განუსაზღვრელი პოტენციური შესაძლებლობებით. ამჟამად საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ შემუშავებულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების გეგმა 1980 წლამდე, რომელიც ითვალისწინებს საწოლების მკვეთრ ზრდას როგორც ტურისტულ, ისე საკურორტო დაწესებულებებში. ყველაზე მეტი ზრდა დაგეგმილია აფხაზეთის, აჭარის და ბორჯომ-აბასთუმნის საკურორტო-ტურისტულ რაიონებში, ახლად იქმნება რეკრეაციული რაიონი ცენტრალურ შავი ზღვისპირეთში. გათვალისწინებულია საექსპლოატაციოდ გადაეცეს ახალი ობიექტები რამდენიმე ათეულ ათას საწოლზე. კაპიტალდაბანდებების მოცულობა დაგეგმილია შესაბამისად რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის რაოდენობით.

პროგნოზულ პერიოდში (2000 წლამდე) საწოლების რაოდენობა რესპუბლიკის საკურორტო-ტურისტულ დაწესებულებებში შეიძლება გადიდდეს.

ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის განვითარებისათვის საერთო პრობლემის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მასთან დაკავშირებული მატერიალური წარმოების დარგების შექმნა. ტურისტების მოსალოდნელი მრავალმილიონიანი ნაკადის მომსახურეობის მიზნით საჭიროება იქმნება კვების მრეწველობის ათეულობით საწარმოს მშენებლობის და მოხმარების ადგილებში ზოგიერთი სპეციფიკური „საკურორტო-ტურისტული“ საქონლის წარმოების ორგანიზაცია. აუცილებელია აგრეთვე სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება საკურორტო-ტურისტულ რაიონებში მცირედტრანსპორტაბელური პროდუქციის წარმოებაზე.

ამასთან დაკავშირებით, დროულად მიგვაჩნია დაისვას საკითხი კოლხეთის დაბლობის ფარგლებში სარძევე მეცხოველეობისა და მებოსტნეობის მძლავრი ბაზის შექმნის შესახებ. როგორც ცნობილია, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აქ ამოშრობილი იქნა ათეულ ათასობით ჰექტარი დაჭაობებული მიწა, მაგრამ მათი სასოფლო-სამეურნეო ათვისება ნელა ხორციელდება და ისიც უმთავრესად ექსტენსიური კულტურებისათვის. მართალია ზოგიერთ მონაკვეთზე შეიძლება გაშენდეს ჩაის პლანტაციები, მაგრამ ეს კულტურა მოითხოვს ამოშრობილი ნიადაგების რთულ გარდაქმნას; კოლხეთის ასათვისებელი მიწების რაციონალური გამოყენების პერსპექტივები გვიკარნახებს მათი სამეურნეო გამოყენების მეორე გზას — კულტურული მდელოების შექმნას, ინტენსიური სარძევე-სახორცე მესაქონლეობისა და მებოსტნეობის განვითარებას.

კავკასიის შავი ზღვისპირეთი და, პირველ რიგში, დასავლეთ საქართველოს საკურორტო რაიონები მეცხოველეობა-მებოსტნეობის პროდუქტების მოხმარების მნიშვნელოვან რაიონს წარმოადგენენ და ამ მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილება შესაძლებელია მხოლოდ კოლხეთის დაბლობის ცენტრალურ ნაწილში შესაბამისი დარგების მკვეთრი გაფართოების გზით.

საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ადგილი უკავია საგზაო მშენებლობას, რომლის მნიშვნელობა ჩვენში, სამწუხაროდ, სათანადოდ არ არის შეფასებული. განსაკუთრებით იგრძნობა სატრანსპორტო კომუნიკაციების არასაკმარისი სიხშირე და კეთილმოწყობა მთიან რაიონებში, სადაც კურორტებისა და ტურისტული ბაზების მნიშვნელოვანი ნაწილია განლაგებული. ამჟამად კავკასიონის მთიანი სისტემა საქართველოს ფარგლებში გადა-

კვეთილია მხოლოდ ერთი კეთილმოწყობილი ავტომაგისტრალით საქართველოს სამხედრო გზით. ამიტომ აუცილებლობა მოითხოვს რუსეთის სამხედრო გზის საუღელტეხილო მონაკვეთის რეკონსტრუქციას და საუღელტეხილო ტრასის ჩერკესკი-სოხუმის აღდგენას. გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ სატრანსპორტო ათვისებისათვის გამოსადეგია როკის გადასასვლელიც. პირველი რიგის ამოცანას წარმოადგენს სვანეთში მიმავალი საავტომობილო გზის ძირეული გაუმჯობესება, რის გარეშე შეუძლებელია ბუნებრივი თვალსაზრისით საქართველოს ამ ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო რაიონში ტურიზმის, მით უფრო საზღვარგარეთული ტურიზმის, განვითარება.

ტურისტული მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო აქტუალური ამოცანაა ახალი რაიონებისა და მარშრუტების ათვისება, განსაკუთრებით საქართველოს სამხრეთი მთიანეთისა და კავკასიონის აღმოსავლეთი ნაწილის ფარგლებში. ტურიზმის საკავშირო მნიშვნელობის ცენტრები შესაძლებელია შეიქმნას ფშავ-ხევსურეთში, მთათუშეთში, ქვემო სვანეთში, სამცხეში, ტაბაწყურის ტბასთან და ა. შ.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ცალკეული ტურისტული ობიექტების ადგილმდებარეობის შერჩევას და არქიტექტურულ-საგეგმო ამოცანების ისეთ გადაწყვეტას, რომლის დროსაც მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული არსებული ლანდშაფტური ფონი. ქართველ ხალხს გააჩნია მსგავსი სახის ნაგებობების შექმნის მდიდარი გამოცდილება. მაგალითად შეიძლება გამოდგეს მცხეთის ჯვრის მონასტერი, რომელიც კარგად ამთავრებს ბუნებრივ ამაღლებას. ტიპობრივი პროექტების საყოველთაო გამოყენება, რაც პროგრესულია თანამედროვე ქალაქთმშენებლობაში, მიუღებელია საკურორტო-ტურისტული დანიშნულების ნაგებობების მშენებლობის დროს.

საქართველოში ტურისტების, განსაკუთრებით უცხოელი ტურისტების, მოზიდვის ერთ-ერთი ფაქტორია ქართველი ხალხის და რესპუბლიკის ცალკეული ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების ეთნოგრაფიული თავისებურებების ჩვენება სხვადასხვა ფორმაში, დაწყებული ეროვნულ სტილში ნაგებობების აგებით და გათავებული უნიკალური გემოს მქონე ნაციონალური კულინარიით. უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე სახალხო ზეიმების, თეატრული წარმოდგენების („ბერიკაობა" და ა. შ.) აღდგენაზე, რა თქმა უნდა, ახალი შინაარსით.

საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის ინტერესები უფრო მეტად უნდა იქნას გათვალისწინებული რაიონული დაგეგმარების დროს. საჭიროა მკვეთრად გამოიყოს ის დასახლებული პუნქტები, რომელთათვის მთავარია დასვენების ფუნქცია და დაცული იქნას სანიტარულ-ჰიგიენური და არქიტექტურულ-საგეგმო ამოცანების შესაბამისი გადა-

წყვეტა. გათვალისწინებული უნდა იყოს ისტორიული ძეგლებით მდიდარი ქალაქებისა და სოფლების (თბილისი, მცხეთა, სიღნაღი, თელავი, ვარძია და ა. შ.) სპეციფიკა, სადაც ახალი მშენებლობა (რა თქმა უნდა ძველი უბნების საზღვრებში) მიზანშეწონილია შეზღუდულ იქნას. სამწუხაროდ, თბილისში, მაგალითად, წარმოებს ქალაქის ძველი ნაწილის ხელახალი განაშენიანება, მისი ფართობი განუწყვეტლივ მცირდება, მთლიანად ისპობა ცალკეული ძველი მიკრორაიონები, განაშენიანებაში დომინირებულ ადგილს იკავებს ნაგებობები, რომლებიც არქიტექტურული თვალსაზრისით უცხოა ქალაქის ისტორიული ბირთვისათვის. ამასთან დაკავშირებით, უნდა ვიფიქროთ, ალბათ, არამარტო ცალკეული არქიტექტურის ძეგლების, არამედ მთელი მათი გარემომცველი ფონის შენარჩუნებაზე, ე. ი. ძველი, ყველაზე უფრო დამახასიათებელი უბნების მთლიან კონსერვაციაზე, არასწორი განაშენიანების მეორე მაგალითად შეიძლება გამოდგეს ქ. მცხეთა. აქ აგებენ ადმინისტრაციულ-კულტურულ და საცხოვრებელ სახლებს ტიპური პროექტით, აშენებენ სამრეწველო საწარმოებს, იმის ნაცვლად, რომ ახალი მშენებლობა გამომდინარეობდეს საქართველოს ძველი დედაქალაქის იდეიდან. ამჟამად მცხეთა ნაკლებად განსხვავდება საქართველოს ჩვეულებრივი რაიონული ცენტრისაგან. საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ ძველი რუსული ქალაქის სუზდალის დაგეგმარების გამოცდილება, რომლის თანახმად იგი ინარჩუნებს მთლიანად თავის საშუალოსაუკუნეობრივ სახეს. არსებობს ყველა წანამძღვარი იმისათვის, რომ მცხეთა გავხადოთ ქალაქი — ნაკრძალი.

ანალოგიური სამუშაოები შეიძლება ჩატარდეს გელათის, გრემის, დმანისის, სამშვილდეს, უჯარმის მიმართ.

მიზანშეწონილია კურორტების სპეციალიზაციის შემდგომი გაღრმავება, რაც შესამჩნევად აუმჯობესებს ჩატარებული მკურნალობის ეფექტურობას. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ევპატორიის ან ანაპის ტიპის სპეციალიზირებული ბავშვთა კურორტების შექმნის საკითხი. დღეისათვის საგარაკო ადგილების მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით საშუალო მთიან ზონაში, სტიქიურად ჩამოყალიბდა როგორც ბავშვთა და საოჯახო დასვენების ადგილები. სპეციალიზირებული საბავშვო კურორტების შესაქმნელად ყველაზე უფრო კარგი წინაპირობები გააჩნია საქართველოს შავი ზღვისპირეთის ცენტრალურ ნაწილს (ანაკლია, ურეკი, გრიგოლეთი, მალთაყვა), ბორჯომის ხეობას, თბილისის საგარეუბნო ზონას.

საქართველოს ქალაქების ინტენსიური ზრდა, ურბანიზაციის პროცესის შემდგომი გაძლიერება განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს მსხვილი და საშუალო სიდიდის ქალაქების გარშემო „დასვენების ზო-

ნების“ შექმნის საკითხს. საუკეთესო წინაპირობები ამ მხრივ ქ. თბილისს გააჩნია, რომლის უშუალო გარემოცვაში წარმოიშვა რამდენიმე პოპულარული სამთოკლიმატური კურორტი — წყნეთი, კოჯორი, კიკეთი, მანგლისი. მათი ერთადერთი ნაკლია კეთილმოწყობის არასაკმარისი დონე. შესაძლებელია თბილისის საგარეუბნო ზონის გაფართოება ახალი სააგარაკო ადგილების (წოდორეთი, ბევრეთი, ბეთანია და სხვ.) ათვისების ხარჯზე.

საქართველოს სხვა ქალაქების ზრდის პარალელურად მათთვისაც აუცილებელია შეიქმნას საგარეუბნო ტიპის კურორტები: ბათუმისათვის — ცისკარა, სოხუმისათვის — კოდორის ხეობაში, ქუთაისისათვის — რაჭა-ლეჩხუმის მოსაზღვრე რაიონებში.

„დასვენების ინდუსტრიის“ განვითარების საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარეა სუვენირებისა და საკურორტო-ტურისტული დანიშნულების საქონლის წარმოებაც.

საქართველოში სუვენირების წარმოების გაფართოების შესაძლებლობა პრაქტიკულად განუსაზღვრელია. აქ ფართო მასშტაბებში შეიძლება სახალხო სარეწების გამოყენება, რომელთაც აქვთ გაქრობის ტენდენცია. მხოლოდ ტურიზმს შეუძლია მათი აღორძინება. ერთი მხრივ გაუმჯობესდება ტურისტების სერვისი და მიღებული იქნება მნიშვნელოვანი შემოსავალი, მათ შორის უცხოურ ვალუტაში, მეორე მხრივ, არსებითად ამაღლდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებულობისა და მატერიალური დონე, განსაკუთრებით მთიან რაიონებში. რაც შეეხება საკურორტო საქონელს და ტურისტული მოწყობილობის საგნებს, მათი წარმოებისათვის მიზანშეწონილია აგებულ იქნას შედარებით მსხვილი საწარმოები ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკურორტო-ტურისტულ ცენტრებში.

გაცილებით მეტ ყურადღებას იმსახურებს ცალკეული კურორტებისა და ტურისტული მარშრუტების პროპაგანდა და რეკლამა. ეს საშუალებას მოგვცემს გავხადოთ პოპულარული ახალი ან შედარებით ნაკლებად ცნობილი კურორტები, ხოლო მეორე მხრივ თავიდან ავიცილოთ დამსვენებელთა მეტისმეტი თავმოყრა ცნობილ კურორტებზე. საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს სხვადასხვა ტიპის გზამკვლევების, ტურისტული რუკების და ბუკლეტების გამოცემა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ სახის ლიტერატურის გამოცემა დიდი ტირაჟით ეკონომიურად ხელსაყრელია. ამიტომ ყოველმხრივ მიზანშეწონილია მძლავრი საგამომცემლო ცენტრის შექმნა, რომელსაც დაეკისრება საკურორტო საქმისა და ტურიზმის შესახებ ლიტერატურის გამოშვება.

ტურიზმის შემდგომი განვითარება საქართველოში, ისევე როგორც საერთოდ საბჭოთა კავშირში, წარმოუდგენელია საშუალო და უმაღ-

ლესი კვალიფიკაციის შესაბამისად მომზადებული კადრების გარეშე. უკანასკნელ დრომდე ტურიზმი რჩება, ალბათ, ერთადერთ დარგად, სადაც კადრების მომზადება თვითდინებაზეა მიშვებული. მიზანშეწონილია ტურიზმის დარგში სპეციალისტების მომზადება უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების გეოგრაფიულ ფაკულტეტებზე, სასწავლო გეგმებში შესაბამისი კორექტივების შეტანით, როგორც ამას ადგილი აქვს, მაგალითად, რუმინეთში. არსებული გაანგარიშების თანახმად, 1980 წლისათვის საკურორტო-ტურისტულ მეურნეობაში ჩაბმული იქნება მრავალი ათეული ათასი კვალიფიციური სპეციალისტი.

ამჟამად კურორტებსა და ტურიზმს ხელმძღვანელობას უწევს სხვადასხვა ორგანიზაცია და უწყებები. არ არის ცენტრი, რომელიც დაგეგმავს და კოორდინაციას გაუკეთებს ამ დარგის განვითარებას. აღნიშნული ნაკლის გამოსწორება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეიქმნება კურორტებისა და ტურიზმის სამინისტრო, რომელსაც დაეკისრება როგორც არსებული საკურორტო-ტურისტული ობიექტების ექსპლოატაციის, ისე ახალი მშენებლობის ხელმძღვანელობა. თუ ასეთი სამინისტროს შექმნა გაძნელდება, მისი ფუნქციები შეუძლია შეასრულოს კურორტებისა და ტურიზმის მთავარმა სამმართველომ.

ახალი ფართო საკურორტო-ტურისტული მშენებლობის პირობებში აუცილებელი ხდება შესაბამისი სამეცნიერო-საკვლევი ბაზის შექმნა. სახელდობრ, მომწიფდა საკითხი საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ორგანიზაციის შესახებ. ამ ინსტიტუტის კვლევითი მუშაობის ძირითადი მიმართულება უნდა იყოს:

1. საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიური და ისტორიულ-კულტურული წინაპირობების შესწავლა და კომპლექსური შეფასება.

2) საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ეკონომიკის შესწავლა.

3) კურორტების, ტურიზმის და მათთან დაკავშირებული დარგების პერსპექტიული განვითარების დაგეგმვა.

4) ახალი საკურორტო-ტურისტული მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური დასაბუთება.

5) დასვენების ორგანიზაციისა და თავისუფალი დროის გამოყენების პრობლემის სოციოლოგიური გამოკვლევა.

ამრიგად, როგორც ახლო, ისე შედარებით შორეულ პერსპექტივაში საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა საკურორტო-ტურისტული მშენებლობის მოცულობისა და ტემპების გაძლიერება, რაც მოითხოვს ამ დარგში კაპი-

ტალდაბანდებების სისტემატურ ზრდას და აგრეთვე იმ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

Э. Д. КОБАХИДЗЕ

КУРОРТНОЕ ХОЗЯЙСТВО И ТУРИЗМ ГРУЗИНСКОЙ ССР

(Экономико-географический очерк)

Резюме

Составной частью создания материально-технической базы коммунистического общества в нашей стране является развитие тех отраслей непроизводственной сферы, которые служат для курортного лечения и отдыха трудящихся. В Советском Союзе и других социалистических государствах общий подъем всех отраслей народного хозяйства, увеличение реальной заработной платы трудящихся обусловили широкие возможности развития курортно-туристского хозяйства. Систематический рост производства и повышение производительности труда создали объективные предпосылки для полного удовлетворения материальных и культурных потребностей населения СССР.

Известно, что чем выше национальный доход на душу населения и производительность общественного труда, тем меньше требуется затрат труда на создание одного и того же объема благ; соответственно создаются лучшие предпосылки для выделения растущей массы людей и средств для непроизводственной сферы деятельности. Исходя из этого, больше внимания и средств уделяется развитию курортно-туристского хозяйства, необходимого для восстановления здоровья и культурного отдыха советских людей.

Особое значение имеет курортно-туристское хозяйство для Грузии. В общесоюзном разделении труда данная отрасль определяет одну из основных линий специализации республики. Здесь сосредоточено 5% коечного фонда санаторно-курортных учреждений и свыше 6% коечного фонда туристских баз Советского Союза.

Главным фактором, определяющим широкие масштабы развития курортно-туристского хозяйства в республике, является ее природная среда. По разнообразию эстетических «ресурсов» Грузия превосходит другие лечебно-курортные зоны нашей страны. Существенную роль играет также наличие разнообразных историко-культурных ценностей, факторы экономического порядка — выгодное транспортно-географическое положение, наличие значительных трудовых ресурсов, сравнительно высокий уровень сельского хозяйства и т. д.

В настоящее время в республике создана довольно мощная материально-техническая база курортного хозяйства и туризма. Общая вместимость курортно-туристических учреждений всех видов и ведомств достигла 75 тысяч коек. Основные фонды курортно-туристического хозяйства составляют примерно 4% общереспубликанских основных фондов и 10% непроизводственных фондов. Только по линии Грузкурортсовета основные фонды возросли с 71 млн руб. в 1965 году до 105 млн руб. в 1969 году. Стоимость основных фондов из расчета на одного отдыхающего составила в 1969 году 366 рублей и была несколько больше чем в 1965 году.

Курортно-туристское хозяйство является рентабельной отраслью. В 1969 году Грузинский республиканский совет по управлению курортами имел положительное сальдо балансовой прибыли в количестве 4,6 млн руб. Нерентабельно работали лишь единичные здравницы профсоюзов, расположенные, главным образом, в горных районах республики. Кроме того, прибыль по линии Совета по туризму составила в том же году 1,15 млн руб. На каждую койку в турбазах в среднем приходится почти 120 руб. прибыли в год.

Курортное хозяйство и туризм превратились в важный фактор занятости населения Грузии. В этой отрасли занято примерно 25 тыс. человек — 1,5% от общего количества рабочих и служащих Грузии. Только в здравницах Грузинского республиканского территориального совета по управлению курортами в 1969 году было занято 11,25 тыс. чел., в том числе свыше 400 врачей. Подавляющее большинство их приходится на обслуживающий персонал санаториев (3,9 тыс. чел.), пансионатов (2,3 тыс. чел.) и домов отдыха (1,2 тыс. чел.). В том же году на одну единицу обслуживающего персонала приходилось в санаториях 2,0 койки, в пансионатах 2,7 коек, в домах отдыха 4,6 коек, а в турбазах 5,0 коек. Специфика различных видов курортно-туристских учреждений в отношении трудоемкости должна учитываться при планировании их строительства в малонаселенных, главным образом, горных районах. Уже сейчас в ряде населенных пунктов горной зоны (Пасанаури, Казбеги, Местиа), туризм играет значительную роль в обеспечении полной занятости местного населения.

В результате интенсивного развития курортно-туристской функции в ряде районов Грузинской ССР отмечается тенденция формирования своеобразных хозяйственных комплексов. Структура отраслей материального производства в определенной степени отражает линию их территориальной специализации. Промышленность в значительной мере связана с курортно-туристской функцией данных районов. Поэтому основной ее отраслью является пищевая промышленность (в том числе розлив минеральных вод). По приблизительным расчетам, среди

расположенных на черноморском побережье Грузии промышленных предприятий 15—20% прямым образом связаны с обслуживанием отдыхающих и туристов. Еще сильнее проявляется эта тенденция в Боржомском районе, где промышленные предприятия, в той или иной мере отражающие его курортно-туристскую специфику, дают 4/5 всей валовой продукции промышленности, причем удельный вес их постепенно возрастает.

Аналогичная картина наблюдается и в сельском хозяйстве, которое специализируется (пока еще явно недостаточно) на производстве малотранспортабельных продуктов (молоко, овощи, фрукты), имеющих большой сбыт среди отдыхающих.

Значительное влияние оказывает курортно-туристское хозяйство на транспорт Грузии. В общем объеме пассажироперевозок железнодорожного, автомобильного и воздушного транспорта существенное место занимают перевозки отдыхающих и туристов, а на морском транспорте они составляют основной контингент пассажиров. Развитие курортно-туристского хозяйства обусловило строительство ряда автомобильных и железных дорог.

Курортно-туристское хозяйство Грузии превратилось в важный градообразующий фактор. На его основе возникли города Гагра, Боржоми, Цхалтубо, а также несколько поселков городского типа (Абастумани, Новый Афон, Бакуриани, Цагвери, Пицунда и т. д.). Значительную роль играет курортная функция и для таких городов, как Сухуми, Батуми, Гудаута. Однако, в отличие от других ведущих курортных районов СССР, где уже сформировались крупные городские агломерации с численностью населения 150—300 тыс. человек в каждой (Южный берег Крыма, Кавказские Минеральные Воды, Большой Сочи), в Грузии курортные ареалы пока не создали ярко выраженных урбанизированных зон. Групповые формы городских поселений встречаются лишь на Абхазском и Аджарском побережье, а также в Боржомском районе.

Учитывая современный уровень развития курортно-туристского хозяйства, следует считать целесообразным и своевременным проведение рекреационного районирования территории Грузинской ССР.

Рекреационное районирование является одним из видов отраслевого экономического районирования. Его основой служат те территориально-хозяйственные комплексы, главный или один из основных структурных элементов которых представляет курортно-туристское хозяйство. Рекреационный район формируется в результате географического разделения труда в непроизводственной сфере по линии активного отдыха и курортного лечения. Границы рекреационного района могут совпадать с границами внутриреспубликанских (внутриобластных) интегральных экономических районов и подрайонов.

Главными признаками, на основе которых происходит выделение рекреационных районов, следует считать: 1. Выраженная специализация данной территории на курортно-туристском хозяйстве. 2. Четко выраженная связь отраслей материального производства с курортно-туристским хозяйством. 3. Высокий удельный вес лиц, занятых в курортно-туристском хозяйстве по отношению к общей численности работающего населения.

Представляется целесообразной четырехступенчатая система таксономических единиц рекреационного районирования — рекреационная зона, район, подрайон и первичный комплекс, причем на территории Грузии представлены все ступени рекреационного районирования за исключением рекреационной зоны. «Иерархия» данных таксономических единиц не всегда бывает точно соблюдена.

В ряде случаев несколько первичных комплексов формируют рекреационный район, а на начальных этапах развития курортно-туристского хозяйства система таксономических единиц нередко состоит из обособленных друг от друга первичных комплексов.

В настоящее время на территори Грузинской ССР целесообразно выделить следующие рекреационные районы:

1. Абхазский, с двумя подрайонами — Гагрским и Сухумским; Гагрский подрайон объединяет 4 первичных комплекса, собственно — Гагрский, Леселидзе-Гантиадский, Пицундский и Рица-Авадхарский, а Сухумский подрайон — Гудаутский, Ново-Афонский и Сухумский первичные комплексы.

2. Аджарский район, включающий Батумский и Кобулетский подрайоны. Каждый из них, в свою очередь, состоит из двух первичных комплексов — Махинджаури-Зеленомысского и Батумского, а второй Цихисдзирского и Кобулетского.

3. Колхидский район с двумя подрайонами — Кутаисским и Одишским; первый из них включает Цхалтубский и Кутаисский, а второй — Менджский и Зугдиди-Цаишский первичные комплексы.

4. Верхне-Рачинский район состоит из Шовского и Они-Уцерского первичных комплексов.

5. Боржоми-Абастуманский район объединяет Боржом-Бакурианский и Месхетский подрайоны; первый из них включает Боржомский, Цагверский, Бакурианский и Сурамский, а второй — Абастумани-Ахалцихский и Вардзийский первичные рекреационные комплексы.

6. Тбилисский район, состоящий из 4 первичных комплексов — Мцхета-Сагурамского, Цхнети-Коджорского, Манглисского и собственно Тбилисского.

7. Район Восточного Кавкасиони, формирующийся вдоль трассы Военно-Грузинской дороги и включающий Душет-

ский, Жинвали-Ананурский, Пасанаурский, Пшав-Хевсуретский и Казбегский первичные рекреационные комплексы.

Кроме указанных 7 рекреационных районов, уже более или менее сформировавшихся и имеющих соответствующую материально-техническую базу, в Грузии можно выявить еще несколько курортно-туристских ареалов, которые в перспективе превратятся в самостоятельные рекреационные районы (Кахетия, Юго-Осетия, Верхняя Сванетия, Нижний Картли).

საბაზანოების (აუზების) გამტარიანობის მაჩვენებლები (1 საათში)

წლების მიხედვით

წლები	1930 — 1933			1934 — 1938			1939 — 1948			1949 — 1950			1951 — 1958			1959			1960 — 1961			1962 — 1964			1965 — 1970		
საბანი	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.	აუზი / გამტ.	კაბ. / გამტ.	სულ გამტ. / 1 საათ.
№ 1	2/110		110	2/110		110	2/110		110	2/110		110	2/110		110	2/110		110	2/110		110	2/110		110	2/210		110
№ 2	2/52		52	2/52		52	2/52		52	2/52		52	2/52		52	2/52		52	2/40		40	2/40		40	2/40		40
№ 3		8/16	16		8/16	16		8/16	16		10/18	18		10/18	18		10/18	18		10/18	18		10/18	18		10/13	18
№ 3+								2/2	2																		
№ 4	2/12		12	2/12		12	2/12		12	2/12		12	2/12		12		28/28	28		28/28	28		28/26	28		28/28	28
№ 5							2/36	16/32	68	2/36	16/32	68	2/36	16/32	68	2/36	16/32	68	2/36	16/32	68	2/36	16/32	68	2/36	16/32	68
№ 6													3/35	50/95	130	3/35	50/96	131	3/35	50/96	131	3/35	50/96	131	3/35	50/96	131
№ 7				2/40	4/0	40	2/40	4/0	40	2/40	4/0	40	2/40	4/0	40	2/40	4/0	40	2/40	4/0	40	2/40	4/0	40	2/40	4/4	44
№ 8																	112/134	134		112/134	134		112/134	134		112/134	134
№ 9 საკოლექტ.																			1/40		40	2/80		80			
№ 9																								8	2/30	38/76	106
სულ	6/174	8/16	190	8/214	12/16	230	10/250	30/50	300	10/250	30/50	800	13/285	80/146	431	11/273	220/308	580	12/301	220/308	610	13/341	220/308	650	13/291	259/388	680

შენიშვნა:

1 მრიცხველში მოცემულია აუზის ან კაბინის რაოდენობა, მნიშვნელში—რამდენი ადამიანი ტარდება საათში

სანატორიული საწოლების ზრდის დინამიკა წყალტუბოში 1926—1941 წწ.

	წლები სანატორიუმი	1926	1927	1928	1929	1930	1931	1932	1933	1934	1935	1936	1937	1938	1939	1940	1941
1.	„რიონი“	90	*90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90	90
2.	„საბგურალი“	—	—	—	135	135	135	135	135	135	135	135	135	135	135	135	100
3.	„წყალტუბო“	—	—	—	—	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40	40
4.	№ 1 სანატორიუმი	—	—	—	—	—	75	75	75	75	75	75	75	75	75	75	75
5.	პანსიონატი № 2	—	—	—	—	—	—	85	85	85	85	85	85	85	85	85	85
6.	„რკინიგზელი“	—	—	—	—	—	—	—	—	36	36	36	36	60	60	70	70
7.	სანატორიუმი № 2	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100	100	100	100	100	100
8.	სასტუმრო	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	100	100	100	100	100	100
9.	„დრუჟბა“	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	250	250	375	460	460
10.	კურორტოლოგიის ინსტიტუტის ფილიალი	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	—	75	75	75
	ჯამი	90	90	90	225	265	340	425	425	461	561	661	911	935	1135	1150	1195

* სანატორიუმები წარმოდგენილია ახლანდელი სახელწოდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

შესავალი 3
საკურორტო მეურნეობისა და ტურიზმის როლი მსოფლიო ეკონომიკაში
და მისი გეოგრაფია 6
საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი საბჭოთა კავშირში 14
საქართველოს სსრ საკურორტო-ტურისტული მეურნეობა 21
საკურორტო ტურისტული მეურნეობის განვითარების ძირითადი
ფაქტორები 21
საკურორტო-მეურნეობისა და ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა 29
საქართველოს ტერიტორიის საკურორტო-ტურისტული დარაიონება 37
კურორტებისა და ტურიზმის განვითარების პერსპექტივები . . 64
Курортное хозяйство и туризм Грузинской ССР (резюме) . . . 71

ემილ დავითის ძე კობახიძე

საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი

Эмиль Давидович Кобахидзе

КУРОРТНОЕ ХОЗЯЙСТВО И ТУРИЗМ ГРУЗИНСКОЙ ССР

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

გამომცემლობის რედაქტორი ც. იანქოშვილი
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ლ. ჩიკვაიძე

გადაეცა წარმოებას 14.7.1970; ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.2.1971;
ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 4,75; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 4,16; უე 01226; ტირაჟი 1800; შეკვეთა № 1870;
ფასი 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 60, კუტუზოვის ქ., 15
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15.

Типография Академии наук ГССР, Тбилиси, 60, ул. Кутузова, 15
საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი 60, კუტუზოვის 15